პარკირების ებრაული სისტემა ქართულად A2

ორი ბათმანი ლობიო და ერთი ბათმანი სიმინდი A2

რევოლუციის შემდეგ B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 13 იანვარი, 2005 წელი. №6 (866)

ფასი 50 თეთრი

## თვალსაზრისი

### მოსაზრებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაწყვეტის თაობაზე



"2003 წლის შემოდგომაზე, მშვიდობის კვლევების შლაინინგის (ავსტრია) ცენტრში ყოფნისას, მე და თინათინ ხიდაშელმა ჩამოვაყალიბეთ თეზისები სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის მშენებლობის პერსპექტივებზე." - დავით დარჩიაშვილის წერილი სპეციალურად "24 საათისათვის"

B1

## პოლიტიკა

### "კონსერვატორების" პროტესტი

"საქართველოში რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნას იურიდიული საფუძველი უნდა გამოეცალოს," - აცხადებს კობა დავითაშვილი.

A2

## სპორტი

### ვერისბაღელები



მესხიზმმა დაამარცხა მარქსიზმი

B3




გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

## ამინდი

| | 13/1 | 14/1 |
|---|---|---|
| თბილისი | 13 | 13 |
| ქუთაისი | 14 | 16 |
| ბათუმი | 16 | 18 |
| სოხუმი | 13 | 15 |
| ფოთი | 15 | 17 |
| თელავი | 12 | 13 |
| ზუგდიდი | 14 | 16 |
| გორი | 10 | 11 |
| ახმეტა | 11 | 12 |
| ჭიათურა | 12 | 12 |
| გაგრა | 12 | 13 |
| სამტრედია | 14 | 16 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8100 |
| ევრო | 2.3686 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3860 |
| რუბლი | 0.0649 |

# რუსული არჩევნები აფხაზეთში



*რუსეთისგან დანიშნული არჩევნების შემდეგ ბაგაფში პრეზიდენტი კი გახდება, მაგრამ ვიცე-პრეზიდენტ ხაჯიმბას გაცილებით დიდი უფლებები ექნება.*

*წინასწარი მონაცემებით, გუშინ აფხაზეთში გამართული საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება. როგორც საღამოს შვიდი საათისთვის აფხაზეთის ცესკო-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, არჩევნებში ამომრჩეველთა 59-მა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. არაოფიციალური ინფორმაციით კი, ოქტომბრის არჩევნებთან შედარებით, 12 იანვრის არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობა გაცილებით დაბალი იყო. რუსი დამკვირვებლები კმაყოფილი არიან, რაც იმის ნიშანია, რომ აფხაზეთს ძველი ახალი წლისთვის ახალი პრეზიდენტი ეღირსება. ვინ გაიმარჯვებს, ბაგაფშ-ხაჯიმბას ტანდემი თუ იაკუბ ლაკობა, ძნელი მისახვედრი არ არის. წინასწარი შედეგები დღეს, დილის თერთმეტი საათისთვის იქნება ცნობილი.*

სოფო ბუკია

დილის რვა საათისთვის აფხაზეთში 186 საარჩევნო უბანი გაიხსნა. აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემებით, არჩევნებში საკუთარი ნება დაახლოებით 113 136 ამომრჩეველმა უნდა გამოხატოს.

საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევის უფლება იმ პირებსაც მიეცათ, რომლებიც აფხაზეთში არ ცხოვრობენ, მაგრამ არჩევნების დღეს აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. მათ კი, ვისაც პასპორტი არ ჰქონდა, აფხაზეთის კანონმდებლობის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის მიღება ფორმა №9-ის საშუალებით შეეძლო.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მალე პუტინის რეჟიმის აღსასრული დადგება

ანდერს ასლუნდი
*მსოფლიოში მშვიდობის დამყარების კარნეგის ფონდის რუსულ-ევროპული პროგრამის დირექტორი*

პირველი ვადის წარმატებით დასრულების შემდეგ, მეორე ვადით მართვის პერიოდში არცთუ ბევრმა პრეზიდენტმა იწვნია კრახი ისე საბედისწეროდ, როგორც რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა 2004 წელს. ყველაზე ახლო პარალელის გავლება, ალბათ, პერუს ლიდერთან ალბერტო ფუხიმორთან და არგენტინის პრეზიდენტთან კარლოს მენემთან შეიძლება. 2000 წლიდან, როდესაც ვლადიმირ პუტინი პრეზიდენტად აირჩიეს, ოთხი წლის განმავლობაში წარმატებული ლიდერის რენომე ჰქონდა. ამ პერიოდში რუსეთში მნიშვნელოვანი და ძირეული რეფორმები მიმდინარეობდა - მათ შორის იყო გადასახადების დაწესების რადიკალური რეფორმა, რომელმაც 13 პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადი დააწესა; მიწაზე კერძო საკუთრების ლეგალიზაცია; სასამართლო რეფორმა; აგრეთვე შრომის ბაზრისა და საპენსიო უზრუნველყოფის რეფორმები. ეკონომიკა დაჩქარებულ ზრდას განიცდიდა - წელიწადში 6,5 პროცენტამდე. საგარეო პოლიტიკაში პუტინი რეალისტურ მიდგომას იყენებდა და სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში ბალანსის დაცვის მცდელობისას რუსეთის ეროვნულ ინტერესებს იცავდა. და მაინც, გარდაუვალი პრობლემების საფრთხე ქვეყნისათვის წუთითაც არ შენელებულა.

გაგრძელება A5 გვერდზე




## "კადრების შემცირება" პარლამენტში

თამარ მჭედლიშვილი

*მალე საქართველოს პარლამენტს პრეზიდენტის რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა მოუწევს, რომელთაგანაც ერთ-ერთი - პარლამენტართა რიცხოვნობის შემცირებას ეხება. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი საკონსტიტუციო ცვლილებები დეპუტატთა რიცხვის 150-მდე შემცირებას ითვალისწინებს. როგორც საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტშია აღნიშნული, პარლამენტი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით არჩეული 150 წევრისგან უნდა შედგებოდეს. თუმცა ჯერ უცნობია, დეპუტატთა შემცირება რა პრინციპით მოხდება.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## რა ჯდება საკრებულოს "ლიკანური ვოიაჟი"?

*დღეს თბილისის საკრებულო 2005 წლის ბიუჯეტის განსახილველად ლიკანის სუფთა ჰაერზე მიემგზავრება. არასამთავრობო ორგანიზაციები საკრებულოს "ლიკანურ ვოიაჟს" კანონდარღვევად მიიჩნევენ და ბიუჯეტის საჯარო განხილვას მოითხოვენ. მათი აზრით, დახურული განხილვა დეპუტატების ინტერესების ლობირებას ისახავს მიზნად.*

**"ვარდების რევოლუციამ არასამთავრობო ორგანიზაციები მთლიანად შთანთქა. ამ ხელისუფლებას თავისი მომყოლი არასამთავრობოები ჰყავს, რომლებიც მთავრობას შეერწყნენ. თვითმმართველობისა და მმართველობის სისტემა მთლიანად მოშლილია, საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპი აღარ არსებობს. მერია და საკრებულო საზოგადოებისთვის ჩაკეტილია. ამ დაწესებულებაში ინფორმაციის მიღება შეუძლებელია. ჩვენს კითხვაზე, თუ რა ჯდება ლიკანში სამდღიანი ვოიაჟი, აპარატში გვიპასუხეს, - არ ვიცით. 49 დეპუტატის ლიკანში გამგზავრება, ჩვენი მონაცემებით, მინიმუმ, 10 ათასი ლარი მაინც ჯდება. ჩვენს დეპუტატებს იზოლირებულად უნდათ ითათბირონ და თანაც ბუნების წიაღში.**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ცუნამის შედეგად დაზარალებულთა დახმარება

ამერიკელები იმ მგლოვიარეთა რიცხვს უერთდებიან, რომლებიც ახლახან მომხდარი უდიდესი სიძლიერის ცუნამების სერიის მსხვერპლს, ათობით ათას დაღუპულს - მათ შორის ბავშვებს - დასტირიან. ამ ტრაგედიამ დიდი ტერიტორია მოიცვა - ტაილანდიდან დაწყებული, აფრიკის უკიდურესი აღმოსავლეთ სანაპიროთი დამთავრებული. გასულ კვირას აშშ-ს ყველა შტატში სახელმწიფო დროშა დაუშვეს, რათა პატივი მიეგოთ ამ კატასტროფის მსხვერპლთა ხსოვნისათვის.

მე დიდად ვაფასებ იმ პირებს, ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც დახმარების ხელს უწვდიან დაზარალებულებს - უგზავნიან მათ ფულს, აღჭურვილობას, სატრანსპორტო საშუალებებს და პერსონალს. მთელი მსოფლიოს მოსახლეობა ერთობლივად უწევს დახმარებას დაზარალებულ ქვეყნებს.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 თვალსაზრისი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

## პარკირების ებრაული სისტემა ქართულად

*თბილისის ხელმძღვანელობისა და პარლამენტარ კობა ბექაურის ისრაელში ვიზიტი უშედეგოდ არ დასრულებულა - ებრაული კომპანია "შოხარი" თბილისს პარკირების სისტემის მოწესრიგებას სთავაზობს. "ვიცი, ებრაელთა წინადადებებს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდება", - არცთუ უსაფუძვლოდ ვარაუდობს ქალაქის მერი. საკრებულოს ზოგიერთი წევრი მის პროგნოზს უკვე ამართლებს.*

ნანა ქადაგიშვილი

ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი ებრაელების მიერ შემოთავაზებული პარკირების სისტემის დედააზრს მარტივად განმარტავს - უპირველესად, ბორდიურები დაიხაზება. თეთრ-წითლად დახაზული ბორდიური მიანიშნებს, რომ ამ ადგილას მანქანის გაჩერება არ შეიძლება, წითელ-ყვითლად დახაზული - საქალაქო ტრანსპორტის გასაჩერებელ ადგილს ნიშნავს, თეთრ-ლურჯად დახაზულ ბორდიურზე კი ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მანქანის გაჩერება. ყოველ მძღოლს, რომელიც მანქანას ავტოსადგომზე აყენებს, უნდა ჰქონდეს სპეციალური ბარათი, რომელიც მანქანის ერთი საათის განმავლობაში გაჩერების უფლებას იძლევა. მძღოლი ამ ბარათზე გადაფხეკს თვეს, რიცხვსა და დროს, თუ როდის გააჩერა მანქანა, და მას მანქანის საქარე მინაზე დაამაგრებს. როგორც მერი აცხადებს, სავარაუდოდ, ბარათის ღირებულება ქალაქის ცენტრალურ რაიონებსა და გარეუბნებში განსხვავებული იქნება. ცენტრში უფრო ძვირი, 20 თეთრზე მეტი და გარეუბნებში - 20 თეთრზე ნაკლები. თუკი მძღოლი ბარათით განსაზღვრულ დროს გადაამეტებს, საგზაო ინსპექცია მას დააჯარიმებს. პარკინგის ებრაული სისტემის ამოქმედებაში საგზაო ინსპექციას მთავარი როლი აკისრია. იგი აღჭურვილი იქნება ფოტოაპარატით, რომელიც მობილური ტელეფონისა და კომპიუტერის ფუნქციებსაც ითავსებს. ფოტოაპარატით წესრიგის დამრღვევის მანქანას ფოტოს გადაუღებენ, მანქანის ყველა მონაცემს კომპიუტერში შეიტანენ, შემდეგ კი საჯარიმო ოქმს დაწერენ და დაჯარიმებულს სახლში ფოსტით გაუგზავნიან. ეს უკანასკნელი ვალდებულია, საკუთარი ფეხით წავიდეს ინსპექციაში და ჯარიმა გადაიხადოს. თუმცა, ებრაული სისტემის ეს ბოლო ნაწილი ქართულ სინამდვილეში არ გამოდგება. ამიტომ, ჯერჯერობით, სანამ თბილისში ფოსტა ამუშავდება და მძღოლების თვითშეგნებაც ამაღლდება, წესრიგის დამრღვევს, შეიძლება, ავტოსადგომზე საკუთარი მანქანა აღარ დახვდეს, ან დახვდეს, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრას.

ებრაული კომპანიის შემოთავაზებას მოწინააღმდეგეები, საკრებულოს ზოგიერთი წევრის სახით, უკვე გამოუჩნდა. "ამ საქმეს ქართული კომპანიებიც მშვენივრად გააკეთებენ. შეიმუშავეთ სატენდერო პირობები, გამოაცხადეთ ტენდერი. მძღოლების დაჯარიმებას კი საპატრულო პოლიციაც მოახერხებს. რა საჭიროა საგზაო ინსპექციის შექმნა", - აცხადებს ფრაქცია "მემარჯვენეები". ქალაქის მერი კი განმარტავს, რომ სანამ ებრაული კომპანია ქართულ კანონმდებლობას არ შეისწავლის, ბიზნესგეგმას არ შეიმუშავებს, მერია მათ შემოთავაზებას არ მიიღებს. "თანაც, ებრაული კომპანიის წინადადებები რაც უნდა მიმზიდველი აღმოჩნდეს, მერია ტენდერის მოწყობას მაინც აპირებს", - აცხადებს მერი. თუმცა, როგორ საკრებულოს კულუარებში ამბობენ, ქალაქის ხელმძღვანელობისა და პარლამენტარ კობა ბექაურის ისრაელში ვიზიტი უშედეგოდ არ დასრულდება - პარკირების ებრაულ სისტემას თბილისიც გაითავისებს.

## ვახტანგ გორგასლის ორდენი "ცხელ კვალზე"

*პრეზიდენტის ბრძანებით, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი მერაბ ბალათურია ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოვდა. შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ეს საპატიო ჯილდო მერაბ ბალათურიას სამეგრელო-ზემო სვანეთსა და თბილისში განხორციელებული ანტიკრიმინალური საქმიანობის გამო ერგო.*

მერაბ ბალათურიას გარდა, სახელმწიფო ჯილდოები გადაეცემათ იმ პოლიციელებსაც, რომლებმაც ბოლო პერიოდში განხორციელებულ ოპერაციაში მიიღეს მონაწილეობა. დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის უფროსს ირაკლი ფირცხალავას და ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამძებრო სამმართველოს უფროსს დავით კუპატაძეს განსაკუთრებით საშიში კრიმინალების დაკავებისთვის პრეზიდენტი სახელმწიფო ჯილდოებით აჯილდოებს.

საქმე ისაა, რომ თბილისის პოლიციის მთავარმა სამმართველომ განსაკუთრებით საშიშ ბოროტმოქმედთა ორგანიზებული 5-კაციანი ჯგუფი დააკავა. გია ნემსაძე, რუბიკ ტუმასიანი, გია ყუფარაძე, თემურ გოგიაშვილი და მამუკა სურგულაძე ეჭვმიტანილი არიან ერთი თვის წინ, ხილიანის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობაში. საუბარია ბრიტანეთის მოქალაქის ლაინჯერ ოქენდენის მკვლელობაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადებით, დაკავებულები ეჭვმიტანილები არიან აზერბაიჯანელი მოქალაქეების მკვლელობაშიც. მინისტრის ინფორმაციით, მათ მოკლულთა ცხედრები, კვალის გაქრობის მიზნით, მოკლულთა ეზოში ჩააბეტონეს. ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ინგლისელი მოქალაქის მკვლელობა იმავე იარაღით იყო ჩადენილი, რითაც აზერბაიჯანელი მოქალაქეებისა. ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ორივე მკვლელობა ყაჩაღობისა და ძარცვის მოტივით მოხდა.

*24 საათი*

**შპს "საქაერონავიგაცია" განცხადება**

შპს საქაერონავიგაცია აცხადებს, რომ 2005 წლის 11-12 იანვარის გაზეთ "ალიაში" და 2005 წლის 11 იანვრის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ განცხადებაში დიზელ-გენერატორების შესყიდვის მიზნით დაშვებულ იქნა მექანიკური შეცდომა 10კვტ დიზელ გენერატორის რაოდენობა უნდა იყოს 6 ცალი, ასევე 20კვტ დიზელ გენერატორის რაოდენობა უნდა იყოს 6 ცალი.

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სიღარიბის შემცირების პილოტური სქემის პროექტი

EuropeAid/120950/C/G/G

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოსა და სომხეთში (Delegation-Georgia@cec.eu.int) ელოდება წინადადებების შემოთავაზებას ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის სოფლის რეგიონებში სიღარიბის შემცირების პილოტური სქემის პროექტის შემუშავების თაობაზე. აღნიშნულ წინადადებებს ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევს ევროპის თანამეგობრობის პროგრამა TACIS-ი. ბიუჯეტი შეადგენს

3 000 000 ევროს.

ამომწურავი ინფორმაციის მიღება და განაცხადის ფორმის ნახვა შესაძლებელია ოფიციალურ ჟურნალში და ინტერნეტის ვებ-გვერძე, რომლის მისამართია: http://europa.eu.int/comm/europeaid/tender/gestion/index-en.htm (Select: TACIS, open,grants).

ხინადადებების წარდგენის უკანასკნელი ვადაა **2005 წლის 31 ნარტი, 16:00 სთ-მდე ადგილობრივი დროით.**

## ორი ბათმანი ლობიო და ერთი ბათმანი სიმინდი

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი, აფხაზეთში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, კომენტარს აკეთებს და სოხუმში ბაბურინისა და კოლესნიკოვის ჩასვლას "ბოლშევიკური რევანშიზმის გამოვლინებად" აფასებს.

**"ის, რომ რუსები ახალ-ახალ სტატუსებს (მაგალითად, ქვეყნის ასოცირებული წევრობა) იგონებენ, საქართველოს პოლიტიკური დაშანტაჟების მცდელობას წარმოადგენს,"** - მიიჩნევს გაბაშვილი.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე აფხაზეთის თემა მეორედ ალექსანდრე რუსეცკიმ წამოჭრა: მან, სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის სახელით, დეპუტატებს გააცნო კონცეფციის პროექტი - "აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ახალი მიდგომების შესახებ".

დოკუმენტის მიმართ პარლამენტარებმა არაერთი შენიშვნა გამოთქვეს. მაგალითად, ზურაბ ჯგუბურიასთვის გაუგებარი დარჩა, როგორ უნდა მოხდეს კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია იმ პირობებში, როდესაც იქ რუსული სამშვიდობო ძალები დგანან. კოტე გაბაშვილი კი იმის წინააღმდეგ გამოვიდა, რომ გაკეთდეს შეფასებები კონფლიქტის წარმოშობის მიზეზების შესახებ. კომიტეტის თავმჯდომარის აზრით, ეს კონფლიქტის მოგვარებას ხელს კი არ შეუწყობს, არამედ, პირიქით, უფრო გააღრმავებს მას...

თუმცა, დეპუტატებმა ალექსანდრე რუსეცკის შრომას ხაზი მთლად არ გადაუსვეს და აღნიშნეს, რომ **"კონცეფციის პროექტის თეორიულ-სამეცნიერო დონე მოწონებას იმსახურებს"**.



*კოტე გაბაშვილი ახალ ელჩს ბერძენი ბერებისათვის ხარკის გადახდას ურჩევს.*

კომიტეტის წევრებმა გუშინდელ სხდომაზე ერთხმად მოიწონეს ისრაელში და კვიპროსში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის პოსტზე ლაშა ჟვანიას კანდიდატურა.

როგორც ირკვევა, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოს არც ერთი პოლიტიკური ლიდერი კვიპროსს ოფიციალური ვიზიტით არ სწვევია, მაშინ, როდესაც ამ ქვეყანაში 25 ათასი საქართველოს ყოფილი მოქალაქე ცხოვრობს.

**"მიუხედავად ჩვენი ურთიერთობების დაბალი ტემპისა, საერთაშორისო ორგანიზაციებში კვიპროსი ყოველთვის უჭერდა მხარს საქართველოს პოზიციას,"** - თავისი "დასაფარი სახელმწიფოს" მიმართ მომავალი ელჩი თბილ სიტყვებს არ იშურებს.

კოტე გაბაშვილი ლაშა ჟვანიას ერთ "დავალებასაც" აძლევს: კვიპროსში არსებულ ერთ-ერთ ქართულ მონასტერს, რომელიც დღეს ბერძნებს უკუთვნით, წინათ, ქუთაისის მაზრაში, თურმე, სამი სოფელი ეკუთვნოდა. ერთხელ, ბერძენ მღვდლებს გაბაშვილისთვის შეუჩივლიათ, რომ 1917 წლის შემდეგ, კუთვნილ ორ ბათმან ლობიოსა და ერთ ბათმან სიმინდს საქართველოდან აღარ იღებენ. ჰოდა, საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე მომავალი ელჩისგან "მოითხოვს", რომ ორი ბათმანი ლობიოსა და ერთი ბათმანი სიმინდის ფასი საელჩოს ყოველწლიურ ბიუჯეტში გაითვალისწინოს.

## ოპოზიცია "საქართველოს საოკეანო სანაოსნოს" ვერ ივიწყებს

გიორგი ასანიშვილი

*"საქართველოს საოკეანო სანაოსნოს" პრივატიზებასთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი სატენდერო პაკეტების გახსნის შემდეგაც არ ცხრება. "მემარჯვენე ოპოზიცია" მიიჩნევს, რომ ეს ტენდერი ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს.*

**"საზოგადოებამ მხოლოდ ის დაინახა, როგორ მოაჭრეს კონვერტს ყუა, მაგრამ რა ეწერა შიგ, პრემიერ-მინისტრის გარდა, არავინ იცის,"** - უკმაყოფილებას ვერ მალავს პარლამენტარი დავით საგანელიძე. იგი მთავრობას ტენდერის არაგამჭვირვალედ ჩატარებაში ადანაშაულებს, რადგან **"საზოგადოების წარმომადგენლებსა და ოპოზიციას მასში მონაწილეობა არ მიუღიათ"**. საგანელიძე, თურმე, ელოდა, რომ **"ზურაბ ჟვანია თავდახრილი გამოვიდოდა და ტენდერთან დაკავშირებით ბოდიშს მოიხდიდა, მაგრამ ამის ნაცვლად, პრემიერი მომღიმარი სახით წარდგა და თავხედური განცხადებები გააკეთა"**.

"მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი იხსენებს, რომ რამდენიმე კვირის წინათ პრემიერ-მინისტრი აცხადებდა, "გრინიუქი გრუპ"-ის მიერ შემოთავაზებული 107 მილიონი დოლარი ქვეყნისთვის მისაღებია და ამ შანსის ხელიდან გაშვება დანაშაულის ტოლფასიაო. ამასთან დაკავშირებით, დავით საგანელიძე შენიშნავს, რომ საქართველოში ჩამოსული ინვესტორები



*"ასეთი მთავრობა უნდა გადადგეს," - აცხადებს საგანელიძე.*

თავდაპირველად ასახელებდნენ თანხებს, რომლის გაღებასაც ისინი აპირებდნენ ("მერინ კაპიტალი" - 130 მილიონი დოლარი, "შოლერ ჰოლდინგი - 151 მილიონი დოლარი), მაგრამ პრემიერთან შეხვედრის შემდეგ ამისგან თავი შეიკავეს, თავად ზურაბ ჟვანიამ კი ყველაზე მაღალ თანხად 117 მილიონი დოლარი დაასახელა.

ოპოზიციონერი დეპუტატი ახლო წარსულსაც უბრუნდება და ამტკიცებს, რომ "გრინოუქ გრუპ"-თან მემორანდუმის გაფორმება დანაშაულებრივი შეცდომა იყო, რადგან ამით გასაყიდი ობიექტის დაბალი ფასი დაფიქსირდა და ეს თანხა (107 მილიონი დოლარი) გახდა ორიენტირი ტენდერში მონაწილე კომპანიებისთვის.

თუმცა, დავით საგანელიძე ვერაფრით ხსნის იმას, თუ რატომ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული საქართველოს მთავრობა საპრივატიზაციო ობიექტების დაბალ ფასებში გაყიდვით, ან იმით, რომ "საქართველოს საოკეანო სანაოსნო" მაინცადამაინც იან ბოდე ნილსენის "გრინოუქ გრუპ"-ს შეეძინა.

მთავრობისადმი "მემარჯვენე ოპოზიციის" უკმაყოფილება იმაშიც გამოიხატება, რომ, საგანელიძის მტკიცებით, **"ხელისუფლება მხოლოდ მომგებიანი ობიექტების გაყიდვაზე ფიქრობს, წამგებიანები კი ოდნავადაც არ ადარდებს"**.

**"ასეთი მთავრობა უნდა გადადგეს,"** - "საქართველოს საოკეანო სანაოსნოსთან" დაკავშირებით გაჩაღებულმა დავამ "მემარჯვენე ოპოზიცია" ამ დასკვნამდე მიიყვანა.

## რა ჭდება საკრებულოს "ლიკანური ვოიაჟი"?

პირველი გვერდიდან

**მათ საკმაოდ კარგი ხელფასები აქვთ და თუ უნდათ, საკუთარი ჯიბიდან დააფინანსონ მსგავსი გასვლები",** - აღნიშნავენ არასამთავრობო ორგანიზაციები: "ვაკის გონივრული განვითარება", "სამგორი", "თემიდა" და "საზოგადოება ლილო".

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, დღევანდელი საკრებულო საკუთარი სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე მუშაობს და არა - ხალხისაზე. **"ამასვე მოწმობს მათი გაზრდილი ხელფასები და ბიუჯეტის ხარჯზე მოწყობილი ვოიაჟები. ბეგაშვილი მორჩილაძეს რომ მიუვარდა "თბილგაზში" და იმის რემონტზე დაიწყო საუბარი, იქნებ დაფიქრებულიყო, თვითონ რა სახსრებით მოუმატა საკრებულოს წევრებს ხელფასი, ან ახლა რა ფულით მიდის ლიკანში. ეს არ არის ხალხისთვის წართმეული ფული?! ჩვენთვის ცნობილია, რომ მირიანაშვილს საკუთარი ინტერესები აქვს "თბილგაზში" და სწორედ ის აქეზებს ბეგაშვილს მორჩილაძის წინააღმდეგ,"** - აცხადებენ მესამე სექტორის წარმომადგენლები. მათივე აზრით, საკრებულოს დეპუტატებს გადაწყვეტილებების მიღებისას პირადი ინტერესები ამოძრავებთ და მათი უმრავლესობა აზრზე არ არის, თუ რას ნიშნავს თვითმმართველობა და რა უნდა აკეთონ საკრებულოში. **"საპრეზიდენტო უმრავლესობა მხოლოდ სახელს უტეხს პრეზიდენტს. მათ საკრებულო შეუღწეველ ციხე-სიმაგრედ აქციეს. ისინი ოპოზიციურ პარტიებს იგნორირებას უკეთებენ და ისე იღებენ გადაწყვეტილებებს",** - აღნიშნეს მათ.

არასამთავრობო ორგანიზაციები საკრებულოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანას გეგმავენ. მათ სურთ, ლიკანის ვოიაჟის ფული თავად დეპუტატების სახელფასო ფონდიდან გადაირიცხოს და არა ბიუჯეტიდან.

ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე ნანული ქაჩიბაია მიიჩნევს, რომ ლიკანში მათი გამგზავრება მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება; **"ჩვენი "ვოიაჟი" გამიზნულია იმისთვის, რომ სამუშაო გარემოში მოხდეს ბიუჯეტის განხილვა. პარამეტრების შეჯერების შემდეგ ბიუჯეტს საჯაროდ გამოვიტანთ და ყველას ექნება შესაძლებლობა, თავისი აზრი გამოთქვას",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ქაჩიბაიამ. რაც შეეხება "ლიკანური ვოიაჟის" თანხებს, ამის შესახებ საპრეზიდენტო უმრავლესობა ინფორმაციას არ ფლობს.

*24 საათი*

*მოკლედ*

### აფხაზურმა მხარემ გატაცებულ ქართველთა ნაწილი გაათავისუფლა

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციაში საგანგებო თათბირი გაიმართა, რომელსაც სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელწიფო რწმუნებული გიგი უგულავა და შინაგანი ჯარების ზუგდიდის ბატალიონის მეთაურებიც დაესწრნენ. თათბირზე შემუშავებული გეგმის მიხედვით, გუშინ დილიდან, მდინარე ენგურის გასწვრივ, სამეგრელო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე ქართულ სოფლებში პოლიციელთა დამატებითი ძალები განალაგეს.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი გუშინწინ მომხდარი ინციდენტი გახდა, როდესაც შეიარაღებულმა აფხაზებმა ზუგდიდის რაიონში რამდენიმე ადამიანი გაიტაცეს. გალის რაიონის სოფელ მეორე ოტობაიაში კი სამგზავრო ავტობუსში მყოფი ქართველი მამაკაცები აიყვანეს მძევლად. გიგი უგულავას განცხადებით, აფხაზთა მსგავს გამოხტომებს შესაბამისი პასუხი უნდა გაეცეს, თითოეულ პოლიციელს მიღებული აქვს დამნაშავეთა ადგილზე ლიკვიდაციის ბრძანება. გიგი უგულავას განცხადებით, აფხაზურ მხარესთან შეხვედრისას აფხაზურმა მხარემ პირობა დადო, რომ დღეს მძევლებს გაათავისუფლებენ. "შეასრულებენ თუ არა პირობას აფხაზები, ამაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული," - აღნიშნა პრეზიდენტის რწმუნებულმა. სამხარეო პოლიციის უფროსი აცხადებს, რომ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, საპასუხო ზომებს მიიღებენ, თუმცა, დაკონკრეტებისგან თავს იკავებს.

ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურიდან და გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებიდან გატაცებული 17 ქართველიდან 13 უკვე გათავისუფლებულია. დანარჩენი ოთხი კვლავ გალის მილიციის განყოფილებაში რჩება და როგორც აფხაზური მხარე აცხადებს, ისინი ყაჩაღობაში არიან ეჭვმიტანილები. წინასწარი ინფორმაციით, ზოგიერთისთვის საზღვრის გადაკვეთის ბრალდების წაყენებას აპირებდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე აიყვანეს, ამ ბრალდების წაყენება ვეღარ მოხერხდა. გათავისუფლებულმა მძევლებმა გალის რაიონი გუშინ დატოვეს. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც შინაგანი ჯარის თანამშრომელი აღმოჩნდა, სასტიკად არის ნაცემი. *24 საათი*

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოთხშაბათს გორის რაიონის სოფელ ძევერის რეზერვისტთა ბანაკში ჩავიდა.

პრეზიდენტმა რეზერვისტებს საქართველოს ეროვნული დროშები გადასცა და აღნიშნა, რომ დიდი სურვილი აქვს, ეს დროშები თითოეული მათგანის ოჯახში ინახებოდეს.

პრეზიდენტის თქმით, შეიარაღებული ძალების გაძლიერება და მომზადებული რეზერვის ყოლა ქვეყნის უსაფრთხოებისა და სიძლიერის აუცილებელი გარანტია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფედერალური მოწყობა და აფხაზეთისთვის ფართო ავტონომიური უფლებების შეთავაზება აფხაზეთის სეპარატისტული და ქართველთა გენოციდის მომწყობი ხელისუფლების ლეგიტიმურობის აღიარებაა, - მიაჩნია არასამთავრობო ორგანიზაცია "დაბრუნების" ხელმძღვანელს მალხაზ პატარაიას.

მისივე აზრით, თუ აფხაზეთი ფედერაციის სუბიექტობას დათანხმდება, ყოველთვის ექნება შესაძლებლობა, მისი შემადგენლობიდან გავიდეს, რის შემდეგაც რუსეთს იქ თავისი იურისდიქციის გავრცელებაში ხელს ვეღარაფერი შეუშლის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საზოგადოების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს ფედერალურ მოწყობას ეწინააღმდეგებიან, ავიწყდებათ, რომ საქართველო, სამწუხაროდ, უკვე აღარ არის უნიტარული სახელმწიფო და სწორედ ამიტომ, აფხაზეთისთვის ფართო უფლებების შეთავაზება კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ერთ-ერთი შესაძლებლობაა," - აცხადებს აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯემალ გამახარია.

მისივე თქმით, ამან, შესაძლოა, პრობლემის სრულად ამოწურვას ხელი ვერ შეუწყოს, მაგრამ საქართველოს მხრიდან ეს იქნება პოლიტიკური ჟესტი და კამათი იმაზე, თუ სახელმწიფოს მოწყობის რომელი მოდელი უმჯობესია, უკვე აღარ უნდა მიმდინარეობდეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჩრდილოეთ ოსეთის და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების პრეზიდენტების - ალექსანდრ ძასოხოვისა და ედუარდ კოკოითის შეხვედრა სამშაბათს ვლადიკავკაზში გაიმართა.

როგორც პრაიმ-ნიუსს ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურში უთხრეს, შეხვედრაზე ცხინვალსა და ვლადიკავკაზს შორის ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის, განათლებისა და კულტურის სფეროებში თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებისკენ მიმართულ ღონისძიებებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "1991-1992 წლების მოვლენების შედეგად, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა კავშირი" 1991-1992 წლებში განვითარებული მოვლენების შეფასების თაობაზე საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებულ დადგენილების პროექტს აკრიტიკებს.

"რეპრესირებულთა კავშირი" პარლამენტს ქვეყნის უახლესი ისტორიის გაყალბების მცდელობაში, 1991-1992 წლების მოვლენების არაობიექტურ და მიკერძოებულ შეფასებასა და შევარდნაძის რეჟიმის პოლიტიკური კურსის გაგრძელებაში ადანაშაულებს. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "კონსერვატორების" პროტესტი

გიორგი ასანიშვილი

"კონსერვატორები" ხელისუფლებას აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებისადმი წაყრუებაში ადანაშაულებენ. კობა დავითაშვილისა და ზვიად ძიძიგურის თქმით, რუსეთის მაღალი თანამდებობის პირები აშკარად ერევიან საქართველოს საშინაო საქმეებში, როდესაც აფხაზეთში წინასაარჩევნო აგიტაციას ეწევიან და ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის შემადგენლობაში შეყვანას ჰპირდებიან. ხოლო ოფიციალური თბილისი კი, იმის ნაცვლად, რომ განგაში ატეხოს და საერთაშორისო სტრუქტურებში საკითხის განხილვა მოითხოვოს, საეჭვოდ დუმს.

**"ვირი ერთხელ რომ გაივლის ტლაპოში, მეორეჯერ აღარ გადის. ჩვენს ხელისუფლებას რაღა დაემართა? იმის ნაცვლად, რომ დაგმოს აფხაზეთის უკანონო საპრეზიდენტო არჩევნები, მმართველი ძალა იმის განსჯაშია, რომელი კანდიდატის გამარჯვება სჯობია,"** - გაოცებას ვერ მალავს დავითაშვილი. იგი სინანულით იმასაც დასძენს, რომ საქართველოს ხელისუფლება დღემდე აფხაზეთის არჩევნების შედეგებს არ ცნობდა, ახლა კი ისეთი განცდა აქვს, თითქოს, ოფიციალური თბილისი სერგეი ბაგაფშს გულშემატკივრობს, რომელსაც, რატომღაც, პროქართულ ძალად მიიჩნევს.

"კონსერვატორების" ლიდერი აღშფოთებით საუბრობს იმაზეც, რომ 10 იანვარს რუსეთის სამშვიდობო ძალებმა, აფხაზ ბოევიკებთან ერთად, კონფლიქტის ზონაში



იური ლობოდინის ფოტო

*"საქართველოში რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნას იურიდიული საფუძველი უნდა გამოეცალოს," - აცხადებს კობა დავითაშვილი.*

მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაცია მოაწყეს. კობა დავითაშვილი საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვს, რომ მან ოფიციალურად დააყენოს რუსი "ცისფერჩაფხუტიანების" აფხაზეთიდან გაყვანის საკითხი.

**"საქართველოში რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნას იურიდიული საფუძველი უნდა გამოეცალოს,"** - აცხადებს პარლამენტარი.

დავითაშვილისთვის გაუგებარია, თუ რატომ გაჩაღდა საზოგადოებაში ბოლო დროს ცხარე პოლემიკა აფხაზეთთან დაკავშირებით და საიდან გამოჩნდა ქვეყნის ფედერალიზმის ამდენი მომხრე. დეპუტატი იმასაც იხსენებს, რომ საქართველოს ფედერალიზაციის აქტიური მხარდამჭერები არიან ზატულინი და მიგრანიანი. კობა დავითაშვილი, ვითომ სასხვათაშორისოდ, შენიშნავს, რომ, თავის დროზე, ზატულინისა და მიგრანიანის თანაპარტიელი იყო საქართველოს ამჟამინდელი სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე.

ცენტრალური ხელისუფლების მისასმართით უნდობლობასა და პრეტენზიებს ზვიად ძიძიგურიც გამოთქვამს. მას "გული უგრძნობს", რომ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დაწყებული აფხაზეთის გასხვისების პროცესი დღევანდელი ხელისუფლების ხელში ფორმალურად დასრულდება.

ძიძიგური იმითაც არის უკმაყოფილო, რომ ორიოდე თვის წინ-ათ, 70 პარლამენტარმა დაგომისის ხელშეკრულების ანულირება მოითხოვა, მაგრამ პრეზიდენტის პასუხს დღემდე ვერ ელირსა. დეპუტატს გადაწყვეტილი აქვს, სასამართლოს მიმართოს და მიხეილ სააკაშვილისგან პასუხის მიღება ამ გზით მოახერხოს.

# რუსული არჩევნები აფხაზეთში

პირველი გვერდიდან

აღნიშნული დოკუმენტები აფხაზეთში მცხოვრებთ ჯერ კიდევ 3 ოქტომბრის არჩევნებისთვის დაურიგდათ ორი თვის ვადით, შემდეგ კი მიღებულ იქნა გადაწყვეტილება - ფორმა №9-ის მოქმედების ვადა იანვრის ბოლომდე გაგრძელდეს.

გუშინდელ არჩევნებს, საერთაშორისო დამკვირვებლის სტატუსით, სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერი სერგეი ბაბურინი, დეპუტატი სენტიურინი, დეპუტატების თანაშემწეები - ვლადიმირ ზუევი, სერგეი კომკოვი, გიორგი ტიხონოვი, რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე მარატ მუსინი და ასევე, ყუბანის კაზაკური არმიის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ.

სერგეი ბაგაფში და რაულ ხაჯიმბა საარჩევნო ურნასთან ერთად გამოცხადდნენ. საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა ბაგაფშ-ხაჯიმბას კონკურენტმა კანდიდატმა, სახალხო პარტიის ლიდერმა იაკუბ ლაკობამ. შეგახსენებთ, რომ ლაკობა 3 ოქტომბრის არჩევნებშიც მონაწილეობდა და 0,5 პროცენტით ბოლო ადგილზე გავიდა.

ვლადისლავ არძინბა კვლავ შეუძლოდაა, მას საარჩევნო ყუთი სახლში მიუტანეს. არძინბამ იმედი გამოთქვა, რომ არჩევნები სამართლიანად ჩაივლის და აფხაზეთს სულ მალე ახალი პრეზიდენტი ეყოლება.

დამკვირვებელმა ბაბურინმა გუშინ გალის რაიონი მოინახულა და იქ აღმოჩენილი საარჩევნო დარღვევებით შოკირებული დარჩა. **"ჩვენ შოკში ვართ იმ დაბრკოლებების შემხედვარე, რასაც ამომრჩევლებს გალის რაიონში უქმნიან,"** - აღნიშნა მან გალიდან სოხუმში დაბრუნების შემდეგ. ბაბურინის თქმით, საარჩევნო უბნებთან დისლოცირებული, სახელმწიფო დაცვის სამსახურის წევრები ამომრჩევლებს არჩევანის გაკეთების საშუალებას არ აძლევდნენ. მისი თქმით, გალში თითქმის ყველა უბანი სპეცდანიშნულების რაზმებით იყო გარშემორტყმული.

**"ეს შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ წინა არჩევნებზე გალის რაიონმა ბაგაფშს მისცა ხმა. როგორც ჩანს, ვიღაცას არ უნდა, ეს კვლავ განმეორდეს,"** - აღნიშნა რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერმა რადიოსადგურ "ეხო მოსკვი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

**"გალში ყველა უბანზე, რომელიც მე მოვინახულე, ლაკობას მომხრეები საკმაოდ გამომწვევად იქცეოდნენ, უხეშად ერეოდნენ საარჩევნო კომისიის მუშაობაში და ყველანაირად ცდილობდნენ, ხალხი საარჩევნო უბნებთან არ მიეშვათ,"** - აღნიშნა ბაბურინმა.

მოსახლეობის არგამოცხადების გამო, გალის რაიონის სამ სოფელში არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდა. უკვე საღამოსთვის, აფხაზეთის სამართალდამცავები საარჩევნო ურნებს კარდაკარ დაატარებდნენ, რათა საარჩევნო ხმების საჭირო რაოდენობა შეეგროვებინათ. აფხაზეთის სხვა რაიონებში, რუსი დამკვირვებლის თქმით, არჩევნებმა დარღვევების გარეშე, ნორმალურ ვითარებაში ჩაიარა.

გუშინ მთელი დღის განმავლობაში განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდნენ სოხუმელი სამართალდამცავები, რომლებიც ყველა ქუჩასა და საარჩევნო უბანთან იდგნენ. საღამოსთვის დაცვა გააძლიერეს აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობასთან.

აფხაზეთში მიმდინარე არჩევნებს გუშინ საქართველოს მთავრობის სხდომაზეც გამოეხმაურნენ.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავა არ გამორიცხავს, რომ აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩაიშალოს.

როგორც ხაინდრავა ამტკიცებს, მოქმედი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას მომხრეები არჩევნების ჩასაშლელად ყველაფერს აკეთებენ. მისი აზრით, არჩევნების ჩაშლის მცდელობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სოხუმის ხელისუფლების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების ლეგიტიმურობის აღიარებისთვის ამომრჩეველთა აქტიურობის პროცენტული მაჩვენებელი 25-დან 50 პროცენტამდე გაზარდა.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, აფხაზეთში რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელთა სიმრავლე და ექსტრემისტულად განწყობილი რუსი დეპუტატების, კერძოდ კი, სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერის სერგეი ბაბურინის განსაკუთრებული აქტიურობა შეინიშნება.

**"ბომბორას აეროდრომი რუსეთის სპეცრაზმელებით არის სავსე,"** - აცხადებს ხაინდრავა.

პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, აფხაზეთში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებები საგანგაშო ფორმებს იღებს და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ყოველივე ამას უახლოეს მომავალში შესაბამის კვალიფიკაციას მისცემს.

**"რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აგიტაცია-პროპაგანდას ეწევიან და აფხაზეთში მიმდინარე საარჩევნო პროცესებში აქტიურად ერევიან,"** - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ მთავრობის გუშინდელ სხდომაზე.

# "კადრების შემცირება" პარლამენტში

პირველი გვერდიდან

თავისთავად, პრეზიდენტის ინიციატივას საზოგადოებაში საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდება, რადგან ისეთი ღარიბი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, 235 პარლამენტარის შენახვა ძალზე დიდი ფუფუნებაა. თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს რჩეულებს, რიგით მოქალაქეებთან შედარებით, საკმაოდ დიდი პრივილეგია აქვთ - ხელფასებიდან (თითოეული დეპუტატი ყოველთვიურად, მინიმუმ, 1400 ლარს იღებს) და გარანტირებული პენსიიდან დაწყებული, ყოველდღიური შეღავათებით, საზღვარგარეთული მივლინებებით, სამივლინებო ხარჯებით და ა.შ. დამთავრებული.

შესაძლოა, დეპუტატთა სიმრავლე ჩვეულებრივი, რიგითი მოკვდავებისთვის არც ისე გამაღიზიანებელი ყოფილიყო, თუკი თითოეული მათგანი მართლაც საქვეყნო საქმეების გადასაჭრელად, მუხლმოუდრეკლად იშრომებდა. თუმცა, სამწუხაროდ, ნებისმიერი ადამიანი ხედავს, რომ საკანონმდებლო საქმიანობა, მაქსიმუმ, 50-60 პარლამენტარს თუ აინტერესებს, ხოლო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში გაცილებით ნაკლები პარლამენტარია ჩართული. დანარჩენები კი ისე წავლენ პოლიტიკიდან, რომ მათი პოლიტიკური წარსულის შესახებ მხოლოდ ახლობლებს თუ ეცოდინებათ. ხალხის ასეთ რჩეულებზე, თავად პარლამენტარებსაც უთქვამთ ჟურნალისტებისთვის - ესა და ეს დეპუტატი დამანახეთ, რომელიაო...

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, პარლამენტართა რაოდენობის შემცირება ავტომატურად არ უნდა მოხდეს, რადგან ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო კონკრეტული პრინციპით არის ფორმირებული.

კონსტიტუცია გვამცნობს: **"საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 150 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის 85 წევრისაგან."**

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოვლენების შემდგომ მაჟორიტართა რიცხვმა ათით იკლო, რადგან იმ საარჩევნო ოლქებში, რომელიც აფხაზეთს და ცხინვალს მოიცავს, კენჭისყრები, ბუნებრივია, არ ტარდება. თუ წინა მოწვევის პარლამენტში აფხაზეთის კვოტას ე.წ. საკომპენსაციო სიებით ავსებდნენ, დღეს, როგორც ცნობილია, აფხაზეთის დეპუტაციას უფლებამოსილება შეუწყდა.

ამავე დროს, იგივე კონსტიტუცია გვამცნობს, რომ **"საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა - რესპუბლიკის საბჭო და სენატი. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან. სენატი შედგება აფხაზეთში, აჭარაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან."**

ერთი სიტყვით, არსებობს მთელი რიგი პრობლემები და დათქმები, რომლებიც, საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების დროს, საკანონმდებლო ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

შესაძლოა, პრობლემა მხოლოდ პარლამენტში პარტიული კვოტის შემცირებით გადაწყდეს და პროპორციული პრინციპით არჩეულ დეპუტატთა რაოდენობა შემცირდეს. თუმცა, დეპუტატთა ნაწილი აშკარად წინააღმდეგია მექანიკური შემცირებისა და პარლამენტის რეფორმირებას ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ახალი მოდელის შემუშავებას უკავშირებს.

მაგალითად, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას განცხადებით, საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების შემდეგ პარლამენტმა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ახალი მოდელი უნდა შეიმუშაოს.

ამასთან, ბოკერია არ გამორიცხავს, რომ აღნიშნული ცვლილების მიღების შემდეგ მაჟორიტარ დეპუტატთა არჩევნები განსხვავებული სისტემით განხორციელდეს. **"საქართველოში სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა რაოდენობის მოსახლეობა ცხოვრობს. ყაზბეგის რაიონში 5000 ამომრჩევლის მიერ არჩეული მაჟორიტარი დეპუტატი და გლდანის რაიონში 30 ათასი ამომრჩევლის მიერ არჩეული პარლამენტარი ერთნაირი უფლებამოსილებითა და მანდატით სარგებლობს. ამიტომაც, შესაძლოა, ერთ რაიონს რამდენიმე დეპუტატი ჰყავდეს,"** - აცხადებს იგი.

ასე რომ, საფიქრალი საქართველოს ხელისუფლებას ნამდვილად აქვს.

# ხელისუფლებაში გახმოვანების ინსტიტუტი მკვიდრდება

ვერიკო თევზაძე

გუშინ პრეზიდენტი სააკაშვილი და პრემიერ-მინისტრი ჟვანია ახალი ინიციატივით გამოვიდნენ - მათ გადაწყვეტილებებს ამიერიდან პრეს-სპიკერები გაახმოვანებენ. ეს, უბრალოდ, სიახლე არ გახლავთ. სიახლეს "პოლიტიკურ დატვირთვას" ანიჭებს ის ფაქტი, რომ ორივე გამხმოვანებელი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია, თანაც, კონფლიქტის ზონებიდან. ოსი ალანა გაგლოევა პრეზიდენტის პრეს-სპიკერი იქნება, ხოლო აფხაზი ლეილა ავიძბა - მთავრობისა.

პრეს-სპიკერები პერიოდულად უპასუხებენ საზოგადოებაში დაგროვილ შეკითხვებს, რომლებსაც მათ ჟურნალისტები მიაწვდიან. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ირაკლი ჩუბინიშვილის განმარტებით, გაგლოევასა და ავიძბას ასეთ ამპლუაში წარმოჩენა იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველო მარტო ქართველებისთვის როდია, ქართულ საზოგადოებაში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ეროვნების ადამიანის ინტეგრირება



გოჩიტა ბახტაძის ფოტო

*პრეზიდენტის პრეს-სპიკერი ალანა გაგლოევა.*

მიმდინარეობს.

გუშინ ალანა გაგლოევამ პრეზიდენტის რამდენიმე პოზიცია გაახმოვანა და ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა. კითხვა-პასუხი, ალბათ, დებიუტის და კოლეგიალობის (ორივე პრეს-სპიკერი საქართველოს ტელევიზიის ყოფილი თანამშრომელია) გათვალისწინებით, მოკრძალებული იყო. ჯერჯერობით, შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონ გაგლოევას, რომელსაც ტელევიზიაში საინფორმაციო გამოშვება მიჰყავდა, სასიამოვნო ხმა აქვს (მთავარია, მისი გასახმოვანებელი გადაწყვეტილებების ტექსტების შინაარსიც ასეთი იყოს). რაც შეეხება გუშინ გახმოვანებულ პრეზიდენტის პოზიციას, პრესსპიკერმა გაგლოევამ, კონფლიქტების მოგვარების კონცეფციებთან დაკავშირებული ვნებათაღელვის ჩასაცხრობად, ბრძანა, რომ საქართველოს პრეზიდენტს, ჯერჯერობით, ოფიციალური პოზიცია არ გააჩნია და იგი უახლოეს დღეებში ჩამოყალიბდება. როგორც გაგლოევამ განაცხადა, ხელისუფლება ისეთ კონცეფციას დაუჭერს მხარს, რომელიც მშვიდობის დამყარებას უზრუნველყოფს.

პრეს-სპიკერების ინსტიტუტის დამკვიდრების შემდეგ, ბუნებრივია, ჩნდება შიშნარევი კითხვა: ამიერიდან ხომ არ მოგვაკლდება საქართველოს პრეზიდენტის სატელევიზიო ეთერში გახშირებული ხილვის სიამოვნება?

არა! - გვაიმედებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ირაკლი ჩუბინიშვილი.

# თაღლითობა სხვისი სახელით

ვერიკო თევზაძე

განათლების ეროვნული კავშირი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც იმდენად დაბალი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, რომ მასმედიის მისაზიდად, სახალხო ფრონტის თავმჯდომარის ნოდარ ნათაძის სახელით სპეკულირებს. აღნიშნული ორგანიზაციის მესვეურები მასმედიას ოფიციალურად პატიჟებენ ნოდარ ნათაძის პრესკონფერენციაზე და სახალხო ფრონტის ოფისში თავად გვევლინებიან ღონისძიების ორგანიზატორებად (პირადად მე უკვე ორჯერ გახლდით ამგვარი უსიამოვნო ფაქტის მომსწრე). ჩემს შენიშვნაზე - რომ ეს არაკეთილსინდისიერი საქციელია, განათლების ეროვნული კავშირის თავმჯდომარემ გიორგი ამაშუკელმა მომიგო, რომ იგი "24 საათიდან" ასეთ შენიშვნას არ მიიღებს. არადა, ამაშუკელმა ამ სიტყვების წარმოთქმიდან რამდენიმე წუთით ადრე თვალებგაბრწყინებულმა მიმიპატიჟა ოფისში ( სწორედ რომ "24 საათის" ხათრით) და რამდენიმე წუთში ჩანთა პრესრელიზებით და სხვადასხვა განცხადებებით ამივსო. ამაშუკელს სხვა გზა რომ არ დარჩენოდა, დაჟინებით ცრუობდა, რომ ეს იყო მისი ორგანიზაციის და სახალხო ფრონტის თავმჯდომარის ერთობლივი პრესკონფერენცია, რაც ბატონმა ნოდარმა კატეგორიულად უარყო.

ამიტომ იმ საკითხებზე, რაც პრესკონფერენციის თემად იყო დასახელებული, კომენტარი ნოდარ ნათაძეს ვთხოვეთ: **"ჩვენს ხელისუფლებას დღეს, არც მეტი, არც ნაკლები, ორჯონიკიძის პოზიცია უჭირავს. ზაქარეიშვილი-კუბლაშვილის პროექტი სულელურად დაწერილი არ არის (არც ამათი დაწერილია, უბრალოდ, ამათი სახელით არის გამოქვეყნებული. ზაქარეიშვილი, კუბლაშვილი და სხვა ოფიციალური ავტორები ანგარებით მოქმედებენ, ესენი არიან რუსეთის პირდაპირი აგენტები და, რუსეთის ნებართვით, კიდევ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აგენტებიც არიან), იგი სულელებისთვის არის დაწერილი. სულელებში ვგულისხმობ იმ ადამიანებს, რომელთაც არ აქვთ უნარი, წინადადების უკან ამოიცნონ მისი იურიდიული შინაარსი და ამით შეძლონ პროგნოზირება, რა მოხდება მომავალში.**

**სამწუხარო იქნება, თუ საქართველოს პრეზიდენტი სულელების რიცხვში აღმოჩნდება. ამ პროექტზე სერიოზულად ლაპარაკი არ შეიძლება. მხოლოდ ორ პარამეტრს დაგისახელებთ: პირველი, ზაქარეიშვილი-კუბლაშვილის პროექტი ქმნის საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის იურიდიულ მექანიზმს, რაც დღემდე არ არსებობს. პროექტის ავტორები აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის ურთიერთობის დამყარებას იწყებენ ნულიდან. ისინი უგულებელყოფენ ჩვენს წარსულს და ამ ორი ერთეულის ურთიერთობას ამყარებენ შეთანხმებაზე, რომელიც დღეს უნდა მოხდეს. შეთანხმების დარღვევა კი მხარეს ყოველთვის შეუძლია.**

**მეორე, აფხაზეთის ხელისუფლებას, რომელიც წმინდად აფხაზურია (მას კონსტიტუციაში ასეთი ფაშისტური მუხლიც კი აქვს ჩაწერილი: პრეზიდენტი უნდა იყოს ეროვნებით აფხაზი), ეძლევა მონოპოლიური უფლება მიგრაციის პროცესთა რეგულირებისა. აფსუებს შეუძლიათ განუსაზღვრელი რაოდენობის და ნებისმიერი ეროვნების უცხოელი დაასახლონ აფხაზეთში და მოქალაქეობა მისცენ. ამით მათ შეუძლიათ, შექმნან არაქართული მოსახლეობის წამლეკავი დემოგრაფიული უპირატესობა აფხაზეთში. ეს ორი მექანიზმი პროექტისა იძლევა იმის გარანტიას, რომ თუ აფხაზეთი შემოვიერთეთ, ეს იქნება დროებითი და ძალიან მოკლევადიანი.**

**მშვენივრად ამბობს მიხეილ ნანეიშვილი: პროექტის ავტორები იურიდიული ტერმინებით პამპულაობენ. დღეს მსოფლიო საპამპულაოდ არ არის განწყობილი. ამ პამპულაობის შედეგად შექმნილ დოკუმენტებს მსოფლიო სერიოზულად შეხედავს და დააკანონებს აფხაზეთის გამოყოფას საქართველოს სახელმწიფოდან."**

# პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს დავალება შეასრულა

## რეგულირების საფასური დაკანონდება

*პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა საკონსტიტუციო სასამართლოს დავალება შეასრულა - "რეგულირების საფასურის შესახებ" კანონპროექტი შეიმუშავა და გუშინ კომიტეტის სამუშაო შეხვედრაზე საჯაროდ განიხილა. განხილვას, დეპუტატების გარდა, მარეგულირებელი კომისიების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ.*

სოფიკო ოხანაშვილი

2003 წლის 10 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლომ ავიაკომპანია "აირზენას" სარჩელი, რეგულირების გადასახადის არაკანონიერად ცნობის შესახებ, დააკმაყოფილა და რეგულირების საფასურის გადასახადი არაკონსტიტუციურად ცნო, რადგან ამ დროს სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტი სახელმწიფო სტრუქტურა იყო. ამის პარალელურად, საკონსტიტუციო სასამართლომ საკანონმდებლო ორგანოს შესაბამის კომიტეტებს რეგულირების სფეროს სამართლებრივი დარეგულირებაც დაავალა.

თუმცა, მოგვიანებით, დეპარტამენტი დამოუკიდებელ მარეგულირებელ ადმინისტრაციად გარდაიქმნა, რის შემდეგაც აუცილებელი გახდა მისი დაფინანსების წყაროს მოძიება. ამიტომ, პარლამენტის მიერ მიღებული კანონის შესაბამისად, მარეგულირებელ კომისიას საკუთარი დაფინანსების წყაროდ რეგულირების საფასური (ზედა ზღვარი ორი პროცენტი) განესაზღვრა.

ასევე, პარლამენტმა გასულ წელს მიიღო კანონი "ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების წესის შესახებ", რომლის მიხედვითაც პარლამენტს დამატებით "რეგულირების საფასურის შესახებ" კანონპროექტის მომზადება დაევალა, რომელიც ქვეყანაში რეგულირების საფასურის არსებობას დააკანონებდა.

"რეგულირების საფასურის შესახებ" კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებას და 2004 წლის 26 მარტის განჩინებას, სადაც აღნიშნულია, რომ რეგულირების საფასურის გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით უნდა მოხდეს. საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს, კერძოდ კი, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს, 2005 წლის პირველ იანვრამდე "რეგულირების საფასურის შესახებ" კანონპროექტის მომზადება "ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროს სახელმწიფო მართვის და რეგულირების წესის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისადაც დაევალა.

დავალება შესრულებულია - პარლამენტში მომზადებული კანონპროექტი საქართველოში რეგულირების საფასურის არსებობას დააკანონებს. კანონპროექტი "რეგულირების საფასურის შესახებ" დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების დაფინანსების ძირითად წყაროს განსაზღვრავს და მათ საშუალებას აძლევს, თავიანთი ფუნქციები დამოუკიდებლად და სრულად განახორციელონ. კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორის, პარლამენტარ ზურაბ ცქიტიშვილის განცხადებით, ამ კანონის მიზანია დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების ფინანსური დამოუკიდებლობისა და მათ მიერ რეგულირების საჯარო ფუნქციის განხორციელების უზრუნველყოფა. მისივე განმარტებით, რეგულირების საფასურის შემოღება განამტკიცებს მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობას, რადგან მათ საკუთარი ბიუჯეტის ფორმირების შესაძლებლობა მიეცემათ.

კანონპროექტის თანახმად, რეგულირების საფასური დაფინანსების წყაროდ განესაზღვრათ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სახელმწიფო სააგენტოს, საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციას, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციას და საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაციას და ყველა იმ ორგანოს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მომავალში ექნება კონკრეტული სფეროს რეგულირების ფუნქცია და რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს.

კანონპროექტის მიხედვით, რეგულირების საფასურის ოდენობა რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ს გარეშე) ორ პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. მარეგულირებელ ორგანოს კი უფლება აქვს, მიწოდების ან მომსახურების დარგში შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების მიხედვით დააწესოს ღირებულების საფასური, რისი ოდენობაც მარეგულირებელი ორგანოს ნორმატიული აქტით დადგინდება. ცქიტიშვილის განმარტებით, მარეგულირებელ კომისიებს შესაძლებლობა ექნებათ, თავად განსაზღვრონ რეგულირების საფასური ნულიდან ორ პროცენტამდე. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ რეგულირების საფასურის გადამხდელი კომისიის მიერ განსაზღვრულ რეგულირების საფასურის ოდენობას არ დაეთანხმება, მას შესაძლებლობა ექნება, კომისიის ეს გადაწყვეტილება სასამართლო ორგანოებში გაასაჩივროს.

კანონპროექტი შემდგომი განხილვისთვის მთავრობას, შესაბამის კომიტეტებს და იუსტიციის სამინისტროს გადაეგზავნება.

# 15 მარტიდან საქართველოში საერთაშორისო სატელეფონო ზარები გაიაფდება

15 მარტიდან საქართველოში საერთაშორისო ზარებზე ტარიფები 30-40-პროცენტით შემცირდება. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით, ოპერატორ კომპანიებს 15 მარტიდან შესაძლებლობა მიეცემათ, საერთაშორისო ზარებზე ტარიფები თავად დააწესონ, რადგან კომისიის მიერ დადგენილი ტარიფების ქვედა ზღვრები გაუქმდება.

როგორც "ინტერ-პრესს" კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ დიმიტრი ქიტოშვილმა განუცხადა, კონკურენციის პირობებიდან გამომდინარე, ოპერატორ კომპანიებს უკვე მომზადებული აქვთ მომსახურების პაკეტები, რაც საერთაშორისო საუბრების გაიაფებას ითვალისწინებს. ამასთან, კომისიის გადაწყვეტილებით, 15 იანვრიდან უქმდება უცხოეთიდან შემომავალ ზარებზე დაწესებული ტარიფები, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული ოპერატორი კომპანიები განხორციელებული ზარებისთვის უცხოურ კომპანიებს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ განსაზღვრულ საფასურს აღარ გადაუხდიან.

"შემომავალი ზარების ტარიფები თავად უცხოურ და ქართულ კომპანიებს შორის მოლაპარაკების შედეგად განისაზღვრება," - აცხადებენ კომისიაში.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** აზერბაიჯანის საბაჟოს სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტს შორის შეთანხმების ხელმოწერა თბილისში ოთხშაბათს იგეგმება. როგორც აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო "ტრენდს" აზერბაიჯანის საბაჟო კომიტეტში აცნობეს, ამ მიზნით შესაძლებელია კომიტეტის თავმჯდომარის ქემალადინ ჰეიდაროვის ვიზიტი თბილისში. დაგეგმილია სპეციალური პუნქტის შეტანა შეთანხმებაში, რომელიც ითვალისწინებს ტვირთების ტრანზიტის აკრძალვას აზერბაიჯანიდან სომხეთში საქართველოს გავლით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგადასახადო დეპარტამენტმა 2004 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში 1,299 მლრდ ლარის მობილიზება შეძლო. როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, 2004 წელს ბიუჯეტში მობილიზებული თანხა 52 პროცენტით - 446 მლნ ლარზე მეტით აღემატება 2003 წელს საგადასახადო სამსახურების მიერ ბიუჯეტში მობილიზებულ თანხებს. როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, 2004 წლის დეკემბერში ქვეყნის საგადასახადო ორგანოებმა, საგადასახადო შემოსავლების სახით, აკრიფეს და ბიუჯეტებსა და სახელმწიფო სპეციალურ ფონდებში შეიტანეს 140,2 მლნ ლარი, რაც თვის საპროგნოზო მაჩვენებელზე 35,5 მლნ ლარით მეტია (2003 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 59,9 მლნ ლარით მეტი). შესრულებამ თვეში 133.9 პროცენტი შეადგინა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წლის პირველ სადეპოზიტო აუქციონზე, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ოთხშაბათს ჩაატარა, წლიური საპროცენტო განაკვეთი არ შეცვლილა და კვლავ 10 პროცენტი შეადგინა. ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ცნობით, აუქციონზე გაიყიდა დეპოზიტი, საერთო მოცულობით 2 მლნ ლარი, ვადიანობით - 56 დღე. ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო ორი კომერციული ბანკის მიერ წარმოდგენილმა ორმა განაცხადმა, ჯამური ოდენობით 2,65 მლნ ლარი. გასული წლის ბოლო, 29 დეკემბრის სადეპოზიტო აუქციონზე ასევ 2 მლნ ლარის ოდენობის დეპოზიტი იყო გამოტანილი, რომლის ვადიანობა 27 დღით განისაზღვრებოდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული ვალუტის კურსი 0,55 თეთრით გამყარდა და ერთ აშშ დოლართან მიმართებაში 1,81 ლარი შეადგინა "თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის" ოთხშაბათის ვაჭრობაზე, - აცნობეს პრაიმ-ნიუსს საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში. შიდა სავალუტო ბაზარზე, შუადღის მდგომარეობით 1 აშშ დოლარის ყიდვა-გაყიდვის კურსები, შესაბამისად, 1,815 და 1,825 ლარს გაუტოლდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ძეგვი.** კასპის რაიონის სოფელ ძეგვის მოსახლეობას ელექტროენერგიის მიწოდება 17 იანვრიდან აღუდგება. როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან აცნობეს, 9 იანვარს ძეგვის ფიდერის 10 კილოვოლტიანი ხაზის ავარიული დაზიანების გამო ძეგვის 500-მდე მოსახლეს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ ფიდერის სარეაბილიტაციო სამუშაოები 12 იანვრიდან დაიწყო. **პრაიმ-ნიუსი**

# ხელისუფლება მაგისტრალური გაზსადენების გაყიდვისთვის საზოგადოების "შემზადებას" ცდილობს

*საქართველოს ახალი ხელისუფლება საზოგადოების მაგისტრალური გაზსადენების მთლიანი ან ნაწილობრივი გაყიდვისთვის "შემზადებას" ცდილობს. ყოველ შემთხვევაში, უკვე ორი დღეა, ჯერ ინფორმაციები ჩნდება, ხოლო შემდეგ კი ხელისუფლების წარმომადგენლები "ნაწილობრივ უარყოფენ" და "ნაწილობრივ ადასტურებენ" მსგავს განზრახვას. შეგახსენებთ - საუბარია იმ ხელისუფლებაზე, რომელმაც გასული წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე იმჟამინდელი - შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ სერიოზული სკანდალი სწორედ ამ თემაზე ააგორა. მაშინდელი ოპოზიცია მაშინდელ ხელისუფლებას მაგისტრალური გაზსადენების ერთობლივი რუსულ-ქართული საწარმოსთვის გადაცემას ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მიყენებულ დარტყმად უთვლიდა და, სხვათა შორის, მაშინ ამ გადაწყვეტილების დაბლოკვა მოხერხდა კიდეც.*

თამარ ხორბალაძე

მას შემდეგ ერთმა წელმა და ბევრმა სახელისუფლებო წყალმაც ჩაიარა. ეს საკითხი რამდენჯერმე, როგორც ჩანს - "სასინჯად," წამოიჭრა კიდეც, მათ შორის - ისევ და ისევ "გაზპრომთან" მიმართებაში, თუმცა დღემდე თემა ერთგვარად "დაკონსერვებული" გახლდათ.

დღეს ძველი ოპოზიცია ანუ ახალი ხელისუფლება ამ თემას ისევ უბრუნდება, თუმცა - განახლებულ ფორმატში. ჯერჯერობით არ ზუსტდება არც მაგისტრალური გაზსადენების ზუსტი მომავალი, არ ახსენებენ არც "გაზპრომს", თუმცა აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ გაზსადენები კატასტროფულ მდგომარეობაშია და მათი რეაბილიტაციის გარეშე ქვეყანას ლამის სრული ენერგოკატასტროფა ელის:

დღეს მთავრობის სხდომაზე კორპორაციის პრეზიდენტმა დავით ინგოროყვამ რუსეთთან დამაკავშირებელი მაგისტრალური გაზსადენის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოადგინა. ინგოროყვას თქმით, "სისტემა კოლაფსის წინაშე დგას" და მას სასწრაფოდ რეაბილიტაცია სჭირდება.

მისი თქმით, მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციას მთლიანად 613 მილიონი დოლარი ესაჭიროება, აქედან 40 მილიონი დოლარი პირველი ეტაპისთვის არის აუცილებელი.

"გაზის საერთაშორისო კორპორაციის" პრეზიდენტის დავით ინგოროყვას განცხადებით, რეაბილიტაციისათვის თანხების მოძიების რამდენიმე გზა არსებობს. კერძოდ, ინგოროყვას ინფორმაციით, უნდა მოხდეს კორპორაციის მთლიანი ან ნაწილობრივი გასხვისება, დონორული დახმარების მოზიდვა, მენეჯმენტის შეცვლა, ან სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსება.

მთავრობის დღევანდელ სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ენერგეტიკის, ფინანსთა და სახელმწიფო მინისტრებს მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით წინადადებების შეჯერება და თებერვლის პირველ ნახევარში მთავრობისთვის სპეციალური პაკეტის წარდგენა სთხოვა.

ასე რომ, წინასწარი მონაცემებით, "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის" ბედი თებერვლის ბოლოს გადაწყდება.

პრემიერ-მინისტრის თქმით, შესაძლებელია "გაზის საერთაშორისო კორპორაციისა" და "ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის" შერწყმაც მოხდეს, ვინაიდან აღნიშნული ორი კომპანია თითქმის იდენტურ პროექტებზე მუშაობს, ხოლო მათი შერწყმა ხარჯების შემცირებას გამოიწვევს. გუშინვე სახელმწიფო კანცელარიაში ითქვა, რომ ხელისუფლება გაზმომარაგების დივერსიფიკაციის გეგმას ამუშავებს.

ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით კი, საინტერესოა პრემიერ-მინისტრის განცხადება იმის თაობაზე, რომ 2007 წლისათვის ქვეყანამ გაზმომარაგების რამდენიმე ალტერნატიული წყარო უნდა მოიძიოს.

ზურაბ ჟვანიას განცხადებით, შაჰ-დენიზის გაზსადენიდან საქართველომ კონტრაქტით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი ბუნებრივი აირი უნდა მიიღოს, გარდა ამისა, ირანიდან ბუნებრივი აირის მიღების შესაძლებლობებზე უნდა იფიქროს.

**"გაზმომარაგების დივერსიფიკაცია და გაზის ალტერნატიული მომწოდებლების მოძიება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ამოცანაა. საქართველო არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ ერთ გაზმომმარაგებელზე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო რუსულ კომპანია "გაზპრომთან" ურთიერთობაზე უარს აცხადებს,"** - სთქვა მან.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის წევრებს, შაჰ-დენიზის გაზსადენთან დაკავშირებით, აზერბაიჯანულ მხარესთან და უცხოელ ინვესტორებთან მოლაპარაკების გამართვა დაავალა.

ხელშეკრულების მიხედვით, ქართული მხარე ტრანზიტის საფასურად, გაზსადენის საშუალებით თურქეთისთვის მიწოდებული აირის 5 პროცენტს უფასოდ იღებს, ხოლო დანარჩენ 5 პროცენტს - შეღავათიანი ტარიფით.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, წელიწადში ქვეყანამ შაჰ-დენიზიდან 500 ათასი კუბური მეტრის ნაცვლად, 1 მლნ კუბური მეტრი აირი უნდა მიიღოს.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
სსიფ GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ წითელწყაროს გაზსადენის რეაბილიტაცია.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფელ წითელწყაროს განვითარების სათემო კავშირთან "წითელწყარო", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "წითელწყარო" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:
საქართველო, დედოფლისწყაროს რაიონი,
სოფელ წითელწყაროს, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი გელა იაკობაშვილი -სათემო კავშირი "წითელწყაროს"-ს თავმჯდომარე
2005 წლის 14 იანვრიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2 700 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:
საქართველო, დედოფლისწყაროს რაიონი,
სოფელ წითელწყაროს, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი გელა იაკობაშვილი, სათემო კავშირი "წითელწყაროს"-ს თავმჯდომარე
2005 წლის 14 თებერვლის 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
სსიფ GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით დედოფლისწყაროს რაიონის ქ. დედოფლისწყაროს გაზსადენის რეაბილიტაცია.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფელ წითელწყაროს განვითარების სათემო კავშირთან "ხორნაბუჯი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ხორნაბუჯი" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:
საქართველო, დედოფლისწყაროს რაიონი,
ქ. დედოფლისწყაროს, გამგეობის შენობა
საკონტაქტო პირი გელა თეთრაული -სათემო კავშირი "ხორნაბუჯი"-ს წევრი
2005 წლის 14 იანვრიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2 600 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:
საქართველო, დედოფლისწყაროს რაიონი,
ქ. დედოფლისწყაროს, გამგეობის შენობა საკონტაქტო პირი გელა თეთრაული -სათემო კავშირი "ხორნაბუჯი"-ს წევრი 2005 წლის 14 თებერვლის 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:
საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

THE EURASIA FOUNDATION

## განცხადება

ფონდ "ევრაზიის" საქართველოს ოფისი BP ჯორჯია -სთან თანამშრომლობით და გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ფინანსური მხარდაჭერით იწყებს ახალ პროგრამას -"ნავთობსადენის მონიტორინგისა და დიალოგის ინიციატივა" (PMDI).

PMDI-is პროგრამის ფარგლებში ფონდი ევრაზია იწვევს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გამოხატონ თავიანთი ინტერესი BTC-სა და და SCP-ის მილსადენების პროექტების მონიტორინგში ჩასართველად. სამუშაო ჯგუფები შეიქმნება ოთხი ძირითადი თემის გარშემო:

- გარემო და ეკოლოგია
- სოციალური საკითხები
- კულტურული მემკვიდრეობა
- ადამიანისა და შრომის უფლებები

სამუშაო ჯგუფებში წევრები შეირჩევა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- არასამთავრობო ორგანიზაციის გამოცდილება მონიტორინგსა და მსგავსი ტიპის საქმიანობაში;
- არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის ცოდნა და კვალიფიკაცია მონიტორინგის პროცესში მონაწილეობის მისაღებად;
- მონაწილეთა უნარი იმუშაონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფში;
- გამოცდილება კოალიციურ საქმიანობაში

პროგრამით დაინტერესებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა შეავსონ სარეგისტრაციო ფორმა და წარმოადგინონ ფონდ "ევრაზიის" ოფისში არაუგვიანეს 2005 წლის 18 იანვრისა.

პროგრამის სრული აღწერა და სარეგისტრაციო ფორმის მოპოვება შესაძლებელია "ევრაზიის ფონდის" საქართველოს ოფისის ვებ-გვერდზე ან მისაღებში:
1. www.eurasia.org.ge
2. ევრაზიის ფონდის საქართველოს ოფისი, კავსაძის ქ. N3, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 22-32-64; 25-39-42/43;
საკონტაქტო პირი: ელისო ანჩაბაძე,
პროგრამის ადმინისტრაციული ასისტენტი
ელ-ფოსტა: eliso@eurasia.org.ge

# ცუნამის შედეგად დაზარალებულთა დახმარება

პირველი გვერდიდან

აშშ მთავრობამ უკვე გაიღო პირველი თანხა - 350 მლნ.აშშ დოლარი, რომელიც კატასტროფის შედეგების შერბილებას, ცუნამის დროს დაზარალებულების რეაბილიტაციასა და დანგრეული შენობა-ნაგებობების აღდგენას მოხმარდება. კატასტროფის შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეობის მისაღებად ამ რეგიონში აშშ შეიარაღებული ძალების მოსამსახურეებიც გავაგზავნეთ. აშშ-ის საჰაერო ძალების თვითმფრინავები 24 საათის განმავლობაში ანაწილებენ დახმარებას. აშშ სამხედრო საზღვაო ფლოტის სატრანსპორტო თვითმფრინავის "აბრაამ ლინკოლნი" მოსამსახურეებმა ინდონეზიაში პროვიანტი ჩაიტანეს; გარდა ამისა, აშშ სამხედრო საზღვაო ფლოტმა იქ დამატებით გააგზავნა თვითმფრინავი, რომელსაც ძნელადმისასვლელ ადგილებში მყოფ დაზარალებულებთან მისაღწევად გამოიყენებენ. კატასტროფის შედეგების სალიკვიდაციო საქმიანობის გაძლიერების მიზნით მალე იმ ტერიტორიაზე დამატებით გაგზავნიან აშშ სამხედრო პერსონალს. თავის მთავარ მოკავშირეებთან და გაეროს წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად, აშშ-მ წამოიწყო უახლეს ისტორიაში ცნობილი ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი ჰუმანიტარული დახმარების აქციები.

აშშ სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი და ფლორიდის შტატის გუბერნატორი ჯებ ბუში გასულ კვირას ინდოეთის ოკეანის დაზარალებულ რეგიონში ჩავიდნენ, შეხვდნენ ამ რეგიონის ქვეყნების ლიდერებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს,



ჩვენ, ამერიკელები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა დავეხმაროთ აზიის ქვეყნებს, წინ აღუდგნენ ამ კატასტროფის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებს.

რათა შეეფასებინათ გაწეული ჰუმანიტარული დახმარების ძალისხმევა და გამოეკვეთათ არსებული საჭიროებები. ახლა საერთაშორისო საზოგადოებრიობა ჟენევაში იკრიბება, რათა შეიმუშაოს რეკონსტრუქციის გეგმა და შეკრიბოს ფინანსური სახსრები სამხრეთ აზიის ქვეყნების დასახმარებლად.

ამ ძალისხმევას ჩვენი ქვეყნის მთავრობაც უერთდება; მაგრამ ამერიკის დიდსულოვნების უდიდესი წყარო ამერიკელი ხალხის გულებია. ამერიკის მოსახლეობამ - ბავშვებმაც და მოზრდილებმაც - მილიონობით დოლარი შეაგროვეს კატასტროფის შედეგების აღმოსაფხვრელად და აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად. ამერიკელებიც უერთდებიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მომდინარე დიდსულოვნების ნაკადს.

მე ვთხოვე აშშ ყოფილ პრეზიდენტებს, ჯ. ბუშსა და ბ. კლინტონს, ამერიკის მოსახლეობასთან ერთად ემუშავათ ამ მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული საქმიანობის განხორციელების მიზნით. ყოფილი პრეზიდენტები მიმართავენ ამერიკის მოსახლეობას და სთხოვენ მათ, შემოწირულობები საქველმოქმედო ორგანიზაციებში მიიტანონ, იმ ორგანიზაციებში, რომლებიც უკვე ჩართული არიან ცუნამის შედეგად დაზარალებულთა დახმარების საქმეში, რომლებმაც უკვე გააგზავნეს თავიანთი ექსპერტები კატასტროფის რეგიონში და იციან, თუ რა, ჭირდებათ დაზარალებულებს.

ამერიკელები ბევრჯერ დაზარალებულან ბუნებრივი კატასტროფების შედეგად - იქნებოდა ეს მიწისძვრები, გამანადგურებელი ხანძრები თუ ქარიშხლები. ვიცით, რომ არაფერს შეუძლია მოსახლეობის უზარმაზარი ტკივილის გაქარწყლება. მაგრამ ჩვენ, ამერიკელები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა დავეხმაროთ აზიის ქვეყნებს, წინ აღუდგნენ ამ კატასტროფის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებს. ვიზიარებთ მათ მწუხარებას, ვინც ახლობლები დაკარგა, თანავუგრძნობთ ყველა დაზარალებულს და ვაცხადებთ, რომ ცუნამის მსხვერპლთ ამერიკა გრძელვადიან დახმარებას ჰპირდება.

*ჯორჯ ბუში*

# ელცინი მემკვიდრესთან შედარებით გაცილებით ფრთხილი იყო

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი ექსტრასენსის ჯოან ქუიგლის რჩევებს ენდობოდა, ხოლო რუსეთის ყოფილ პრეზიდენტს ბორის ელცინს, როგორც გაირკვა, "ფსიქიკური უშიშროების" სპეციალური განყოფილება ჰქონდა, რომელიც მას გარედან ფსიქოლოგიური ზეგავლენისგან იცავდა. ამ უკანასკნელის შესახებ "კაგებეს" ყოფილმა ოფიცერმა იური მალინმა განაცხადა, რომელიც ელცინის დროს უშიშროების ფედერალური სამსახურის კონსულტანტად მუშაობდა. მალინის თქმით, რუსულ სპეცსამსახურებს იმ პირთაგან, რომლებსაც ადამიანის ფსიქიკაზე ზეგავლენის მომხდენი აპარატის შექმნა შეეძლოთ, მაღალჩინოსანთა დაცვის სპეციალური განყოფილება ჰქონდა შექმნილი. "კაგებეს" ყოფილი ოფიცრის განცხადებით, დღევანდელი რუსული სპეცსამსახურები დიდად არ ცდილობენ



ბორის ელცინს, როგორც გაირკვა, "ფსიქიკური უშიშროების" სპეციალური განყოფილება ჰქონდა.

ფსიქიკური დაავადებისგან პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის დაცვას, ხოლო მისი თანამშრომლები გარეგან ფსიქოფიზიკურ ზეგავლენასთან ბრძოლის პროფესიონალებს საშველად არ უხმობენ. ყოფილი ოფიცერი იმასაც ამბობს, რომ ელცინი ამ საქმეში გაცილებით ფრთხილი იყო. "განყოფილება მას შემდეგ შეიქმნა, როდესაც რუსეთის მთავრობის შენობაში მოსასმენი აპარატურა, კერძოდ, მიმართული ანტენა და არა მიკროფონი აღმოაჩინეს. სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ ეს ანტენა შენობაში პრეზიდენტზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოსახდენად დაამონტაჟეს," - იხსენებს მალინი.

იური მალინი: "1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთში ექსტრასენსორულ მოწყობილობებს წინასაარჩევნო კამპანიებში იყენებდნენ. მე მაქვს 1995 წლის 16 დეკემბრით დათარიღებული დოკუმენტი - ექსტრასენსორული წინასაარჩევნო მომსახურების პრეისკურანტი. იმ პერიოდში პრეზიდენტობის კანდიდატის ექსტრასენსორული უსაფრთხოების გარანტია თვეში სამი ათასი აშშ დოლარი ღირდა. პატარა ქალაქის მთელი მოსახლეობის "მოსაჯადოებლად" და შესაბამისად საჭირო კანდიდატურისთვის ხმის მისაცემად 2 ათასი დოლარის გადახდა იყო საჭირო. ყველაზე იაფი ექსტრასენსორული მომსახურება - ხალხში გამოჩენის დროს კანდიდატების დახმარება - საათში 150 დოლარი ღირდა."

*ვაშინგტონ თაიმსი*


# თარჯიმანი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს თარჯიმნის თანამდებობის დასაკავებლად. თარჯიმანი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს დახასიათება:**

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**
თარჯიმნის მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:
- ზეპირი თარგმნა შეხვედრების, დისკუსიების და სხვა ღონისძიებების დროს;
- შემომავალი და გამავალი წერილების, სტატიების და სხვადასხვა სახის დოკუმენტების თარგმა;
- თარგმნილი დოკუმენტების კორექტირება;
- ნებისმიერი სხვა დახმარების აღმოჩენა პროექტით დაწესებული ვადების შესრულების მიზნით;
- ყოველდღიური კორესპონდენციის თარგმნა დაწესებულ ვადებში;
- თარგმნილი დოკუმენტების აღრიცხვის სისტემის წარმოება და გამოყენება;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:
- ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- საერთაშორისო კომპანიაში თარჯიმნად მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში, ენების გაძლიერებული სწავლებით;
- კომპიუტერთან მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები;
- პრიორიტეტების დაგეგმვის და ორგანიზების შესანიშნავი უნარი გამომდინარე იქიდან, რომ სათარგმნი მასალები შეიძლება სხვადასხვა ტიპის კლიენტებისგან შემოვიდეს;
- მრავალეროვან გარემოში ადაპტაციის უნარი;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **ორშაბათი, 2005 წლის 17 იანვარი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP ჯორჯია
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38


# მალე პუტინის რეჟიმის აღსასრული დადგება

პირველი გვერდიდან

პუტინი სულ უფრო დაუფარავად აგრძელებდა საკუთარი ძალაუფლების გაძლიერებას და თავისი პეტერბურგელი თანამემამულეებისა და ჩეკისტი ამხანაგების ვიწრო წრეს ისეთი პოსტები მიანდო, რომლებიც მათ პროფესიულ თუ პროფესიონალურ შესაძლებლობებს აშკარად აღემატებოდა. საბედნიეროდ, ამ წრის მზარდი ძალაუფლება მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელთა (ე.წ. ოლიგარქთა) გავლენით იყო გაწონასწორებული. შედეგად, პოლიტიკას მთავრობაში ძირითად პოსტებზე მყოფი რეფორმატორების ჯგუფი განსაზღვრავდა, რომლის ბირთვს ეკონომიკის მინისტრი გერმან გრეფი და ფინანსთა მინისტრი ალექსეი კუდრინი წარმოადგენდნენ. ხალხში ერთნაირად არაპოპულარული ჩეკისტებისა და ოლიგარქების ერთმანეთში დაპირისპირებით, პუტინი საკუთარი პოპულარობის უპრეცედენტო დონის შენარჩუნებას ახერხებდა.

შარშან კი ვითარება ძირეულად შეიცვალა. პუტინი პოზიციებს თმობდა, რაც 3 მოვლენის შედეგი იყო: ნავთობკომპანია "იუკოსის" კონფისკაცია, სექტემბერში ბესლანის ტრაქტზე სახელმწიფოს ჯეროვანი რეაგირების უუნარობა და უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში პუტინის აშკარა ჩარევა. პუტინის წაუგებელი სერიის დასასრულის დასაწყისი 2003 წლის 25 ოქტომბერი გახდა, როდესაც "იუკოსის" მთავარი აქციონერი მიხაილ ხოდორკოვსკი დააპატიმრეს. დაპატიმრების ძირითადი მოტივი პუტინისთვის საკუთარი ძალაუფლების გაძლიერების სურვილი და კომპანიის აქტივებზე ხელის მოთბობა იყო. ხოდორკოვსკის დაპატიმრებით დამფრთხალმა რუსმა ბიზნესმენებმა პოლიტიკა დატოვეს. ძალაუფლების ყველა წყარო, რომელსაც პუტინის საპირწონეს როლის შესრულება შეეძლო, განადგურდა ან მნიშვნელოვნად შესუსტდა და უცებ აღმოჩნდა, რომ პუტინი ქვეყანას ერთპიროვნულად მართავს, ჩეკისტი ოფიცრების ვიწრო წრესთან ერთად.

დღეს, უკვე მომხდარზე თვალის ერთი გადავლებით, ყველას შეუძლია, დაინახოს, რომ პუტინის ხელში ძალაუფლების კონცენტრაცია მეთოდურად და მიზანმიმართულად მიმდინარეობდა. მან ჯერ მასობრივი საინფორმაციო საშუალებები დაიმორჩილა, შემდეგ ერთი მეორეს მიყოლებით თამაშგარე მდგომარეობაში დატოვა ოლიგარქები - ხოდორკოვსკი მესამე იყო იმათთაგან (ბერეზოვსკი, გუსინსკი), ვისაც არ გაუმართლა. პუტინმა კორუფციასთან ბრძოლის სარჩულით და საარჩევნო პროცესის მანიპულირებით ბევრი გუბერნატორი თანამდებობიდან გადააყენა, ან მათი პოლიტიკური გავლენა ძლიერ შეასუსტა. ეკონომიკა სწრაფი ტემპებით იზრდებოდა, პრეზიდენტი მთლიანად აკონტროლებდა ბიუროკრატიულ აპარატსა და პრესას, რამაც საშუალება მისცა მისსავე პარტიას "ედინაია როსიას", 2003 წლის დეკემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ადგილების ორი მესამედი დაეკავებინა. 2004 წლის მარტში კი პუტინი ხმების უმრავლესობით (70 პროცენტზე მეტი) უკვე მეორე ვადით აირჩიეს პრეზიდენტად, თანაც არჩევნები შეფასდა, როგორც "თავისუფალი", მაგრამ "უსამართლო". რეპრესიები რუსეთში უფრო ეფექტურია, ვიდრე მკაცრი. ოპოზიციის პოტენციურ ლიდერებს არავინ აპატიმრებს, მაგრამ მათ აქტიურად აძევებენ პოლიტიკური სცენიდან.

პუტინის ყველაზე სუსტი წერტილი ქვეყანაში ძალაუფლებისკენ გაუმაძღარი სწრაფვაა. პრეზიდენტობის პირველი ვადის დროს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და პრემიერ-მინისტრის პოსტებზე მყოფი ძლიერი ფიგურები, მეორე ვადით არჩევისას პუტინმა ისეთი ხალხით შეცვალა, რომლებიც ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების უუნარობით არიან ცნობილნი. ასეთი გადანაწილებით, ყველა გადაწყვეტილებას, რეალურად, პრეზიდენტი იღებს, თუმცა ვერც მან გამოიჩინა განსაკუთრებული თავდაჯერება. შედეგად, ადმინისტრაციული აპარატი თითქმის პარალიზებულია, გარდა ამისა, საზოგადოებრივ საინფორმაციო ნაკადს სპეცსამსახური მართავს, ხოლო უკუქმედების მექანიზმების უმეტესობა დანგრეულია. ყველაფერ ამასთან ერთად, პუტინი უკიდურესად ჯიუტი ადამიანიც გამოდგა. ერთხელ კურსის არჩევით, ის არავითარ შემთხვევაში აღარ გადაუხვევს მას მაშინაც კი, თუ აღმოჩნდება, რომ მის მიერ არჩეული გზა მცდარია. ამის შესანიშნავი მაგალითია ჩეჩნური კამპანია და "იუკოსთან" პუტინის დამოკიდებულება. და საერთოდ, გასული წლის სამივე მოვლენამ დამაჯერებლად წარმოაჩინა პუტინისა და მისი მთავრობის უმწეობა.

"იუკოსის" საქმით, რომელიც კომპანიის ფაქტობრივი კონფისკაციით დასრულდა, ნამდვილი საგადასახადო თვითნებურობის გამო, რასაც ხელისუფლების მორჩილმა მოსამართლეებმა მხოლოდ კანონიერი ფორმა შესძინეს, პუტინმა სასაცილოდ ასაგდებად გასწირა ერთბაშად ორი თავისი პირმშო: რადიკალური საგადასახადო და პროგრესული სასამართლო რეფორმები. მან აგრეთვე ბოლო მოუღო წარმატებულ ანგლოამერიკულ ეკონომიკურ სტრატეგიას, რომელიც კერძო ნედლეულის კომპანიების კონკურენციას ეფუძნებოდა, რაც მას ბორის ელცინისგან ერგო მემკვიდრეობით. ხოდორკოვსკის საქმე მხოლოდ დამოუკიდებელი ბიზნესმენების დამცირების სურვილიც რომ ყოფილიყო, პუტინის ჩეკისტი მეგობრები ამ დროს სახელმწიფო საწარმოებში აქტივების ფრიალით საკუთარ ჯიბეებს ისქელებდნენ.

ბუნებრივია, რუსული ბიზნესის მესაჭეებს უჩნდებათ კითხვა: "ვინ იქნება შემდეგი?". მით უფრო, რომ საგადასახადო ორგანოები და პროკურატურა ყველაფერს აკეთებენ, რომ მათ მოდუნების საშუალება არ მისცენ. მსგავსი პერსპექტივის დანახვით, ვინ არ შეამცირებს თავის საინვესტიციო გეგმას? მიუხედავად იმისა, რომ ნედლეულის ფასები არნახულად მაღალია, საინვესტიციო და სამრეწველო პროგნოზებში რუსეთს ძალიან დაბალ საფეხურზე აყენებენ ბიზნესის მიმართ სახელმწიფოს მზარდი გაურკვევლობის გამო.

ადამიანური თვალსაზრისით, ბესლანის ტრაქტი ნამდვილი ტრაგედია გახდა, გარდა ამისა, მან პუტინის რეჟიმს ბევრი "შავი ნიშანი" მოუტანა. სამართალდამცავი ორგანოების არნახული კორუმპირებულობის წყალობით, ტერორისტებმა სკოლამდე მიღწევა დაუბრკოლებლად შეძლეს. გასაოცარია, მაგრამ სკოლის დაპყრობის დღეებში ხელისუფლება სრულიად პასიურობდა და საზოგადოებას ტყუილებით კვებავდა. კრიზისის მესამე დღეს ადგილობრივი მოსახლეობის მოთმინება ამოიწურა და სკოლას თვითონ შეუტიეს. თავდასხმამ საყოველთაო ქაოსი გამოიწვია. სამასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. კატასტროფის შემდეგ პუტინმა თავისი ხელდასმული ჩეკისტებიდან არავინ გაათავისუფლა და არ აღიარა, რომ სწორედ ისინი იყვნენ მომხდარზე პასუხისმგებელნი. არ იცვლება მისი საბედისწერო პოლიტიკა ჩეჩნეთთან დამოკიდებულებაშიც, რასაც ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ტერიტორიებზეც შეუძლია ვითარების დესტაბილიზაცია. დაბოლოს, გასული წლის მიწურულს უკრაინა პრეზიდენტს ირჩევდა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ძირითადი ბრძოლა დემოკრატიულ კანდიდატ ვიქტორ იუშენკოსა და ოლიგარქიის წარმომადგენელ პრემიერ-მინისტრ ვიქტორ იანუკოვიჩს შორის გაჩაღდებოდა, რომელიც ადრე ორჯერ ნასამართლევიც იყო. საზოგადოებრივი გამოკითხვების თანახმად, იუშენკოს დიდი უპირატესობით უნდა გაემარჯვა სამართლიან ბრძოლაში. სწორედ ეს გახდა პრეზიდენტ პუტინის დღემდე ყველაზე თვალსაჩინო ჩავარდნა. იგი აქტიურად ერეოდა წინასაარჩევნო კამპანიაში, ორჯერ ჩავიდა უკრაინაში იანუკოვიჩის სასარგებლოდ აგიტაციისათვის, რუს ბიზნესმენებს მის კამპანიაში, როგორც იუშენკოს წინასაარჩევნო შტაბის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, 300 მილიონი აშშ დოლარის ჩადება აიძულა. კენჭისყრის შედეგების აშკარა გაყალბების მიუხედავად, პუტინმა იანუკოვიჩს არჩევნებში გამარჯვებაც კი მიულოცა. მოკლედ, უკრაინაში პუტინი დემოკრატიისა და დასავლეთის ცუდად ინფორმირებული მეტოქე აღმოჩნდა, რომელსაც ჩანაფიქრის განხორციელება არ გამოუვიდა. გასაკვირი არაფერია იმაში, რომ "იუკოსი", ბესლანი და უკრაინა ხელისუფლების ზედმეტი ცენტრალიზაციის, ყველა კორექციული მექანიზმისა იგნორირებისა და სისტემატური დეზინფორმაციის პირდაპირი შედეგი გახდა, რასაც რუსეთის ლიდერის პიროვნული სიჯიუტე აძლიერებს. 1989 წელს მიხაილ გორბაჩოვის ქმედების მსგავსად, პუტინმა სათითაოდ ჩამოართვა მთელი ძალაუფლება ყველა ორგანოს. მისი ლეგიტიმურობა მხოლოდ მის პოპულარულობას ეყრდნობა, რომელსაც დღეს გარდაუვალი კრახი ელოდება, მას შემდეგ, რაც მან საკუთარი მთავრობის პარალიზება მოახდინა და თავის წინააღმდეგ მომართა რეგიონების ელიტა. პუტინის რეჟიმი საკმაოდ ვიწრო ბაზას ეყრდნობა და ხელისუფლებაში დიდხანს დასარჩენად ძალზედ არაეფექტურია. რთულია იმის გაგება, რამდენად მალე დაიშლება მისი რეჟიმი და ვინ მოვა მის მაგიერ, მაგრამ დღევანდელი ხელისუფლება გაცილებით ადრე დაიშლება, ვიდრე ვინმე ივარაუდებს. პუტინი განსაკუთრებით პოლიტიკური თვალსაზრისითაა სუსტი. მისი სისუსტე ნაკლებ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე. თუმცა, რეჟიმის შეცვლა, როგორც ეს უკრაინის მაგალითმა ცხადყო ახლახანს, შესაძლოა ეკონომიკური აღმასვლის დროსაც მოხდეს. საქმე ის არის, რომ დღევანდელი რეჟიმი თავისთავად სიცოცხლისუუნაროა და ყოველი ახალი დარტყმა შიდა ბზარებს მხოლოდ გააღრმავებს. პუტინის რეჟიმის სუსტი ადგილების ანალიზს აშშ-ს პოლიტიკაზე (რუსეთთან დაკავშირებით) მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. ჯერ ერთი, რეჟიმს მალე შეცვლის რეალური შანსი აქვს. მეორე, ის, რაც სპეცსამსახურთა თანამშრომლობას შეეხება - რუსეთი ნაკლებად სასარგებლო იქნება აშშ-სათვის, სანამ ხელისუფლების საჭესთან ესოდენ ცუდად ინფორმირებული და არაეფექტურად მომუშავე ლიდერი იქნება. მესამე, უკრაინაში პუტინმა უჩვენა, რომ დასავლეთის და კონკრეტულად ამერიკის წინააღმდეგ არის განწყობილი, რითიც აშშ-სთან თანამშრომლობის განვითარებისათვის ადგილი არ დატოვა. მეოთხე, პუტინმა საკუთარ შეცდომებზე სწავლის იშვიათი უუნარობით გამოიჩინა თავი. ერთადერთი, რაც ამ სიტუაციაშია კარგი - რუსეთი მეტისმეტად სუსტია იმისათვის, რომ საფრთხეს წარმოადგენდეს. სასაცილოა, მაგრამ პუტინი თვითონ აიძულებს აშშ-ს, დაუბრუნდეს იმ პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა კავშირის დროს მისდევდა. ისევ ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწევს ბირთვული რაკეტებით შეიარაღებული თითქმის ავტორიტარული რეჟიმის დანგრევისათვის მიზანმიმართულად ხელის შეწყობა. შესაძლოა, ამის გაკეთება დიდი ზიანის მიყენების გარეშეც ყოფილიყო შესაძლებელი, მაგრამ უკვე დროა, გავთავისუფლდეთ იმ ილუზიისაგან, რომ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენს მხარდამხარ დგომა შეუძლია "გოლიათს თიხის ფეხებზე" - იგივე რუსეთს.

*ვიქლი სტანდარტ*

# განცხადება

## "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

**ადმინისტრაციული სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

სამინისტროს საქმიანობის ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა, სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია, საკადრო პოლიტიკის წარმართვა, საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობა, სამინისტროს კომპიუტერული ქსელის ტექნიკური უზრუნველყოფა, ზრუნვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0ლარი)

■ კანცელარიის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500.0 ლარი)

■ სამდივნოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500.0 ლარი)

■ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500.0 ლარი)

■ კომპიუტერული მომსახურების განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500.0 ლარი)

■ ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 450.0 ლარი)

■ მინისტრის თანაშემწე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო600.0 ლარი)

■ მინისტრის მოადგილის თანაშემწე -2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 590,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 5 საშტატო ერთეული(თანამდებობრივი სარგო 400.0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320.0 ლარი)

■ სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250.0 ლარი)

**იურიდიული სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

სამინისტროს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება, სამინისტროს ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის და სამოქალაქო სასარჩელო საქმიანობის ორგანიზება, გარემოს დაცვის სფეროში ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია. სამინისტროს სახელმწიფო ქონების დაცვაზე კონტროლი, შრომითი კანონმდებლობის დაცვაზე ზედამხედველობა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320.0 ლარი)

■ სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250.0 ლარი)

**რეგიონებთან ურთიერთობის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის მართვა და ზედამხედველობა, მათი საქმიანობის კოორდინცია, ტერიტორიული ორგანოების ოპერატიულ საკითხებზე მუშაობა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320.0 ლარი)

**ზედამხედველობის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის სფეროში ვალდებულებათა შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი. მაღალი ეკოლოგიური რისკის მქონე ობიექტების მშენებლობასა და მათ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი მონიტორინგის განხორციელება.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო700,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0 ლარი)

■ გარემოს დაბინძურების კონტროლის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500.0 ლარი)

■ ბუნებრივი რესურების სარგებლობაზე კონტროლის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500.0 ლარი)

■ მთავრი სპეციალისტი - 6 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400.0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320.0 ლარი)

■ სპეციალისტი - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250.0 ლარი)

**ეკონომიკური პოლიტიკის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი გადასახადების ნორმატივებისა და მათი გამოყენების წესის პროექტების შემუშავება. ეკოლოგიურ-ეკონომიკური ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და ანალიზი, მართვის ეკონომიკური მეთოდების მოწინავე გამოცდილების შეწავლა და დანერგვა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320.0 ლარი)

**ფინანსებისა და ბუღალტერიის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

სამინისტროს სისტემაში საფინანსო საქმიანობის განხორცილება, საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება, საბიუჯეტო სახსრების საპროგნოზო პარამეტრების განსაზღვრა და სამინისტროს სისტემის საბიუჯეტო პროცესის წარმართვა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700.0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0ლარი)

■ მთავარი ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400.0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320.0 ლარი)

■ სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250.0 ლარი)

**ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმაზე დაყრდნობით.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0 ლარი)

■ კონვენციური განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500.0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400.0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320.0 ლარი)

■ სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250.0 ლარი)

**საერთაშორისო ურთიერთობისა და კონვენციების სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო, არასამთავრობო, აკადემიურ და სხვა სახის ორგანიზაციებთან, საერთაშორისო და რეგიონული გარემოსდაცვითი კონვენციების სამდივნოებთან სამინისტროს ურთიერთობის კოორდინირება.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400.0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320.0 ლარი)

■ სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250.0 ლარი)

**პროექტების კოორდინაციისა და მომზადების სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ამავე სფეროში პროექტების მომზადებისა და ფინანსური სახსრების მოზიდვის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორ ქვეყნებთან თანამშრომლობა, ცალკეული პროექტების მიმდინარეობის კონტროლი და კოორდინაცია.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320.0 ლარი)

■ სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250.0 ლარი)

**გარემოს მონიტორინგისა და სტატისტიკის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

სამინისტროს სისტემაში და მის გარეთ არსებული გარემოს მონიტორინგული სამსახურებიდან მონაცემთა შეკრება, ანალიზი და შენახვა. ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო ორგანოების, იურიდიული და კერძო პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, გარემოსდაცვითი ინდიკატორების შემუშავება და დანერგვა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250,0 ლარი)

**წყლის რესურსების მართვის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ზედაპირული წყლის რესურსების დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის უზრუნველყოფა, წყალსარგებლობის სახელმწიფო აღრიცხვა, წყალდაცვითი ღონისძიებების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, ამ მიზნით განსახორციელებელ სამუშაოთა შესრულების კოორდინაცია.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0 ლარი)

■ წყალსარგებლობის მართვის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500.0 ლარი)

■ შავი ზღვის დაცვის კონვენციური განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250,0 ლარი)

**ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის ორგანიზებაში მონაწილეობა. ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამეცნიერო კვლევით პროგრამებში, გეგმებისა და ეკონომიკური მექანიზმების შემუშავებაში მონაწილეობა. საინფორმაციო საცნობარო ბანკის შექმნა და დაინტერესებულ მხარეთათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0 ლარი)

■ ემისიათა ინვენტარიზაციისა და აღრიცხვის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500,0 ლარი)

■ ემისიათა რეგულირებისა და მართვის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250,0 ლარი)

**მიწის რესურსების სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

მიწის რესურსების მართვის, აღრიცხვისა და მიზნობრივი გამოყენების კონტროლის სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფაში მონაწილეობა. ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისა და გაზრდის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება. მიწის რესურსების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისა და საიჯარო მიწათსარგებლობის კონტროლი. საშიში ნივთიერებებითა და ნარჩენებით დაბინძურებული მიწების ინვენტარიზაციის ორგანიზებაში მონაწილეობა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0 ლარი)

■ მიწის რესურსების აღრიცხვის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500,0 ლარი)

■ მიწათსარგებლობისა და მიწის მიზნობრივი გამოყენების სახელმწიფო კონტროლის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500,0 ლარი)

■ მიწათმოწყობისა და მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250,0 ლარი

**ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების (მათ შორის პესტიციდების და მინერალური სასუქების) რეგულირების სფეროში სახელმწიფო მმართველობის მექანიზმის, საკანონმდებლო, ნორმატიულ-მეთოდური და ეკონომიკური ბაზის შექმნაში მონაწილეობა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250,0 ლარი)

**კანონშემოქმედებითი სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

სამინისტროს კანონშემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა; საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მომზადება და მათი სამართლებრივი ექსპერტიზა; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ცალკეული დარგების სამართლებრივი ბაზის შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250.0 ლარი)

**სტრატეგიული დაგეგმვის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობა, მისი ცალკეული თემატური მიმართულებების მიხედვით კონცეფციების, პროგრამებისა და მოქმედებათა გეგმის შემუშავების პროცესში სამინისტროს შესაბამისი რგოლების მონაწილეობის ხელშეწყობა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250,0 ლარი)

**კლიმატის ცვლილების სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

კლიმატის ცვლილების პრობლემებზე წარმოებულ სამუშაოთა სახელმწიფო რეგულირების, სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა. საქართველოში კლიმატის ცვლილების მდგომარეობის შესახებ მმართველობითი ორგანოების, მეურნეობის დარგებისა და მოსახლეობის ფაქტობრივი და პროგნოსტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0 ლარი)

■ ეკონომიკის მდგრადი განვითარების განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500,0 ლარი)

■ ეროვნული პოლიტიკის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250,0 ლარი)

**ბუნებრივი და ანთროპოგენური რისკების სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

ბუნებრივი და ანთროპოგენური რისკის პრევენციის კოორდინაცია. ბუნებრივ და ანთროპოგენულ კატასტროფებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გახორციელების კოორდინაცია, მიზეზების შესწავლა-შეფასება, შედეგების აღრიცხვა, ანალიზი და საინფორმაციო ბანკის შექმნა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250,0 ლარი)

**შიდააუდიტორული სამსახური**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

სამინისტროს ყველა რგოლის ვალდებულებათა შესრულებასა და კოორდინაციაზე, ფინანსურ და ორგანიზაციულ საკითხებზე კონტროლი. თითოეულ თანამშრომელზე საინფორმაციო ბანკის შექმნა-შეფასება, საქმიანობის შედეგების აღრიცხვა, ანალიზი.

■ სამსახურის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250,0 ლარი)

**გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

გარემოსდაცვითი ნებართვების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, გარემოსდაცვითი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში შესაბამისი ლიცენზიების გაცემა. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების, ლიმიტების დამტკიცების ორგანიზება და შესაბამისი საქმიანობის წარმართვა-კოორდინაცია.

■ სამსახურის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ სამსახურის უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0 ლარი)

■ საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500,0 ლარი)

■ ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500,0ლარი)

■ საორგანიზაციო განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500,0 ლარი)

■ დოკუმენტთა რეგისტრაციისა და მონაცემთა აღრიცხვა-დამუშავების განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250,0 ლარი)

**ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახური**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მართვის ერთიანი სისტემის ორგანიზება და წარმართვა. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროს მეთოდური, ინფორმაციული, ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

■ სამსახურის უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700,0 ლარი)

■ სამსახურის უფროსის მოადგილე - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 600,0 ლარი)

■ მაიონებელი წყაროების, მათი შემცველი დანადგარებისა და ობიექტების აღრიცხვისა და ზედამხედველობის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500,0 ლარი)

■ საგანგებო რადიოლოგიური სიტუაციების შეფასების და ლიკვიდაციის განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 500,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ უფროსი სპეციალისტი - 5 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 320,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 250,0 ლარი)

**სატყეო დეპარტამენტი**

■ თავმჯდომარის მოადგილე - 4 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 800,0 ლარი)

**ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

დეპარტამენტის სისტემაში არსებული ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი, კადრებთან მუშაობა, საქმის წარმოება, დარგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინ-

გაგრძელება A7 გვერდზე

A5 გვერდიდან

დიკატური გეგმის ორგანიზება, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებისა და ბიუჯეტის პროექტების შემუშავება. გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის მიმდინარეობისა და შინაგანაწესის მოთხოვნათა შესრულების კონტროლი.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ მთავარი ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 350,0 ლარი)

■ განყოფილების უფროსი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 350,0 ლარი)

■ თავმჯდომარის თანაშემწე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 260.0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 260,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 6 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 200,0 ლარი)

**ტყის დაცვისა და აღდგენის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

ტყის დაცვისა და აღდგენის ღონისძიებათა დაგეგმვა, განხორციელება და კონტროლი, ტყის ფონდზე უარყოფითი ფაქტორების მონიტორინგი, მათი თავიდან აცილება და აღმოფხვრა, ტყის კანონმდებლობის დარღვევაზე რეაგირება, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და პროგრესული მეთოდების დანერგვა და გამოყენება.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ სპეციალისტი -10 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 200,0 ლარი)

**ტყის აღრიცხვისა და ტყით სარგებლობის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

ტყის ფონდის აღრიცხვის სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება, მოპოვებული მასალების ანალიზი, ტყის გაცემის ორგანიზებისა და სრულყოფისათვის დასკვნების, წინადადებების წარმოდგენა. დაქვემდებარებული ორგანიზაციების მეთოდური და პრაქტიკული დახმარება, თანამედროვე მეთოდებისა და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ სპეციალისტი -8 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 200,0 ლარი)

**სატყეო განვითარებისა და მონიტორინგის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

სატყეო მეურნეობაში კვლევისა და მონიტორინგის კოორდინირება, მონაწილეობა საერთაშორისო ურთიერთობებში. სატყეო სექტორთან დაკავშირებული პროექტების დაგეგმვა-განხორციელება, საერთაშორისო, სამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 200,0 ლარი)

**დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი**

■ დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 800,0 ლარი)

**განვითარების სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

დაცული ტერიტორიების რესურსების მართვა, იარაღსა და სპეცაღჭურვილობაზე ზედამხედველობა, სამეცნიერო, საგანმანათლებლო საქმიანობა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლება. ტრანსსასაზღვრო ურთიერთობები და ეკოტურიზმის განვითარება.

■ სამმართველოს უფროსი - 1საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 260,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 200,0 ლარი)

**დაგეგმვის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

ლანდშაფტების დაგეგმვა, ბიომრავალფეროვნების ინვენტარიზაციისა და მონიტორინგის მონაცემთა ბაზის წარმოება, დამხმარე ზონების ეკონომიკურ-სოციალური პროგრამების დაგეგმვა. მენეჯმენტის გეგმის შემუშავებასა და აღსრულებაზე კონტროლი.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 260,0 ლარი)

■ სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 200,0 ლარი)

**ადმინისტრაციული სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

საქმიანობის დადგენილი წესით ინსტრუქციების, ნორმატიული და სხვა კანონქვემდებარე აქტების პროექტების შემუშავება, ფინანსური მენეჯმენტი, აღრიცხვა - ანგარიშგების მეთოდური უზრუნველყოფა. დეპარტამენტის ორგანიზაციულ-საოქმო უზრუნველყოფა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ მთავარი ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 350,0 ლარი)

■ თავმჯდომარის თანაშემწე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 260,0 ლარი)

**ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტი**

■ დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე - 1საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 840,0 ლარი)

■ დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 800,0 ლარი)

**ადმინისტრაციული სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმის წარმოების, საქმიანობის სამუშაო გრაფიკის მიხედვით წარმართვისა და საოქმო უზრუნველყოფის ორგანიზება. ბრძანებათა პროექტების მომზადება და ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა. დარგობრივი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და მიმოწერის უზრუნველყოფა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 360,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 6 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 260,0 ლარი)

**დაკვირვების სახელმწიფო ქსელისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

დეპარტამენტის განვითარების პერსპექტივების შემუშავებაში მონაწილეობა, დაკვირვების სახელმწიფო ქსელისათვის გეგმა-დავალებების შემუშავებისა და მათი შესრულების კონტროლი. ჰიდროლოგიისა და საავიაციო მეტეოროლოგიური ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია და მეთოდური ხელმძღვანელობა. დაკვირვების სახელმწიფო ქსელიდან ინფორმაციის შეკრება და გავრცელება. ჰიდრომეტეოროლოგიის სფეროში ნორმატიული აქტების შედგენა, მისი რეკლამირება და პროპაგანდა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 360,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 6 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 260,0 ლარი)

**ფინანსებისა და ბუღალტერიის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

დეპარტამენტის საწარმოო საქმიანობის აღრიცხვა და ანალიზი დეპარტამენტის განვითარების პერსპექტივის შემუშავება. ბიუჯეტის პროექტის მომზადების ხელმძღვანელობა, საშტატო ნუსხების სისწორის კონტროლი, პერიოდული საბუღალტრო ანგარიშებისა და ნაერთი ბალანსის შეკვრა. მატერიალური ფასეულობების სწორად აღრიცხვიანობაზე პასუხისმგებლობა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 360,0 ლარი)

■ მთავარი ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 350,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 260,0 ლარი)

**გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი**

■ თავმჯდომარის პირველი მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 840.0 ლარი)

■ თავმჯდომარის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 800.0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 260,0 ლარი)

**საფინანსო-სამეურნეო სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ორგანიზება, პროგნოზირება და ანალიზი, ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების საქმიანობის ორგანიზება. საბუღალტრო აღრიცხვიანობა - ანგარიშგების სფეროს მართვა, საბანკო დაწესებულებებიდან ფულადი ოპერაციების განხორციელება, მოხელეთა შერჩევა- გადაადგილება განსაზღვრულ თანამდებობებზე და ამასთან დაკავშირებული სადავო საკითხების მოგვარება.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ მთავარი ბუღალტერი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 350,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 260,0 ლარი)

**სახელმწიფო გეოდეზიური ზედამხედველობისა და ტოპოგეოდეზიური სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

გეოდეზიის, კარტოგრაფიის, აეროფოტოგადაღებებისა და გრავიმეტრიის დარგში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა, სამუშაო პროგრამებისა და გეგმების შედგენა, მისი შესრულება და მართვა, გეოდეზიური და კარტოგრაფიული პროდუქციის გამოყენებაზე საავტორო უფლებების დაცვის ზედამხედველობა.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 360,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 260,0 ლარი)

**სახელმწიფო გეოდეზიურ-კარტოგრაფიული ფონდის და კარტოგრაფიის სამმართველო**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

კარტოგრაფიის თეორიული საკითხებისა და ამ სფეროში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა, დარგისათვის სამუშაო პროგრამის შედგენა, შესრულება და მართვა, გეოდეზიურ-კარტოგრაფიული ფონდის საქმიანობის წარმართვა. შემოსული მასალების შესწავლა-გაანალიზება, დასკვნების მომზადება დარგში მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მიხედვით.

■ სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ სამმართველოს უფროსის მოადგილე - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 360,0 ლარი)

■ მთავარი სპეციალისტი - 5 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 260,0 ლარი)

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს რეგიონალური სამმართველოები**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

სამოქმედო ზონის ტერიტორიაზე ცოცხალი და არაცოცხალი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, გარემოს მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ბანკის შექმნა. მოსახლეობის ეკოლოგიური აღზრდა და განათლება.

■ სამმართველოს უფროსი - 12 ვაკანსია (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

■ სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო

■ იმერეთის რეგიონალური სამმართველო

■ გურიის რეგიონალური სამმართვლო

■ შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველო

■ ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველო

■ სამცხე -ჯავახეთის რეგიონალური სამმართველო

■ მცხეთა- მთიანეთის რეგიონალური სამმართველო

■ კახეთის რეგიონალური სამმართველო

■ ქვემო სვანეთ-ლეჩხუმის რეგიონალური სამმართველო

■ რაჭის რეგიონალური სამმართველო

■ ხაშურის რეგიონალური სამმართველო

■ ფოთის რეგიონალური სამმართველო

**შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექცია**
**საქმიანობის სფერო და ამოცანები**

საქართველოს საზღვაო სივრცეში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესრულების უზრუნველყოფაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება.

საქართველოს საზღვაო სივრცეში გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულების შესრულებაზე ინსპექტირების განხორციელება.

■ ინსპექციის უფროსი - 1 ვაკანსია (თანამდებობრივი სარგო 400,0 ლარი)

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ - კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ, როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

კონკურსს ატარებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსის მონაწილენი გაივლიან ატესტაციას.

საკონკურსო-საატესტაციო კომისია თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის მონაწილეთა შეფასებას ახდენს კონკურსის დროს გამოვლენილი პროფესიული ცოდნის, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახელმწიფო სამსახურის გავლის, შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებისა და კონკურსის შედეგების საფუძველზე.

კონკურსი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

■ ტესტირება

■ ზოგადი უნარები

■ კომპიუტერი

■ უცხო ენა (შერჩევით)

■ ინტერვიუ

ფინანსებისა და ბუღალტერიის, აუდიტის, იურიდიული და კანონშემოქმედებითი სამმართველოს ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნი კანდიდატებისთვის დამატებით ჩატარდება პროფესიული ტესტირება.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საატესტაციო-საკონკურსო კომისიის სამდივნოში წერილობით განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

■ **ავტობიოგრაფია**;

■ **უმაღლესი განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი** (სასურველია ყველა იმ მოწმობის ან სერტიფიკატის წარმოდგენა, რომლებიც გააჩნია კონკურსანტს);

■ **შრომის წიგნაკის ასლი დედანთან ერთად** (ასლის ნამდვილობის დადასტურების შემდეგ დედანი უბრუნდებათ);

■ **პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი** (ასლის ნამდვილობის დადასტურების შემდეგ დედანი უბრუნდებათ);

■ **სასურველია ერთი ფოტოსურათი** (3\4).

საბუთების მიღება დაწყებულია და გრძელდება 2005 წლის 20 იანვრის ჩათვლით, 11-დან 16 საათამდე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არა უადრეს სამი კვირისა.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე: www.moe.gov.ge ან მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. თამარაშვილის ქ.N 15ა, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. ტელ. 39-92-59; 39-92-60

**შენიშვნა:**

1. სახელფასო სარგოები ცხადდება 2004 წლის მდგომარეობით. ვინაიდან 2005 წელს განსაზღვრულია სახელფასო სარგოების მატება, სამინისტრო უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის დამატებით გამოქვეყნებას.

2 ყოველი კონკრეტული ვაკანტური თანამდებობისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ, საბუთების წარდგენისას, საკონკურსო საატესტაციო კომისიის სამდივნოში ან იხილოთ სამინისტროს ვებგვერდზე.

*საჯარო სამსახურის ბიურო*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

### ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..............................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..............................................

**საკონტაქტო ტელეფონი**..............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

**1**

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო კუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი კუპონები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის კუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის კუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „სარაჯიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „ელექტროდეპო");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "ნიუმარკეტი" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის კუპონი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**ავთანდილ სონიშვილი**

1. გთხოვთ გვიპასუხოთ, თუ რა მიზანს ისახავდა შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს გამოცემული კანონი, პრივატიზაციაში გატარებული კოოპერატივების ხელახლა რეგისტრაციაში გატარების შესახებ, სადაც კოოპერატივებს ეცვლებოდათ მარტო სახელი, წესდება კი უცვლელი რჩებოდა.

2. ვინ იღებს გადაწყვეტილებას კოოპერატივის რეგისტრაციის გაუქმებაზე?

3. კოოპერატივს არ გაუვლია ხელახალი რეგისტრაცია, აქვს თუ არა სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება.

ბატონო ავთანდილ,

მოგახსენებთ, რომ 1994 წლის 28 ოქტომბერს მიღებულ იქნა "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, რომელშიც წლების განმავლობაში მრავლად შევიდა სხვადასხვა სახის ცვლილება. ხელახალი რეგისტრაციის მიზანი კი, როგორც წესი, უკვე არსებული მეწარმე სუბიექტების წესდებებისა და იურიდიული მდგომარეობის შესაბამისობაში მოყვანაა არსებულ კანონმდებლობასთან.

კოოპერატივი არის სამეწარმეო საზოგადოება, რომელიც შედგება წევრთა შეუზღუდავი ოდენობისაგან და მიზნად ისახავს საკუთარი წევრების სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, მათი ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. კანონი ადგენს, რომ თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს პირობებს ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, რეგისტრაცია უქმდება, თუკი ეს ხარვეზი სამი თვის ვადაში არ იქნება გამოსწორებული რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს აგრეთვე საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორის ან ნებისმიერი მესამე პირის სარჩელის საფუძველზე. (მუხლი5.8)

მეწარმეთა შესახებ კანონი ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ რეგისტრაცია წარმოადგენს იმ იურიდიულ ხდომილებას, რომელიც იწვევს საზოგადოების წარმოშობას, თუ რეგისტრაცია არ არის განხორციელებული, ითვლება, რომ საზოგადოება არ წარმოშობილა ან მან შეწყვიტა არსებობა. თუკი საზოგადოება, რომელსაც რეგისტრაცია არ განუხორციელებია, ზიანს მიაყენებს თავის პარტნიორს, მისი პარტნიორები კრედიტორის წინაშე სოლიდარულად აგებენ პასუხს.

**თამაზ კალანდაძე**

ვარ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულის, სამხედრო ოფიცრის შვილი, ბავშვობიდან ინვალიდი (მე-3 ჯგუფი). ვიღებ პენსიას მარჩენალის დაღუპვის გამო, სამოცი წლის მანძილზე. ამ ხნის მანძილზე სტიპენდიას (ინსტიტუტში) და ხელფასს ვიღებდი სრულად პენსიასთან ერთად. გთხოვთ, მიპასუხოთ:

1. თუ მაქვს უფლება მუშაობის შემთხვევაში ხელფასთან ერთად სრულად მივიღო პენსია?
2. ამ შემთხვევაში მეკუთვნის თუ არა შეღავათი საშემოსავლო გადასახდზე?
3. არსებობს თუ არა თბილისში სახელმწიფო აფთიაქი მედიკამენტების მისაღებად?

არსებობს თუ არა თბილისში სახელმწიფო სამსახური სათბობის (ნავთის) შეღავათიან ფასებში შესაძენად?

ბატონო თამაზ,

საქართველოს კანონი "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" აწესებს შეღავთებს, რომელიც განსხვავდება მოხუცებულობის პენსიისაგან. შესაბამისად, თქვენ შეგიძლით იმუშაოთ და თან ისარგებლოთ ამ შეღავათებით. ამ კანონის თანახმად:

დაღუპულთა /გარდაცვლილთა/ ოჯახის წევრებს სოციალური დაცვის მიზნით უწესდებათ შემდეგი უფლებები და შეღავათები:

ა) პენსიის მიღების უფლება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) ყველა სხვა სახელმწიფო დაბეგვრა 50 პროცენტის ფასდაკლებით;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან, შესაძლებლობის შემთხვევაში, შეღავათიანი პირობებით ერთჯერადი კრედიტის მიღება ბინის, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და საბაღე სახლის შესაძენად /ასაშენებლად/, საბაღე-საბოსტნე მიწის ნაკვეთის, დამხმარე ან ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად კრედიტის მესამე წლის დასაწყისიდან ათი წლის განმავლობაში დაფარვის პირობით;

დ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით საკარმიდამო მიწის ნაკვეთის უფასოდ მიღება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, მებაღეობა-მებოსტნეობის ან ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად;

ე) ინდივიდუალური სახლის მშენებლობისათვის ადგილობრივი საშენი მასალების პირველ რიგში გამოყოფა და მიღება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული პირობებით;

ვ) დაკავებული სასამსახურო საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლების დაუშვებლობა სამაგიერო ბინის მიუცემლად;

ზ) საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების /გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანა, გაზი, თბოენერგია, რადიოსა და ტელეფონის სააბონენტო გადასახადი კოლექტიური ანტენა ღირებულების 50 პროცენტის გადახდა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო. ელექტროენერგიის უფასო მოხმარება განისაზღვრება ზამთრის სეზონზე (ნოემბერი, მარტი) 125 კვტ. სთ-ით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) - 75 კვტ სთ-ით თვეში;

ეს შეღავათები უწესდებათ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფო და მუნიციპალურ საცხოვრებელ სახლებში, აგრეთვე პრივატიზებულ საცხოვრებელ სახლებში, ხოლო საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების გადახდისა - პირებს საცხოვრებელი ფონდის სახეობის მიუხედავად, იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ არის საცხოვრებელი სახლის დამქირავებელი ან მფლობელი;

თ) იმ სახლებში მცხოვრები პირებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მოსახლეობისათვის მისაყიდი სათბობის ღირებულებისა და მისი მიტანის ხარჯების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა და ამ კატეგორიის პირების პირველ რიგში უზრუნველყოფა სათბობით, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო;

ი) პენსიაში გასვლის შემდეგ იმ სახელმწიფო პოლიკლინიკების მომსახურებით სარგებლობა, რომლებზეც დაღუპულის /გარდაცვლილის/ ოჯახის წევრები იყვნენ მიმაგრებულნი დაღუპულის /გარდაცვლილის/ სიცოცხლეში სახელმწიფოს ხარჯზე;

კ) რეცეპტით გასაცემი წამლებით უფასოდ უზრუნველყოფა ერთ - ერთ სახელმწიფო აფთიაქზე მიმაგრებით;

ლ) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დაღუპულის /გარდაცვლილის/ უკანასკნელი სამუშაო ადგილის მიხედვით წელიწადში ერთხელ სანატორიუმის, დასასვენებელი სახლისა და პროფილაქტორიუმის საგზურით უპირატესი უზრუნველყოფა.

არამომუშავე ოჯახის წევრებს საგზურით უზრუნველყოფს ორგანიზაცია, სადაც დაღუპული /გარდაცვლილი/ იღებდა პენსიას;

მ) მეუღლის შვილებთან ერთად სანატორიუმში, დასასვენებელ სახლსა და პროფილაქტორიუმში დასასვენებლად, აგრეთვე ბავშვთა გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში მკურნალობისათვის საგზურით უპირატესი უზრუნველყოფა სამუშაო ადგილის მიხედვით;

ნ) ბინაზე ტელეფონის დადგმის უპირატესი უფლება;

ო) ამ მუხლში ჩამოთვლილი პირებისათვის სატრანსპორტო ხარჯების სახელმწიფო უზრუევველყოფა ქალაქში - საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობისათვის, სოფლად - საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით სარგებლობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

პ) მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში, აგრეთვე პენსიონერთა სოციალური მომსახურების ტერიტორიულ ცენტრში და ბინაზე სოციალური დახმარების განყოფილებაში პირველ რიგში მიღება; (მუხლი 16)

საქართველოს ახალმიღებული საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს შემდეგი სახის შეღავათს:

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე:

ბავშვობიდან ინვალიდებისა, აგრეთვე I და II ჯგუფის ინვალიდებისა მხედველობის გამო; (მუხლი 168.2 (ა))

რაც შეეხება აფთიაქსა და ნავთს, ეს საკითხი სამართლებრივ სფეროს სცილდება და ვერაფერს გიპასუხებთ.

**ანტონ მამრიკიშვილი**

ჩვენი საწარმო მთავრობის მიერ გამოცხადებულ გასაყიდ საწარმოთა სიაში და დღეს თუ არა ხვალ ე.წ. ტენდერის მსხვერპლი გავხდებით. წარმოებას 18 თვის ხელფასის დავალიანება აქვს. გთხოვთ გაგვიმარტოთ - რა იურიდიული უფლებებით ვსარგებლობთ, რომ ჩვენ შემთხვევაში არ დავზარალდეთ.

ბატონო ანტონ,

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ნებისმიერი საწარმო, რომელიც ტენდერის პირობებით იყიდება, იყიდება ვალებთან ერთად. ასე იქნება თქვენს შემთხვევაშიც. ასე რომ, სახელფასო დავალიანების გასტუმრება უკვე იმ ახალ კომპანიას მოუწევს, რომელიც საწარმოს იყიდის.

**ნინო მაისურაძე**

ყოფილი კომუნალური, ამჟამად პრივატიზირებული ბინა არის ორსართულიანი. აქვს 300 კვ. მეტრამდე საერთო ეზო. ვცხოვრობ პირველ სართულზე. ეზოს გაყოფისას პირველ სართულზე მცხოვრებს მაქვს თუ არა რაიმე უპირატესობა და თუ მაქვს, კერძოდ რა?

ქალბატონო ნინო,

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ მრავალბინიან სახლებში საერთო საკუთრების განაწილება მოხდება 212-ე მუხლის თანახმად. კერძოდ:

ბინის მესაკუთრის წილი საერთო საკუთრებაში განისაზღვრება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ მთელ ფართობთან.

ასე რომ, თქვენ ეზოს გაყოფისას მოგენიჭებათ ფართი თქვენს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ ფართობთან შეფარდებით, მსგავსი უფლებით სარგებლობს ნებისმიერი მეზობელი, მათ შორის, ბოლო სართულზე მცხოვრები მეზობელიც, აქედან გამომდინარე, არავითარი პრიორიტეტი პირველ სართულზე მცხოვრებ პირს არ ენიჭება.

**გიორგი შერგელაშვილი**

გთხოვთ, გაგვიმარტოთ რა სახის შეღავათებია გათვალისწინებული მე-2 ჯგუფის ინვალიდთათვის (დაავადება მიღებულია სამხედრო სამსახურის გავლისას) ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის მონაწილის შსს ორგანოებში მუშაობის 38 წლის სტაჟის მქონე გადამდგარი პოლკოვნიკისთვის.

ბატონო გიორგი,

ჩვენ ამ შეკითხვაზე უკვე გაგეცით ამომწურავი პასუხი. თქვენთვის საინტერესო კითხვებზე უფრო კონკრეტული პასუხი კი შეგიძლიათ მოიძიოთ საქართველოს კანონებში "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" და "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ".

ასევე კიდევ ერთხელ გპასუხობთ თქვენს შეკითხვაზე. კანონით "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" ადგენს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად დაინვალიდებული პირების სოციალური დაცვა გულისხმობს შემდეგი უფლებებsa და შეღავათებs;

ა) პენსიების მომატება და ინდექსაცია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) განთავისუფლება ყველა სახის სახელმწიფო დაბეგვრისაგან;

გ) ბიუჯეტის სახსრებიდან შესაძლებლობის შემთხვევაში შეღავათიანი პირობებით ერთჯერადი კრედიტის მიღება ბინის,ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და საბაღე სახლის შესაძენად /ასაშენებლად/, საბაღე-საბოსტნე მიწის ნაკვეთის, დამხმარე ან ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად კრედიტის მესამე წლის დასაწყისიდან ათი წლის განმავლობაში დაფარვის პირობით;

დ) მომუშავე ინვალიდებისათვის დროებითი გაცემა ხელფასის 100 პროცენტის ოდენობით და საერთო დაავადების შედეგად დროებითი შრომისუუნარობის დროს დახმარების გაცემა ზედიზედ ოთხ თვემდე, ხოლო კალენდარული წლის განმავლობაში - ხუთ თვემდე;

ე) დახმარება კუთვნილი საცხოვრებელი სახლის შეკეთებაში ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული პირობებით;

ვ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით საკარმიდამო მიწის ნაკვეთის უფასოდ მიღების უპირატესი უფლება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ან მებაღეობა-მებოსტნეობის მეურნეობის მოსაწყობად;

ზ) ინდივიდუალური სახლის მშენებლობისათვის ადგილობრივი საშენი მასალების პირველ რიგში გამოყოფისა და მიღების უფლება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული პირობებით;

თ) დაკავებული სასამსახურო საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლების დაუშვებლობა სამაგიეროს მიუცემლად;

ი) მათთან მცხოვრები პენსიონერების, ინვალიდების ან ოჯახის შრომისუუნარო წევრების განთავისუფლება საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების /გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანა, გაზი, ელექტროენერგიის უფასო მოხმარება თვეში განისაზღვრება 50 კვტ. სთ-ის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას - 75 კვტ. სთ-ის ოდენობით, თბოენერგია, რადიოსა და ტელეფონის სააბონენტო გადასახადი, კოლექტიური ანტენა /ღირებულების გადასახადისაგან, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო. ელექტროენერგიის უფასო მოხმარება განისაზღვრება: ზამთრის სეზონზე (ნოემბერი-მარტი) 250 კვტ სთ-ით თვეში, ხოლო ზაფხულის სეზონზე (აპრილი-ოქტომბერი) - 150 კვტ სთ-ით თვეში; *(22.11.2002 N1762)*

კ) იმ სახლებში მცხოვრები ინვალიდებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მოსახლეობისათვის მისაყიდი სათბობის ღირებულებისა და მისი მიტანის ხარჯების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა და მათი პირველ რიგში უზრუნველყოფა სათბობით, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო;

ლ) გაზრდილი და პირველი მოთხოვნილების სურსათის და სამრეწველო საქონლის შესაძენად სპეციალიზებული მაღაზიებით, სექციებითა და განყოფილებებით სარგებლობა;

მ) რიგგარეშე და შეღავათიანი მომსახურება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სამსახურში;

ნ) პენსიაში გასვლის შემდეგ სახელმწიფო და მუნიციპალურ ამბულატორიულ-კლინიკური დაწესებულებების, პოლიკლინიკების მომსახურებით სარგებლობა, რიგგარეშე მომსახურება და ყოველწლიური დისპანსერიზაცია, ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტლებსა და სხვა სახელმწიფო და მუნიციპალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებეში რიგგარეშე უფასო მკურნალობა სახელმწიფოს ხარჯზე;

ო) სამედიცინო დაწესებულებათა დასკვნის საფუძველზე სპეციალურ სარეაბილიტაციო ცენტრში ჯანმრთელობის აღსადგენი მკურნალობის უფასოდ ჩატარება სახელმწიფოს ხარჯზე;

პ) რეცეპტით გასაცემი წამლებით უფასო უზრუნველყოფა აფთიაქების სახელმწიფო ქსელში; ექიმის დასკვნით 1 ჯგუფის ინვალიდებისათვის წამლებით ბინაზე მიტანით მომსახურება; ერთ-ერთ სახელმწიფო აფთიაქზე მიმაგრება;

ჟ) კბილების პროთეზის უფასოდ დამზადება და შეკეთება /ძვირფასი ლითონების პროთეზის გარდა/ სახელმწიფო სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე სხვა პროთეზით და საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე;

რ) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით წელიწადში ერთხელ სანატორიუმის, დასასვენებელი სახლისა და პროფილაქტორიუმის უფასო საგზურით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე.

ინვალიდებს საგზურს მისცემენ ის ორგანოები, სადაც ისინი იღებენ პენსიას. თუ საგზური მიეცემა პირველი ჯგუფის ინვალიდს, მაშინ ასეთივე საგზური ეკუთვნის იმ მომვლელს, რომელიც ინვალიდს აცილებს სანატორიუმამდე და მასთან ერთად იმყოფება. სურვილის მიხედვით, ინვალიდს ორ წელიწადში ერთხელ სანატორიუმის ან დასასვენებელი სახლის საგზურის ნაცვლად ეძლევა კომპენსაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით;

ს) ინვალიდი ვეტერანების ბავშვების უზრუნველყოფა საბავშვო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების უფასო საგზურით სახელმწიფოს ხარჯზე;

ტ) ხელსაყრელ დროს ყოველწლიური ფასიაანი შვებულებით და წელიწადში ერთხელ ერთი თვის დამატებითი უხელფასო შვებულებით სარგებლობის უფლება. თუ ომის I და II ჯგუფის ინვალიდებს სამკურნალოდ ან სანატორიუმში წასასვლელად და უკან დასაბრუნებლად არ ჰყოფნით მორიგი და დამატებითი შვებულება, ნებადართულია, გაუფორმდეთ საავადმყოფო ფურცელი საჭირო დღეების რაოდენობით და მიეცეთ დახმარება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით, იმის მიუხედავად, თუ ვინ და ვის ხარჯზე გასცა საგზური;

უ) ხელით სამართავი მცირელიტრაჟიანი ავტომანქანის ან მოტოეტლის სახელმწიფოს ხარჯზე მიღების უფლება იმ ინვალიდებისათვის, რომელთა დაავადება და დაზიანება შედის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ავტოტრანსპორტის მიკუთვნებისათვის სამედიცინო ჩვენებათა ნუსხაში /ავტომანქანისა -7 წლის, ხოლო მოტოეტლისა -5 წლის ექსპლოატაციის ვადით/ მათი გაყიდვა ან სხვისთვის გაცემის უფლების გარეშე;

ცალკეულ შემთხვევაში I და II ჯგუფის ინვალიდებს ხელით სამართავი მსუბუქი ავტომანქანა ან მოტოეტლი ეძლევათ მაშინაც, როცა ავტომანქანის სამართავად საჭირო ჯანმრთელობა არა აქვთ, მაგრამ ინვალიდის მომსახურებისათვის ავტომანქანის მართვა შეუძლია ერთ დასახლებულ პუნქტში მათთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრს ან სხვა პირს;

ფ) ავტომანქანის მართვის სწავლება სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ;

ქ) გარდაცვალების შემთხვევაში მისთვის ადრე მიცემული ავტომანქანის გარდაცვლილის ოჯახისათვის საკუთრებაში დატოვება;

ღ) მათთვის, ვინც შეღავათიან ფასებში მიიღეს ან სრული ღირებულების გადახდით შეიძინეს სატრანსპორტო საშუალება, ფულადი კომპენსაცია ბენზინის ხარჯის, სატრანსპორტო საშუალების რემონტის, ტექნიკური მომსახურების და სათადარიგო ნაწილების შესაძენად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით;

ყ) მათთვის, ვისაც აქვს სატრანსპორტო საშუალების მიღების შესაბამისი სამედიცინო დასკვნა, სურვილისამებრ, სატრანსპორტო საშუალების ნაცვლად სატრანსპორტო მომსახურების ხარჯების დასაფარავად ყოველწლიური ფულადი კომპენსაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით;

შ) ქალაქში საქალაქო ტრანსპორტით /გარდა ტაქსისა/ უფასოდ სარგებლობა, სოფლად - საგარეუბნო და საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობა სახელმწიფოს ხარჯზე.

I და II ჯგუფის ინვალიდებს წელიწადში ერთხელ სარკინიგზო ან საჰაერო ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლება /ორივე მიმართულებით/. პირს, აცილებს ინვალიდს, გადაეხდება მგზავრობის 50 პროცენტი; III ჯგუფის ინვალიდებს ორ წელიწადში ერთხელ, სურვილის მიხედვით, სარკინიგზო და საჰაერო მგზავრობის ხარჯების /ორივე მიმართულებით/ 50 პროცენტი გადაეხდებათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ჩ) ყველა სახის ტრანსპორტის ბილეთის რიგგარეშე შეძენა;

ც) სატრანსპორტო საშუალებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ფარეხებით, სადგომებით და ტექნიკური მომსახურებით უპირატესი სარგებლობა;

ძ) სახელმწიფო დაწესებულებებში სპეციალობის მიხედვით სამუშაოზე რიგგარეშე მიღება;

წ) სამუშაო სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე უპირატესი დატოვება;

ჭ) არასრული სამუშაო დროის ხანგრძლივობით მუშაობის უფლება; ამასთან შრომის ანაზღაურება ფაქტობრივად ნამუშევარი დროის ან ფაქტობრივად გამომუშავების მიხედვით, I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის 6 საათიანი სამუშაო დღის ხანგრძლივობით, III ჯგუფის ინვალიდებისათვის, აგრეთვე შინაშრომაში ჩაბმული ინვალიდებისათვის - თვეში 18 სამუშაო დღის ხანგრძლივობით;

ხ) ახალი პროფესიების დაუფლება სახელმწიფოს ხარჯზე. სამუშაოს ადგილის მიხედვით კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე კადრების მომზადებისა და გადამზადების სახელმწიფო სისტემაში სწავლების მთელ პერიოდში უკანასკნელ სამუშაო ადგილზე შრომის ანაზღაურების სატარიფო განაკვეთის 100 პროცენტის შენარჩუნებით;

ჯ) უკონკურსოდ ჩარიცხვა სახელმწიფო უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში;

ჰ) უკონკურსოდ ჩარიცხვა სახელმწიფო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და შესაბამისი პროფესიების შემსწავლელ კურსებზე;

ჰ.ა) საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან ავადმყოფობის შედეგად დაინვალიდებული სტუდენტებისათვის სპეციალური მომატებული სტიპენდიის დანიშვნა სახელმწიფო სასწავლებლებში;

ჰ.ბ) ბინაზე ტელეფონის რიგგარეშე დადგმა სახელმწიფოს ხარჯზე;

ჰ.გ) საქალაქთაშორისო სალაპარაკო პუნქტში, ფოსტასა და კავშირგაბმულობის სხვა დაწესებულებებში კავშირგაბმულობის საშუალებებით რიგგარეშე და შეღავათიანი მომსახურება სახელმწიფოს ხარჯზე;

ჰ.დ) კულტურულ-სანახაობითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებეში რიგგარეშე და შეღავათიანი მომსახურება სახელმწიფოს ხარჯზე;

ჰ.ე) მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში, აგრეთვე პენსიონერთა სოციალური მომსახურების ტერიტორიულ ცენტრებში და ბინაზე სოციალური დახმარების განყოფილებებში რიგგარეშე მიღება;

ჰ.ვ) საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან ავადმყოფობის შედეგად დაინვალიდებულ დაზღვეულ სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ ერთი წლის გასვლამდე დაზღვევის სახელმწიფო კომპანიების მიერ ერთჯერადი სადაზღვევო თანხით უზრუნველყოფა. (მუხლი 14).

**თამარ როინიშვილი**

2002 და 2003 წლებში დამიგროვდა ელექტროენერგიის გადასახადი. 2004 წლიდან ყოველთვიურად ვიხდი თანაბრად გადანაწილებულ ელ-ენერგიის ღირებულებას (ახალ დახარჯულ ელ-ენერგიასთან ერთად ძველ ელ-ენერგიის ღირებულებას, ახალს+ძველი ერთი თვის 12 ლარი). გთხოვთ, განმიმარტოთ: 2005 წლის 1 იანვრიდან შეეხო თუ არა ფინანსური ამინისტია ძველ გადასახადს. (მეკუთვნის თუ არა ძველი დარჩენილი ელ-ენერგიის გადასახადის გაგრძელება თვეების მიხედვით).

ქალბატონო თამარ,

ფინანსური ამინისტია შეეხო მეწარმეებს და არა ჩვეულებრივ ფიზიკურ პირებს. ამავე დროს, "თელასი" წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს და სახელმწიფოს არავის გათავისუფლება არ შეუძლია დაგროვილი გადსახადისაგან.

**ნუნუ ნადირაშვილი**

მაინტერესებს 1კვ. მეტრის ფართი მიწის სახელმწიფო ფასი მეტრო "ღრმაღელეს" მიმდებარე ტერიტორიაზე ჩარგლის ქუჩის ზედა მხარეს გუდამაყრის ქ. N8.

მინდა შევისყიდო აღნიშნულ მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთი მცირე ბიზნესისიათვის. როგორ უნდა მოვიქცე?

ქალბატონო ნუნუ,

საქართველოს კანონი "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" ადგენს შემდეგ წესს:

გადაწყვეტილებას სახელმწიფო მიწის სარგებლობაში ან საკუთრებაში გაცემის შესახებ იღებენ შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის რაიონის, ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ამ კანონის, "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის და ამ კანონების შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე (მუხლი 3).

ამავე დროს ქ. თბილისის საკრებულოს მიერ 2003 წლის 20 ივნის მიღებულ იქნა გადაწყვეტილება N 10-4 რომელიც შეეხება ქ. თბილისის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრას. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ქ. თბილისი დაყოფილია ზონებად და ფასებიც ამის მიხედვით რეგულირდება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ცხრილს ამ გადაწყვეტილებიდან:

| ქვეზონების ჩამონათვალი და საზღვრების აღწერა | მიწის ნორმატიული ფასი (ლარებში) |
|---|---|
| | X100 |
| 1 | 2 |
| 46-ე ქვეზონა [illegible] | 17 |

**ნათელა ყიასაშვილი**

მოვალის კუთვნილი ბინა გატანილი იქნა მეორე იძულებით აუქციონზე. მას შემდეგ, რაც ბინა არ გაიყიდა, ნატურით გადმომეცა მე და გატარდა საჯარო რეესტრში, როგორც ჩემი საკუთრება. ბინა დატვირთულია იპოთეკით. იპოთეკის ხლშეკრულება მოვალეს სხვა კრედიტორებთან ჰქონდა გაფორმებული 2001 წლის აპრილში ერთი წლის ვადით. (თანხა შეადგენს ბინის ღირებულების 30 %-ს, ვალი უპროცენტოა).

ეხლა მინდა ამ ბინის გაყიდვა, მაგრამ ვერ ვახერხებ მის იპოთეკისგან გათავისუფლებას უბრალო მიზეზით - ვერ ვპოულობ კრედიტორს, ვის სასარგებლოდაც არის დატვირთული ბინა. მისამართზე, რომელიც მიტითებულია იპოთეკის ხელშეკრულებაში, იგი აღარ ცხოვრობს არც იციან, სად შეიძლება მისი ნახვა. რას მირჩევთ?

ქალბატონო ნათელა,

ზოგადად სამოქალაქო სამართლის მიხედვით, იპოთეკა წარმოადგენს აქცესორულ უფლებას, რაც იმას გულისხმობს, რომ იგი გადადის მყიდველზე. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თქვენ შეგიძლიათ გაყიდოთ ბინა. ამის შემდეგ ვალის გადახდაზე პასუხისმგებელი იქნება ახალი მყიდველი. ასევე არსებობს მეორე გზაც. ამას დეპონირება ეწოდება. გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულება არის ვადიანი, ვადის გასვლის სემდეგ თქვენ შეგიძ;ლიათ ისარგებლოთ 434-ე მუხლით მინიჭებული უფლებით. კერძოდ:

1. თუ კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას, ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მოვალე უფლებამოსილია შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოსა ან ნოტარიატში,ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდი შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.

2. დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან. ანუ, თქვენ შეგიძლიათ მიბრძანდეთ თქვენი რაიონის ნოტარიუსთან და მის სადეპოზიტო ანგარიშზე შეიტანოთ ვალის ძირითადი თანხა. ამის შემდეგ ბინაზე იპოთეკა მოიხსნება (ბინა გახდება უფლებრივად დაუტვირთავი) და თქვენ თავისუფლად შეძლებთ მის გაყიდვას.

**ვახტანგ არგანაშვილი**

როგორც ცნობილია, ე.წ. "ატსტუპნიკების" საკითხი პარლამენტშია განსახილველად შეტანილი. როდის იქნება ღმერთმა იცის. მდგომარეობა ასეთია: 1990 წელს ჩემს ბინაში ერთ ოთახში დავაყენე მდგმური "ატსტუპნოიდ" იმდროინდელი წესით. არავითარი ოფიციალური ხელშეკრულება არ გაგვიფორმებია. აღნიშნული არ მიხდის ბინის ქირას, ამაზე არ გვილაპარაკიაო (რაც კანონი იყო, მოლაპარაკებაც ის იყო). რადგან უმნიშვნელო თანხაზე იყო საუბარი, სადაოდ არ გამიხდია. გთხოვთ გამარკვიოთ: ვალდებულია თუ არა მდგმური, "ატსტუპნოიდ" მცხოვრები ჩემს ბინაში, გადამიხადოს ბინის ქირა (წესით და რაოდენობით) და გამაცნოთ ჩემი უფლებები ამ საკითხში, როგორც მეპატრონის.

ბატონო ვახტანგ,

სამწუხაროდ, საქართველოს პარლამენტს ჯერ-ჯერობით არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია აღნიშნულ საკითხზე. ასე რომ, პასუხის გაცემისაგან თავს შევიკავებთ. ისე კი, თუკი პირი, არც კომუნალურ გადასახადს იხდის და მასთან არც ხელშეკრულება გაქვთ გაფორმებული, სასამართლომ იგი შეიძლება არ ცნოს ე.წ. "ატსტუპნიკად" რაც საშუალებას მოგცემთ, მოითხოვოთ მისი ბინიდან გამოსახლება.

**ვაჟა კელეურიძე**

პროკურატურის კანონის 40.9 მუხლით 25 წლის სტაჟის მქონე პირს უფლება მიეცა პენსიაში გასულიყო. ამავე დროს ეს მუხლი შეჩერდა ბიუჯეტში ცვლილებების შეტანამდე (551 მუხლი). მოვითხოვე პენსია ამ მუხლის ამოქმედების შემდეგ. მოვყევი შემცირებაში. ამ მოტივით განთავისუფლებულს პენსია არ მეკუთვნის. (36-ე მუხლი "თ" ქვეპუნქტი). ამიტომ დავრჩი უპენსიოდ. ამოქმედებამდე რომ მომეთხოვა პენსიაზე გასვლა, სამი თვის ხელფასი მექნებოდა. სასამართლოში ჩივილს ამ ეტაპზე პრაქტიკული შედეგი არ ექნება. პროკურატურა განხადებაზე პასუხს არ იძლევა. მივმართო სასამართლოს, პასუხს "მომცემენ". შემიძლია წარმოგიდგინოთ მასალები კონსულტაციისათვის და საგაზეთო პუბლიკაციებისათვის. ***"ვის შევჩივლო..... .. .. რუსთაველი მ კვდარია"*** (ეს მაგარი ფრაზაა! :-) დავტოვოთ?)

ბატონო ვაჟა,

არავის აქვს უფლება პირს ჩამოართვას პენსიის მიღების უფლება, რადგან ეს კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული უფლებაა. თქვენ თავისუფლად შეგიძლიათ ისარგებლოთ 40.9 მუხლით მინიჭებული უფლებით, თუკი აკმაყოფილებთ ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებს. თუ არადა, თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ "საქართველოს პროკურატურის მუშაკთა სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული შეღავათებით. ამ კანონის თანახმად:

საქართველოს პროკურატურის მუშაკს პენსიაზე გასვლისას ენიშნება სამისდღეშიო პენსია ამ კანონით დადგენილი ხელფასის სრული ოდენობით, რაც იცვლება მოქმედი პროკურორისა და გამომძიებლის თანამდებობრივი სარგოს შეცვლასთან ერთად. (მუხლი 6.1.)

**ჰამლეტ მანჯავიძე**

ჩემი სახლის ერთი კედელი ჩადგმულია საზღვარში მეზობელთან სიტყვიერი შეთანხმებით. მეორე სართულის მშენებლობისას მეზობელმა ამიკრძალა ფანჯრის ჩასმა მის მხარეს. მშენებლობა დაწყებულია 1972 წელს. დღემდე ფანჯარა მეზობლის მხარეს არ მაქვს. ახალი კანონმდებლობით მაქვს თუ არა უფლება ჩავსვა ფანჯარა მეზობლის მხარეს, როცა სახლებს შორის დაშორების მანძილი 10 მეტრზე მეტია.

ბატონო ჰამლეტ,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2001 წლის 21 სექტემბრის N59 ბრძანებაში "ბუნებრივი განათებულობა და ინსოლაცია, სამშენებლო ნორმებისა და წესების" დამტკიცების შესახებ" მითითებულია მთელი რიგი დებულებები, თუ როგორ უნდა მოხდეს სამშენებლო ნორმების დაცვით ბუნებრივი განათებისა და ინსოლაციის პირობების დაცვა. ამ ბრძანებაში მოცემულია მრავალი ცხრილი, რომლის საფუძველზეც თქვენ შეგიძლიათ გამოითვლოთ, რამდენად კანონიერად შეგიძლიათ მეზობლის მხარეს გაჭრათ ფანჯარა. ისე კი, ზოგადი ორიენტირისათვის მოგახსენებთ, რომ სამშენებლო ნორმებისა და წესების თანახმად, მანძილები საცხოვრებელ შენობებს შორის განისაზღვრება ინსოლაციისა და განათებულობის ანგარიშის საფუძველზე შენობის განივ მხარეებს შორის, თუ შენობა ოთხ სართულზე მეტია, საჭიროა არანაკლებ 20 მეტრის დაშორება.

კარაკასი, 7 ოქტომბერი, 2003 წ.



B3

არასტანდარტული და გაცოცხლებული ეგვიპტე



B3

რევოლუციის შემდეგ



B6

# მოსაზრებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაწყვეტის თაობაზე

დავით დარჩიაშვილი
ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი

*2003 წლის შემოდგომაზე, მშვიდობის კვლევების შლაინინგის (ავსტრია) ცენტრში ყოფნისას, მე და თინათინ ხიდაშელმა ჩამოვაყალიბეთ თეზისები სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის მშენებლობის პერსპექტივებზე. მასში, კონფლიქტების და მშვიდობის კვლევების რიგი თეორიული დებულებების ფონზე, ძირითადად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემათა მოგვარების გზებზე იყო საუბარი. ამჯერად, ვეყრდნობი რა ნახსენები ნაშრომის დებულებებს, წარმოგიდგენთ რამოდენიმე პრინციპული მოსაზრების უფრო დეტალიზებულ ვარიანტს.*



იმისათვის, რათა კონფლიქტი მაქსიმალურად სრულფასოვნად მოგვარდეს, ქართულ-აფხაზური პოლიტიკური და სამართლებრივი ერთიანობის სასურველ მოდელზე ფიქრს, ნდობის მშენებლობის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება უნდა ახლდეს თან. სხვაგვარად, ჩვენი მომავალი თანაცხოვრების ყველაზე უფრო პოსტმოდერნისტული მოდელიც კი, რომლის შექმნისა და შეთავაზების საჭიროებას არავინ უარყოფს, ლიტონ დაპირებად ან ხაფანგად იქნება აღქმული მეორე მხარის მიერ. მეორე მხარის აღქმები კი ჩვენი სტრატეგიის ცენტრალურ სამიზნედ უნდა გამოცხადდეს, რადგან კონფლიქტში, კერძო ჯგუფების მერკანტილურ ინტერესზე არანაკლებ, საზოგადოებრივი აღქმები და სტერეოტიპებია გადამწყვეტი.

რა თქმა უნდა, შეიძლება დაისვას კითხვა, რომ ჩვენ ჩვენი სიმართლე გვაქვს; რატომ არავინ ფიქრობს იმაზე, თუ როგორ მოსჩანს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიზეზები და დინამიკა რიგითი ქართველის, განსაკუთრებით დევნილი მოსახლეობის თვალით. კონფლიქტის მოგვარებას ქართული საზოგადოების წუხილებსა და სურვილებზე დაფიქრება ნამდვილად სჭირდება. ასევე სავსებით ლეგიტიმურია საერთაშორისო თუ გეოპოლიტიკური კომბინაციების გათვლა, რეგიონულ მოთამაშეთა პოზიციებისა და ინტერესების ლაბირინთებში გზის გაკვალვის სურვილი, რითიც წლების მანძილზე იყო დაკავებული ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ა) აქამდე ძირითადად სწორედ საკუთარ სიმართლეზე ვიყავით ფოკუსირებული და ბ) გამოსავალს მხოლოდ მოსკოვისა და, ხანაც, ვაშინგტონის გულის მოგებაში ვხედავდით, რაც, აფხაზთა იგნორირებაზე მიუთითებდა და "სხვისი ხელით ნარის გლეჯის" ტაქტიკას უახლოვდებოდა.

ქართულ-აფხაზური განტოლების ამ შემადგენლებს თავისი ადგილი და გამართლება გააჩნია. მაგრამ ისინი შედეგის მომტანი არ იქნება, თუ მეტი ყურადღება არ დაეთმობა თავად კონფლიქტის მონაწილე მეორე მხარეს. თანაც, საკუთარი სიმართლით ტკბობამ და კონფლიქტის გასაღებთა სხვა ქვეყნების დედაქალაქებში ძიებამ არანაირი შედეგი არ გამოიღო. მშვიდობიანი გზით კონფლიქტის გადაწყვეტის უნივერსალური მიდგომის არსი კი ისაა, რომ საკუთარი შეცდომები აღიარო და მოწინააღმდეგის სიღრმისეული, ლეგიტიმური ინტერესების გაცნობიერება და გაზიარება სცადო. მხოლოდ ამის შემდეგაა მოსალოდნელი იგივეს მიღება მეორე მხარისაგან. სხვა ყველაფერი ან ძალისმიერ განზრახულობათა შენიღბვაა, ან დროის ფუჭი ხარჯვა.

ქართულ-აფხაზურ პრობლემატიკაზე დღემდე არსებულ ჩამოუყალიბებლობაში კიდევ ერთი არსებითი გარემოებაა აღსანიშნი. გავრცელებულია აზრი, რომ ე.წ. კარგი და ცუდი გამომძიებლის მოდელი გამართლებულია, თუ კი მეორე მხარის თანამშრომლობაზე დაყოლიება გვსურს. განსახილველ შემთხვევაში ეს მოდელი ასე გამოიყურება: ხელისუფლების ნაწილი და არასამთავრობო სექტორი მშვიდობის უალტერნატივობაზე ისაუბრებს, ძალოვანი სტრუქტურები კი შიშის დათესვაზე იზრუნებენ - არა მხოლოდ თავად თავისი არსებობით, არამედ მისი წარმომადგენლების განცხადებებითაც.

მაგრამ ეთნიკური ხასიათის მქონე, არსებითად ნაციონალისტურ კონფლიქტებში მეორე მხარე არ და ვერ განიხილება, როგორც გამოძიების პროცესის ეჭვმიტანილი მონაწილე. ასეთ კონფლიქტებში არც შიში არ "შეიქმს სიყვარულსა", როგორც ამას ბალკანეთის ან თუნდაც ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე ისტორიები აჩვენებს. მეტიც, ასეთ კონფლიქტებში ძალა მეტად პირობითი კატეგორიაა და უამრავი მეთოდი არსებობს "უძალოთა" მიერ ძალის მულტიპლიკაციისათვის. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი კი სწორედ ეთნიკურია თავისი არსით. იგი ორი, ურთიერთგანსხვავებული ნაციონალური პროექტის დაპირისპირების შედეგია. ყველაფერი დანარჩენი - მესამე ხელი თუ გარკვეული წრეების მერკანტილურ-კრიმინალური ინტერესი - ვითარების დამამძიმებელი გარემოებებია და არა "ავადმყოფობის" ძირითადი მიზეზი. ხოდა ჩვენც, განკურნების, ანუ კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესში პროგრესის მისაღწევად, ძირითად მიზეზებზე უნდა გავაკეთოთ აქცენტირება.

### კონფლიქტის შეფასება

კონფლიქტის შეფასება ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დარეგულირების აუცილებელი კომპონენტია. შეფასებები დღენიადაგ კეთდება საზოგადოებრივ მოღვაწეთა თუ პოლიტიკოსთა მიერ. არსებობს ქართული მხარის ოფიციალურ წარმომადგენელთა ინტერვიუები, განცხადებები, ანგარიშები, თხოვნები თუ მოთხოვნები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა მთავრობებს ეცნობება. არსებობს პარლამენტის რეზოლუციები. მაგრამ მათი შინაარსი არაა გამიზნული მეორე მხარეში ჯანსაღი ინტერესის აღძვრაზე. ეს უკანასკნელი კი აუცილებელია, თუ კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა გვსურს.

შეფასებას, რომელსაც ოფიციალური სტატუსი უნდა ჰქონდეს, სჭირდება აკადემიური საფუძველი. მეორე მხრივ კი - იგი პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან უნდა მომდინარეობდეს. შესაძლებელია ამ ორი კომპონენტის მეტ-ნაკლები ჰარმონიზაცია, რადგან პოლიტიკური მიზანშეწონილობა სწორედ სოციალური და პოლიტიკური პროცესების სიღრმისეულ ცოდნას უნდა ეყრდნობოდეს. მეორე მხრივ, არც სოციალური მეცნიერებების აკადემიური სფეროა უცვლელი და უნივერსალური კანონების აღმომჩენი. იგიც დროის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ამა თუ იმ ეტაპის მოთხოვნილებათა გავლენას განიცდის. შესაბამისად, კონფლიქტის შეფასებას არ უნდა ჰქონდეს ეტერნალური ჭეშმარიტების აღმოჩენის პრეტენზია. მაგრამ იგი ადეკვატური უნდა იყოს კონფლიქტებსა და ეთნიკურ საზოგადოებებზე დღეს არსებული აკადემიური ცოდნისა და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პოლიტიკური ამოცანისა.

შეფასებაში, ამა თუ იმ ფორმით, უნდა გაიჟღეროს შემდეგმა:

თანამედროვე ქართველთა და აფხაზთა წინაპრები ისე ცხოვრობდნენ გვერდიგვერდ საუკუნეთა თუ ათასწლეულთა მანძილზე, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდათ ნაციონალური სუვერენიტეტის თანამედროვე იდეებზე. იყო პერიოდები, როდესაც ისინი ერთიან ფეოდალურ მონარქიაში შედიოდნენ, ხოლო ქართველთა და აფხაზთა არისტოკრატია ქმნიდა ერთიან კასტას. სხვა შემთხვევებში ორივე ეთნოსი მესამე ძალის გავლენის ქვეშ ექცეოდა - ან ერთად, ან ცალ-ცალკე. ამასთან, საკუთარი ფეოდალური სახელმწიფოს თუ უცხო იმპერიათა ფარგლებში არსებული ერთიანობის პერიოდები იცვლებოდა ხოლმე გაყოფითა და გაუცხოებით, კომუნიკაციათა წყვეტით, ეთნიკური შეფერილობის მქონე ფეოდალურ-კლანური შუღლით. შედეგად, იმ დროისათვის, როდესაც კავკასიაში შემოსული ნაციონალიზმის ევროპული იდეოლოგია ადგილობრივი ეთნიკური თვითშეგნების სუბსტრატს მოერგო, ქართველთა ერთობის ილიასეული ფორმულა ყოველი აფხაზისათვის თანაბრად გასაგები და მისაღები სულაც არ აღმოჩნდა.

ის, თუ რა როლი ითამაშა XIX საუკუნის რუსეთის კოლონიურმა პოლიტიკამ ქართულ-აფხაზურ გაუცხოებაში, ისტორიული თუ სოციოლოგიური ინტერესის სფერო უფროა, ვიდრე თანამედროვე შერიგების პოლიტიკის მშენებლობის საკითხი. ცხადი და გასათვალისწინებელი ერთია: თუ იმდროინდელი აფხაზური არისტოკრატიის ნაწილი უალტერნატივოდ იყო დაკავშირებული ქართულ სამყაროსთან კლასობრივი თუ ინტელექტუალური ძაფებით, იგივე ნამდვილად არ ითქმის ამ მხარის დანარჩენ მკვიდრებზე. ეთნიკურად ჭრელ რეგიონში, სადაც აფხაზური და მეგრული მოდგმის საცხოვრებელი სივრცის საზღვარი მუდმივად მერყეობდა და, შესაბამისად, ამა თუ იმ ოჯახის აფხაზობა ან მეგრელობა უფრო კონკრეტული გარემოებების შედეგს წარმოადგენდა, ვიდრე წმინდა ეთნიკური ჩამომავლობის, მრავალი ქვეყნის ისტორიიდან ცნობილი დრამა თამაშდებოდა: ენის სხვაობასა და მეხსიერებაში არეკლილი ისტორიული მოვლენების განსხვავებულ ინტერპრეტაციებზე დაყრდნობით, ორი ეროვნული პროექტი ჩამოყალიბდა. თუ მეგრულმა მოსახლეობამ სრულად მოიაზრა თავი ერთიან ქართულ, ეროვნულ ფარგლებში, აფხაზობა განსხვავებული ეროვნული იდეის საფუძველი გახდა. რევოლუციის ფონზე წარმართულ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებაზე კლასობრივმა ფაქტორმაც იქონია გავლენა. მრავალი აფხაზისათვის კლასობრივი საკითხი ეროვნულს დაუკავშირდა; ორივემ ერთად კი აფხაზური არისტოკრატიის გაქართველებული ნაწილისაგან გაუცხოება და რუსულ ბოლშევიზმთან დაახლოება განაპირობა.

შედეგად, ჯერ 1917-1921 წლებში, შემდეგ კი საბჭოურ პერიოდში, ქართველთა და აფხაზთა ეთნოსების - აწ უკვე თანამედროვე ეთნიკური ერების - პოლიტიკური იდეალები რადიკალურად დასცილდა ერთმანეთს. დარჩა ყოფისა და ტრადიციის მსგავსება, მაგრამ ეს სულაც არაა საკმარისი პოლიტიკური ერთობისათვის. ამიტომაა, რომ რასაც არ უნდა გამოეწვია 30-იანი წლების საბჭოური რეპრესიები თუ დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია აფხაზეთში, აფხაზთათვის ეს ეროვნულ ჭრილში აღიქმებოდა და ქართული იმპერიალიზმის სახელი ერქმეოდა. გულახდილნი თუ ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ არაერთი ქართველისათვის აფხაზეთში დემოგრაფიული ბალანსის შეცვლა იმთავითვე წარმოადგენდა ეროვნულ ამოცანას. ჩვენი მამებისა და ბაბუების თაობებისათვის ეს ისტორიულ სამართლიანობად აღიქმებოდა. მაგრამ განა დიდი მტკიცება სჭირდება იმას, რომ საკუთარი ეროვნული იდეის მატარებელ აფხაზურ საზოგადოებაში ყოველივე სულ სხვა შუქზე იქნებოდა აღქმული.

საბჭოური იმპერიის პირობებში ეთნიკური ნაციონალიზმი თავისებური იყო - შეიძლება ითქვას, ლატენტური. იგი, პირველ რიგში, ეთნოკრატიების - ეთნიკურად ჰომოგენური ადგილობრივი ბიუროკრატიებისა და "შემოქმედებითი ინტელიგენციების" - ფორმირებაში გამოიხატებოდა. სწორედ ეს ფენები, როგორც ახალი მმართველი კლასი, ასრულებდა წამყვან როლს ეროვნული შეკავშირების საქმეში - შუა საუკუნეობრივი არისტოკრატიისა თუ სამღვდელოების მსგავსად. იყო ამის უკან კერძო, კლანური ინტერესები? საკავშირო ფონდების მაქსიმალურად მოზიდვისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლის ლოგიკა? რა თქმა უნდა. მაგრამ დიდი ანგარიშით, ქართული და აფხაზური ეთნოკრატიები და ინტელიგენციები ნაციონალურ იდეალთა გამო უფრო უწევდნენ ერთმანეთს კონკურენციას, ვიდრე მატერიალური მომხვეჭელობის მოტივით. სწორედ ეს მგონია მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს კომკავშირის ახალგაზრდა ნომენკლატურის წარმომადგენელი სერგეი ბაგაბში, საბოლოო ჯამში, აფხაზური ეროვნული იდეის ერთერთი ჯარისკაცი გახდა, მისი უფროსი კოლეგა ჟიული შარტავა კი - ქართულის.

საბჭოთა კავშირის დაშლამ, ახალმა ეროვნულმა მოძრაობებმა მხოლოდ პოლიტიკურად გააფორმა, სააშკარაოზე გამოიტანა ეს ხანგრძლივი ნაციონალისტური დავა ქართულ და აფხაზურ ელიტებს შორის. მას ვერაფერი მოუხერხა ლიბერალურ-დემოკრატიულმა შემადგენელმა, რომელიც ნებისმიერი ეროვნული მოძრაობის თანმდევია და პროცესები ყველაზე უარყოფითი სცენარით წარიმართა. როცა დაპირისპირება კულმინაციას აღწევს, მხარეები შიდა თუ გარე მოკავშირეების არჩევაში დიდი ეთიკით არ გამოირჩევიან ხოლმე. ამიტომაც მიიღო 1992-1993 წლების ომმა ავანტიურისტების, უცხო ქვეყნის აგენტების, კრიმინალების თარეშის სახე. თუმცა, არც ერთი ომის სახე არ ყოფილა და ვერც იქნება ეთიკური.

ჩვენ აღმოვჩდით მხოლოდ ჩვენი სიმართლის ტყვეობაში, არ დავფიქრდით აფხაზურ სიმართლეზე. შედეგად, გამოირიცხა დიალოგის შანსი. მხარეებმა ძალაზე აიღეს აქცენტი და ესაა მთავარი მიზეზი იმისა, რაც მოხდა. ჩვენ წავაგეთ, ჩვენ გვინდა დღეისათვის არსებული შედეგების გადახედვა. ამიტომაც ჩვენ გვმართებს ინიციატივა როგორც საკუთარი ნაციონალიზმის ეგოისტური ასპექტების, ისე სხვისი ნაციონალიზმის კანონზომიერი ნიშნების აღიარებაში. აქამდე ხომ სულ პირიქით ვიქცეოდით.

თუ ჩემეული ანალიზი მისაღები აღმოჩნდება ქართული მხარისათვის, მაშინ ძნელი არ უნდა იყოს კონფლიქტის შეფასებიდან ნდობის მშენებლობის კონკრეტულ წინადადებებზე გადასვლა. თავად ეს შეფასებაც ნდობის მშენებლობისაკენ გადადგმული ნაბიჯია.

### აფხაზთა თვითგამორკვევის უფლების ლეგიტიმურობის აღიარება

პოლიტიკური მიზანშეწონილობა, კონფლიქტების შესახებ არსებული კვლევები თუ ქართულ-აფხაზური სოციალური ისტორიის ანალიზი გვიბიძგებს იმის კონსტატაციისაკენ, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს წიაღსვლებს ამა თუ იმ აფხაზური გვარის ქართულ ძირებზე, ისევე როგორც პირიქით. ეთნოსის, მით უმეტეს კი თანამედროვე ეთნიკური ნაციის ფორმირება კოლექტიური ნებელობის შედეგია და ამ ნების გულწრფელობა სულაც არაა დამოკიდებული ეტიმოლოგიურ სიზუსტეებზე. მოხდა ისე, რომ აფხაზეთის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი, რომელზეც ვერავინ იტყვის, რომ აფხაზურ მიწაზე ფესვები არ ეძებნება და ა.შ. თავს ცალკე, ქართველთაგან განსხვავებული ნაციონალური ერთობის ნაწილად აღიქვამს. მისთვის აფხაზეთი ერთადერთი სამშობლოა. ნაციად თვითაღქმა კი აფხაზებს უცილობლად უბიძგებს პოლიტიკური უფლებების მოთხოვნისაკენ. ეს უკანასკნელი გარემოება რომელიმე უცხოელი კონსპირატორის ბოროტი ხრიკის შედეგი კი არაა, არამედ ნაციონალიზმის, როგორც პოლიტიკური და მეტიც, სოციოლოგიური მოვლენის ლოგიკა. ნაციონალიზმის დაგმობა არაფრის მომცემია - ეს იდეოლოგია რჩება თანამედროვე მსოფლიოს დომინანტურ პარადიგმად, დემოკრატიის იდეასთან ერთად. ეს ჩანს როგორც საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში, ისე თანამედროვე ისტორიკოსების, სოციოლოგებისა თუ პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენელთა ნააზრევშიც.

რა თქმა უნდა, ნაციონალიზმი ყოველთვის არ მიდის არც ქსენოფობიამდე, უცხოს სიძულვილამდე და არც ამა თუ იმ ნაციის სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნამდე. მაგრამ იმისათვის, რომ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში მტრის ხატი გავაქარწყლოთ და აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობის ალტერნატივა შესაძლებელი გავხადოთ, აფხაზთა თვითგამორკვევის ნებისმიერი მოთხოვნის ლოგიკურობა, აფხაზური ნაციონალური იდეის ლეგიტიმურობა უნდა ვაღიაროთ. არა თუ ხმამაღლა არ უნდა ვისაუბროთ იმაზე, რომ აფხაზური ელიტა გარეშე ძალების აგენტი თუ მარიონეტია მხოლოდ, არამედ თავიდანაც უნდა ამოვიგდოთ შეცდომაში შემყვანი ეს აზრი.

მხოლოდ იმის შემდეგ, რაც აფხაზები დარწმუნდებიან, რომ ჩვენ გვესმის მათი მთავარი, ნაციონალურ-პოლიტიკური მისწრაფების კანონზომიერება, შესაძლებელი გახდება მათგანაც იმის გაგების მიღწევა, თუ რატომაა ჩვენთვის ესოდენ მტკივნეული აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობა, ქართულ-აფხაზური პოლიტიკური კავშირის სრული გაწყვეტა.

როგორი უნდა იყოს ჩვენი კონტრ-არგუმენტაცია? რა თქმა უნდა, საერთაშორისო სამართალზე მითითება ისევ აქტუალურია, მაგრამ ნდობისათვის - არასაკმარისი. ჩვენ ჩვენი ძირეული წუხილების არტიკულირება უნდა მოვახდინოთ, რომელშიც ღირებულებებს, იდეალებს არანაკლები ადგილი უკავია, ვიდრე მატერიალურ, ჰუმანიტარულ და სამართლებრივ არგუმენტებს. ეს უფრო გასაგები იქნება იგივე განცდების მქონე საზოგადოებისათვის, რომელსაც სახელმწიფოებრივი ურღვეობის საერთაშორისო პრინციპით აპელირება მხოლოდ თავდაცვით პოზიციაში აყენებს და ისტორიულ-მითოლოგიურ სამყაროში აბრუნებს. სანამ მათ ჩვენი ნაციონალური რომანტიზმისა არ ესმით, მანამდე მითითებანი გაეროსა თუ ეუთოს რეზოლუციებზე აგრესიული, სხვისი მიწის დაპყრობის მსურველი ქართველების შეთქმულებად მიაჩნიათ. შედეგად, როგორც იძულებით ალტერნატივას, აფხაზები კიდევ უფრო ეჯაჭვებიან რუსეთს, რაც არა მხოლოდ ქართულ, არამედ აფხაზურ ინტერესებშიც არ შედის.

ჩვენი დამატებითი არგუმენტი ისტორიულია. მეტიც, რწმენის საკითხია. მისი ობიექტურობის სკრუპულოზური შემოწმება ისევეა ძნელი, როგორც ისტორიის აფხაზთა ვერსიის ობიექტურობისა. მაგრამ კონფლიქტში რწმენის, ღირებულებების მატერიალურ წონას არავინ ამოწმებს. საკმარისია იმის დანახვა, რომ კოლექტიური ღირებულებებისა და რწმენისათვის ადამიანები სიკვდილზე მიდიან. შესაბამისად, ეს არგუმენტი არანაკლებია ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში, ვიდრე საერთაშორისო სამართლის ნორმები და 20 საუკუნეში ჩვენთან მომხდარი კონსტიტუციურ-პოლიტიკური ცვლილებების მთელი კასკადი. ორი სიტყვით, ჩვენი ისტორიულ-ღირებულებითი არგუმენტი შემდეგში მდგომარეობს:

რიგით ქართველს სწამს საკუთარი ეროვნული იდეის და ამ იდეაში ერის მითოლოგიზირებული წარსული კონკრეტულ ტერიტორიაზეა მიჯაჭვული. ამ ტერიტორიაში აფხაზეთიც მოიაზრება თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ თანამედროვე ეროვნული ორგანიზმი არა მხოლოდ ანტიკური ქართლიდან, არამედ ეგრის-ლაზიკიდანაც გამოგვყავს. მეტიც, ბაგრატიონთა ერთიანი საქართველოს ფორმირება მნიშვნელოვანწილადაა დავალებული აფხაზეთის მეფეებზე. აფხაზთა წინაპრების მონაწილეობითა და თანხმობით ხდებოდა, რომ ერთიანობის შემდეგ

გაგრძელება B7 გვერდზე




## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
"კაფე როსინი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 11:00; 17:00; 19:10 სთ.

"პოლარული ექსპრესი"
დას: 12:00; 14:00; 16:00 სთ.

"ღრუბლებთან თამაში"
დას: 22:15 სთ.

**ამირანი**
"პოლარული ექსპრესი"
დას: 12:00; 16:00; 20:00 სთ.

"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 18:00 სთ.

"საღამო ჟამს"
დას: 20:00; 22:00 სთ.

**ცირკი**
საშობაო-საახალწლო წარმოდგენა.
მოსკოვის საცირკო კოლექტივის ახალი პროგრამა
დას: 12:00; 15:00 სთ.

## გალერეები

**TMS**
თემო აბუთიძის ფოტონამუშევრების გამოფენა

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონატთა გამოფენა

**ჰობი**
საშობაო გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ლერი ჭანტურიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

## კლუბები

**Jam**
(რუსთაველის 16)
საახალწლო "ფართი"
დი-ჯეები: ლილუ, ედგარ სებისი, ქრეიზი
დას: 22:00 სთ.
ფასი: 10 ლარი.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ფოლკლორული ვარიაციები

სოფიო თოდუა

როგორც ჩანს, დედაქალაქური პროვინციალიზმი ამ უკანასკნელის ყველაზე საშიში ფორმაა და მისგან განთავისუფლება არც ისე იოლია. იქნებ ამას გულისხმობდა ჩვენი ახალცხებული მეფე, როცა ამბობდა, რევოლუცია ქართულ კულტურაში ჯერ არ მომხდარაო. გამოგიტყდებით, ირაკლი ჩარკვიანზე დიდი წარმოდგენის არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ამჯერად უნდა ვაღიარო - მისი უდიდებულესობა ცამდე მართალია.

ჩოხაფართიზე მოგახსენებთ. ინტუიცია მკარნახობს, აქაც იგივე მოვლენასთან გვაქვს საქმე. ქართველები ვართ და პრეისტორიული ევროპელობის პრეტენზიაც გვაქვს, მაგრამ დანარჩენ ევროპელებს დღენიადაგ იმას ვუმტკიცებთ, დასავლურ კულტურას ახლაღა გავუსინჯეთ გემო და თუ რამე შეგვეშლება, პარდონ, აღარ გავიმეორებთო. განსაკუთრებით სახალისოა ჩოხაფართის წინმსწრები მოვლენების გახსენება: როცა საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართველ დიპლომატებს ჩოხის ტარებას პროტოკოლით ავალდებულებს, ამ დროს კი პარლამენტში ამტკიცებენ, რომ ჩოხა მხოლოდ ქართველების სამოსი არ არის (ჭეშმარიტად!) და, ამდენად, ჩოხოსან ელჩებს ისევ კარდენის კოსტიუმების შეძენას ურჩევენ. იმ ჩოხაფართიზე მე არ ვყოფილვარ და მხოლოდ იმით დავკმაყოფილდი, რაც ჩვენმა ტელეკომპანიებმა შემოგვთავაზეს. კადრში კი აშკარად ჩანდა, რა ჰარმონიულად ერწყმოდა თანამედროვე "პაპსა" ჩოხა-ახალუხს, ჯინ-ტონიკი ვერცხლის ქამარხანჯალს, ჩვენებური ფაფახი შანელის სურნელს... კულტურათა დიალოგი დაწყებულია: გუშინ იყო ასაფართი, დღეს - ჩოხაფართი, ხვალზეგ, ალბათ, ხინკალფურშეს, პაჭიჭდეფილეს და მრგვალფარიანი "მერსედესების" მარულას შემოგვთავაზებენ. ერთი შეხედვით, ჩვენი პოლიტიკური ბომონდი შოუბიზნესის წარმომადგენლებთან უნისონში ქართული კულტურის პროპაგანდას ეწევა, სინამდვილეში კი საექსპორტოდ ბრჭყვიალა ქაღალდში შეფუთულ მდარე საქონელს გზავნის.

ჩოხაფართიმ, ბუნებრივია, ასაფართი გამახსენა, ასაფართიმ - სუხიშვილები და ქართული ცეკვა - ჩვენი სავიზიტო ბარათი ადრე სტალინის, მოგვიანებით შევარდნაძის, ახლა უკვე სააკაშვილის შემდეგ. სუხიშვილების ანსამბლს, ბოლოს და ბოლოს, ნაციონალური ბალეტი დაარქვეს, მაგრამ იყო დრო, როცა ისინი ასე მოიხსენიებოდნენ: ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. დღეს რომ სუხიშვილების მესამე თაობა ასაფართის სახით ვარიეტეს ნომრებს გვთავაზობს, ამაში ცუდი და საგანგაშო არაფერია. ამგვარი სანახაობით მეტ-ნაკლებად ნორმალური ყველა ქვეყნის ღამის კლუბებში შეგიძლიათ შეიქციოთ თავი: ეგზოტიკა პლუს თანამედროვე პლასტიკა... ტურისტები კი აჩხაკუნებენ და აჩხაკუნებენ ფოტოაპარატებს. მაგრამ რა საზომით მივუდგეთ სუხიშვილების მთავარ მონაპოვარს, იმ ცნობილ დადგმებს, რომელთაც შინ თუ გარეთ მრავალი ოვაცია ერგო?

თვით ის ფაქტი, რომ ხალხური ცეკვების ყოფილ სახელმწიფო ანსამბლს ნაციონალური ბალეტი დაერქვა, იმაზე მეტყველებს, რომ სუხიშვილების ცნობილი ცეკვები, იქნება ეს "ხორუმი", "სამაია", "ქართული" თუ "ხანჯლური", ხალხური ცეკვით შთაგონებული საბალეტო ნომრებია. სხვათა შორის, სასცენო ხელოვნების ახალი სახეობა - ბალეტი მაშინ იშვა, როცა მე-16 საუკუნის იტალიაში გაჩნდა განსხვავება ყოფითსა და თეატრალიზებულ ცეკვას შორის. სამწუხაროდ, რუსული კლასიკური ბალეტის გავლენა იმდენად დიდი იყო, თანამედროვე ქართული ბალეტი ჯერჯერობით მხოლოდ ბალანჩინის ნეოკლასიკის ათვისება-გადმოღებითაა დაკავებული და თუ ნინო ანანიაშვილი არ იყოჩაღებს, კიდევ კარგა ხანს ჩარჩება ამ სტადიაში. ამას იმადაც მოგახსენებთ, რომ დღემდე ჩვენთან სცენაზე ცეკვას მხოლოდ მაშინ ჰქვია ბალეტი, როცა მოცეკვავეს მაინცდამაინც პუანტები აცვია. სუხიშვილები ამ კონტექსტში, რასაკვირველია, არ ეწერებიან.

მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს. რამდენად დიდია სუხიშვილების დამსახურება ქართული კულტურის წინაშე, ამაზე ლაპარაკიც უხერხულია. თანამედროვე მსოფლიომ სწორედ მათი წყალობით გაიცნო ჯორჯია, ჟორჟია, გეორგიენ, გეორგია... მათი ყველაფერი მოსწონდათ: პლასტიკა, მუსიკა, სამოსი. არადა, ის არაჩვეულებრივი კოსტიუმები, რომლებიც სოლიკო ვირსალაძემ სუხიშვილებისთვის შექმნა, თეატრისთვის, ბალეტისთვის განკუთვნილი სტილიზებული კოსტიუმებია, თუმცა, მოგვიანებით უკვე ყველა ხალხური ცეკვის ანსამბლი ასეთ სამოსში გამოეწყო და ეთნოგრაფიული მასალის შესწავლით აღარავინ გარჯილა. მეტიც, ვირსალაძის უნიჭო ეპიგონებმა დახვეწილი ქართული ნაციონალური ტანსაცმელი, მათ შორის ჩოხა, ზიზილ-პიპილო სამოსად აქციეს. სუხიშვილები თავის საქმეს ზედმიწევნით კარგად აკეთებდნენ - ქართულ ნაციონალურ ბალეტს ქმნიდნენ. ისინი კი, ვისაც ჯერ კიდევ შეეძლო საკუთარ სოფლებში მივიწყებული საცეკვაო ილეთების მოძიება, სუხიშვილების მიერ გაკვალულ გზას დაადგნენ და კონსულტაციებსაც მათგანვე იღებდნენ. ერთი სიტყვით, ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის დაარსებულმა ბალეტმა, რომელსაც ძალიან დიდი ხნის შემდეგ მიანიჭეს სათანადო სახელი, საქართველოს ყველაზე მიუვალ კუთხემდეც მიაღწია და ქართული ხალხური ცეკვა თითქმის მთლიანად გამოდევნა. არადა, დღეობებსა თუ ქორწილებში სხვანაირად ცეკვავდნენ და სხვანაირად მღეროდნენ, საბედნიეროდ, აქა-იქ დღესაც სხვანაირად მღერიან და ცეკვავენ.

საბჭოთა პერიოდში ხელოვნურად მხოლოდ ცეკვა არ გაუსცენიურებიათ, ქართულ სიმღერასაც იგივე დაემართა. ბელკანტოზე ამღერებული "ურმულიც" მოგვისმენია, "ალილოც" და "ნადურიც", მაგრამ ამ ნატიფ ხმებს რაღაც აშკარად აკლდა, რასაც, სხვათა შორის, მხოლოდ ქართველები არ ამჩნევდნენ. სამწუხაროდ, დღეს აღარ არიან კუკური ჭოხონელიძე, ედიშერ გარაყანიძე, მაგრამ არსებობს "მთიები", ანჩისხატის მგალობელთა გუნდი "ძველი კილოები", "ლაშარი"... საბედნიეროდ, მათ ბევრი მიმდევარიც გამოუჩნდა. აბსოლუტური სმენა საჭირო არ არის, რომ შეამჩნიო განსხვავება ჰამლეტ გონაშვილისა და მალხაზ ერქვანიძის ნამღერს შორის. ამით იმის თქმა მინდა, რომ როცა ქართულ ხალხურ სიმღერასაც "გაკეთილშობილების" საშიშროება დაემუქრა, რამდენიმე პროფესიონალი გონს მოეგო და სოფელ-სოფელ შეკრებილი სიმღერებისა თუ ძველი ჩანაწერების წყალობით ქართულ ხალხურ სიმღერას თავისი განუმეორებელი ხიბლი ნაწილობრივ მაინც დაუბრუნა. ნიშანდობლივია, რომ დღევანდელი ახალგაზრდების დიდი ნაწილი სწორედ რეანიმირებულ ქართულ სიმღერას მიეძალა და არა პიონერთა სასახლეში ნასწავლ დათაფლულ პოპურებს.

იგივე მოხდა ქართული ხალხური პოეზიის შემთხვევაშიც. ალექსი ჭინჭარაული და ვახუშტი კოტეტიშვილი რომ არა, არც გვეცოდინებოდა, რომ საბჭოთა კოლმეურნეობებშიც იქმნებოდა შედევრები. როგორც პეტრე უმიკაშვილმა გადაგვირჩინა თავის დროზე ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება, ამ ორმა იგივე ხელახლა აღმოგვაჩენინა. რაც მთავარია, ფილარმონიის სცენიდან შეგვახსენა, რომ ქართულ ფოლკლორს არაფერი აქვს საერთო უნიჭო პოეტების ხალხურ მოტივებზე შექმნილ ნაჯახირევთან.

თუ ვილაც მიხვდა, რომ კონსერვატორიაში ნასწავლი პოლიფონიის ფონზე აუცილებელია ძველი ქართული კილოების აღდგენა და ნოტებისა თუ ჩანაწერების მოძიება; თუ ორი კაცი მაინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა ეპოქაში შექმნილი ზეპირსიტყვიერება იკარგებოდა და სახალხო მთქმელების კვალდაკვალ მთელი საქართველო სოფელ-სოფელ შემოიარა, ქართულმა ცეკვამ რა დაგვიშავა? როდემდე შეიძლება, საბალეტო ნომრები ფოლკლორად გავასაღოთ და ეს თავისთავად არაჩვეულებრივი დადგმები მხოლოდ ტურისტების თავშესაქცევ სანახაობად ვაქციოთ? იქნებ ის უნიკალური, ჯერაც დაუზიანებელი კინოფირები მაინც გვენახა, რომელზეც აქაიქ ქართული ცეკვის ამსახველი კადრებია შემონახული.

ოცდამეერთე საუკუნეში, რაგინდ ჩაგვაბნელონ ჩვენმა ენერგეტიკოსებმა, მასკულტურა საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში მაინც ჩააღწევს, ეს შეუქცევადი პროცესია. ეს გზა ევროპამ უკვე განვლო, მაგრამ იქ ფოლკლორს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან. როგორ ფიქრობთ, იმ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც ღვინოს ისევ ძველებურად აყენებენ და ყველის ამოყვანის წესს მხოლოდ ოჯახის წევრებს უმხელენ, ფოლკლორს არ გაუფრთხილდებიან და ყველა სიმღერას თუ ცეკვას კაბარეში გასათამაშებელ ნომრებად აქცევენ? რაღაც ეჭვი მეპარება. თუ ქართულ ფოლკლორს, ისევ და ისევ ჩვენი უნიათობის გამო, განვითარება არ უწერია, ის მაინც უნდა შევძლოთ, რომ იგი ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატად ვაქციოთ. სამწუხაროდ, ამ მუზეუმში ნიშა წარწერით - ქართული ხალხური ცეკვა - ცარიელია.






*ის კოსტიუმები, რომლებიც ვირსალაძემ სუხიშვილებისთვის შექმნა, ბალეტისთვის განკუთვნილი სტილიზებული კოსტიუმებია, თუმცა, მოგვიანებით უკვე ყველა ხალხური ცეკვის ანსამბლი ასეთ სამოსში გამოეწყო.*

# მ-ასსა შოუ

## ფოლკოტეკა სპორტის სასახლეში გრძელდება

ვერა ნეფარიძე

*"ყოველ წელს დაბედებულები არ ვართ?!", - ილიკო სუხიშვილის ხუმრობანარევი თვითირონია გასაგებია; 15 იანვარს დაგეგმილი "სუხიშვილების" "ასსა შოუ" სპორტის სასახლეში ხომ ეგიდით - "დაგებედოთ სუხიშვილები" ჩაივლის.*

მარად განახლებულ და მუდამ უკანასკნელ "ასსას" უკვე შევეჩვიეთ. ამგვარად რეკლამირებულ ღონისძიებას რამდენად აქვს რეალური საფუძველი, ამას 15-ში ვიხილავთ. მანამდე კი, იმის შესახებ, რისი განდობაც ისურვეს "სუხიშვილებმა" გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

2005-ში "სუხიშვილებისგან" მხოლოდ "ასსა" არ დაგვებედება. ეს წელიწადი ქართული ნაციონალური ბალეტისთვის საიუბილეოა - 60 წლისთავისადმი მიძღვნილი; აქედან გამომდინარე, ანსამბლი 15 იანვრიდან აგრძელებს საიუბილეო ღონისძიებების სერიას, რომელიც შარშან ანსამბლის სახელობის ვარსკვლავის გახსნით დაიწყო.

"რადგან იუბილეა და გენერალური სპონსორი "კოკა-კოლა" გვაძლევს ამის საშუალებას, ღონისძიებისთვის დიდი სივრცე შეირჩა; დღემდე "ასსა" სხვადასხვა სახით ძირითადად ღამის კლუბებში იყო წარმოდგენილი. ამჯერად კონცერტის დრო, ფასი და სივრცე ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომია", - აცხადებენ "სუხიშვილები"; რაც შეეხება ხელმისაწვდომობას - თუკი ვინმე დარჩა, ვისაც დღემდე არ უნახავს სცენაზე "ასსა", შაბათს, საღამოს ხუთ საათზე, ამ დანაკლისის შევსება (კლუბებში ეს ყველაფერი მეტად ძვირი სიამოვნება იყო) შვიდი ლარი დაუჯდება. თუმცა, "ასსა შოუს" ნახვა სხვებისთვისაც საინტერესო უნდა იყოს, რადგან, როგორც ავტორები ამბობენ, პროექტში ბევრი სიახლეა, მათ შორის ისეთი, რისი გამხელაც შოუმდე არ ისურვეს და სიურპრიზად დაუტოვეს მაყურებელს.

"ასსა შოუს", ისევე როგორც მის საკლუბო ვერსიას, რვა სოლისტი ჰყავს. მათ შორის ახალი სახე - თიკო ალავიძე (როგორც ცნობილია, ანსამბლიდან წავიდა ერთ-ერთი სოლისტი - ნინო ტურაბელიძე), რომელმაც გუშინ მხოლოდ ის უთხრა ჟურნალისტებს, რომ კონცერტამდე ძალიან ნერვიულობს და ბედნიერია, რომ ასეთ გრანდიოზულ პროექტში მონაწილეობს. რაც შეეხება სანახაობის სხვა სიახლეებს. ილიკო სუხიშვილის თქმით, განახლებული "ასსა" სხვაგვარადაა მოწოდებული; ავტორების ახალი მიდგომა შეეხო როგორც ქორეოგრაფიულ (უფრო დახვეწილიაო, - გვითხრეს), ისე მუსიკალურ მხარეს. სიახლეა მუსიკოსთა შემადგენლობაში, დამატებულია ინსტრუმენტებიც. "არ მინდოდა, ძალიან ყოფილიყო ერთმანეთში აჭრილი ფოლკლორი და დისკო. ჩემთვის 15-ის კონცერტი ექსპერიმენტია; ამის შემდეგ ვაპირებთ კოსტიუმების შეცვლას; ამ კოსტიუმებით, ამ ვერსიით ეს უკანასკნელი კონცერტი იქნება. ის ფირზეც უნდა გადავიღოთ, რადგან აქამდე გადაღებული არც ერთი კონცერტი არ არის იმ დონის, რაც დაგვაკმაყოფილებდა; ჩვენი სურვილით "ასსას" ამ კოსტიუმებში და ამ ვერსიით აღარ წარმოვადგენთ. გვინდა, მალე ახალ ვერსიაზე დავიწყოთ მუშაობა", - გვითხრა ილიკო სუხიშვილმა.

"სუხიშვილებს" "ასსა შოუს" გარდა, სხვა საფიქრალიც აქვთ. 2005 მათთვის განსაკუთრებული წელიწადია. 19 იანვარს ნინო რამიშვილს 95 წელი შეუსრულდებოდა; 11 ივნისი ანსამბლის დაბადების დღედ ითვლება, წელს ქართულ ნაციონალურ ბალეტს 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სერიოზული ღონისძიებები აქვს ჩაფიქრებული. სავარაუდოდ, ივნისისთვის დაიგეგმება საერთო საიუბილეო ღონისძიებებიც. თენგიზ სუხიშვილის თქმით: "ეს არ იქნება უბრალოდ ორგანყოფილებიანი, ჩვეულებრივი კონცერტები; გვაქვს სხვადასხვა ვარიანტი, ვნახოთ, რომელს შევარჩევთ"; "სავარძლებში არ ვისხდებით და გვირგვინებს არ დავიდგამთ", - დაამატა "ასსას" ავტორმა ილიკო სუხიშვილმა. საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში დაგეგმილია "ასსას" კომპაქტ-დისკის ახალი რედაქციით გამოცემა. რაც შეეხება ანსამბლის კლასიკურ პროგრამას, მუშაობა მის განახლებაზეც დაწყებულია. ილიკო ამჟამად სამ ცეკვას დგამს და, როგორც გუშინ გვითხრა, ანსამბლი ტრადიციულ, კლასიკურ პროგრამაზე იმუშავებს მანამდე, ვიდრე ანსამბლი იარსებებს.



ბესო გულაშვილის ფოტო

*"ასსა" "აჭარა მიუზიკ ჰოლში"*




# არასტანდარტული და გაცოცხლებული ეგვიპტე

### ქართველთა გასტროლები თბილისში

სოფო კილასონია

იმის მიუხედავად, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრში მისული "სოფლის პატიოსნების" უვერტიურის საორკესტრო რეპეტიციას დავესწარი, ჩემი იქ მისვლის მიზეზი არა მასკანის ოპერა, არამედ ჯუზეპე ვერდის "აიდა" იყო, რომლის პრემიერაც თეატრში 28 იანვარს შედგება. პირველად, 1871 წელს კაიროს თეატრში დადგმული სპექტაკლი, თბილისის ოპერის თეატრშიც არაერთხელ დადგმულა, თუმცა თითქმის ათი წელია, რაც იგი რეპერტუარიდან ამოღებულია. ეს ყველასგან გამორჩეული ხიბლისა და ხასიათის ოპერა, მალე ჩვენი მრავალმხრივ განახლებული თეატრის რეპერტუარს დაამშვენებს.

იანვრიდან რვა საპრემიერო სპექტაკლი გაიმართება, რომლებშიც წამყვან პარტიებს საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველები: ვალერიანო გამგებელი, გიორგი ონიანი, ირაკლი გრიგალაშვილი, ნანა ქავთარაშვილი, თეა დემურიშვილი, დიანა ვაშაყმაძე, ირინე რატიანი და მზია ნიორაძე შეასრულებენ. თუმცა, პრემიერამდე თეატრი ჯერ გამალებულ მზადებაშია. იკერება ახალი კოსტიუმები, იქმნება ახალი სცენოგრაფია, თანდათან ჩამოდიან და გუნდისა და ორკესტრის მუშაობას უერთდებიან გასტროლიორები, ერთიმეორეს მონაცვლეობით მიმდინარეობს დირიჟორ ზაზა აზმაიფარაშვილისა და რეჟისორ დავით საყვარელიძის რეპეტიციები.

წარმატებულად განხორციელებული მასკანის "სოფლის პატიოსნების" შემდეგ, "აიდა" საყვარელიძის მეორე საოპერო დადგმა იქნება. რეჟისორის მიერ სპექტაკლის რამდენიმე სცენაზე მუშაობას თავადაც შევესწარი, ყველაზე მეტად მისმა საოპერო გუნდისადმი დამოკიდებულებამ, მათთან მუშაობის ბევრად განსხვავებულმა მანერამ (რაც სხვა დროს თეატრში არ შემიმჩნევია) მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება. ამას გარდა, ერთ სცენაშიც კარგად ჩანდა ამა თუ იმ დეტალის საინტერესო რეჟისორული გადაწყვეტა და განსხვავებული გააზრება.

თეატრის დირექტორმა საუბრისას მითხრა, რომ თეატრში "აიდასთვის" საჭირო საერთაშორისო დონის ძალებია მობილიზებული, **"ამ დადგმას ძველთან არანაირი საერთო არ აქვს. ეს არის აბსოლუტურად ახალი დადგმა, ახალი რეჟისურით, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი მუსიკალური გააზრებით, მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან ჩვენი ვარსკვლავები, ახალგაზრდა თაობა, ჩემთვის სწორედ მათი წარმოჩენაა მნიშვნელოვანი, მსურს ხაზი გავუსვა იმას, რომ განახლებული ორკესტრია, და სულ სხვა შესრულების ხარისხი იქნება. გუნდი კი გაზრდილი და ჟღერადი, სადაც აბსოლუტურად ახალი თაობის მომღერლები არიან, ამ ყველაფერმა ჯანმრთელი ჟღერადობა უნდა შექმნას..."**



რეჟისორი დავით საყვარელიძე "აიდაში" არა სხვა დადგმებისთვის დამახასიათებელ, არამედ არასტანდარტული ეგვიპტის წარმოჩენას გვპირდება, **"არ გვსურს "ტურისტული, სუვენირული" ეგვიპტის ჩვენება. გვინდა რეალურ ცხოვრებასთან უფრო დაახლოებული, ცხოვრებისეულ პრიზმაში დანახული ეგვიპტური სამყარო შევქმნათ. "აიდა" ხომ ნამდვილ ეგვიპტესთან არ არის კავშირში, ესაა მოგონილი, ვერდის მიერ მუსიკალურად გააზრებული ფარაონთა ქვეყანა. ჩვენ გვინდოდა ჩვენებური, რაც შეიძლება ცხოვრებასთან მიახლოებული და რაც შეიძლება უფრო გაადამიანურებული ეგვიპტე და არა ისეთი გარემო და თუნდაც ისეთი ფარაონი, როგორსაც ვხედავთ სტერეოტიპულად დადგმულ სპექტაკლებში. ჩვენ მუსიკა გვკარნახობს, არ გვინდა, ვუღალატოთ ვერდის, ამიტომაც სტატიკურ ნიუანსებს ვაცოცხლებთ. რაც მაქვს ნანახი, ყველა საკმაოდ სტატიკური დადგმაა, არ მინდოდა, ასეთი გამოსულიყო"**, როგორც აღმოჩნდა, ამ ოპერის სხვადასხვა დადგმებს შორის, საყვარელიძეს რობერტ ვუილსონის ვერსია ყველაზე მეტად მოსწონს, სადაც რეჟისორის მიერ, პომპეზური მუსიკის ფონზე, მინიმალისტურ თეატრალური ხერხებია გამოყენებული, თუმცა თავად საყვარელიძეს არ სურს დაშორდეს ამ სპექტაკლისთვის დამახასიათებელ სანახაობრიობას, **"მე სპექტაკლში მეტი სიცოცხლე მინდა"**, ამიტომაც ცდილობს, რომ მისი "აიდა" ილუსტრაციულ ხელოვნებას არ დაემსგავსოს.

**"ჩვენ ვართ ისე მომზადებულები, როგორც არავინ არასდროს"**, - აცხადებს ოპერის დირექტორი და როგორც თავად აღნიშნავს, სწორედ ამის გამო აძლევს თავს უფლებას, განაცხადოს, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ისტორიაში ასეთი "აიდა" არ ყოფილა, **"ეს არის დასაწყისი ჩვენ მიერ წამოწყებული რეფორმებისა, რაც სამი წლის შემდეგ უნდა დამთავრდეს. სამ წელიწადში ჩვენ საზოგადოებას ჩავაბარებ, ჩვენს გაკეთებულ საქმეებს. 28 იანვარს არ არის ჩვენი გამოცდა, ჩვენ დავიწყეთ დიდი რეფორმა, "აიდაში" ამ რეფორმის საწყისები, პერსპექტივაში არსებული დიდი წარმატებები უნდა გამოჩნდეს. ყველა დაინახავს, თუ რა მოხდება სამ წელიწადში, როცა საზოგადოებას ჩავაბარებთ გარემონტებულ შენობას, ხავსმოცილებულ კედლებს, ახალ სიმფონიურ ორკესტრს, რომელსაც უკვე სერიოზული კარიერა ექნება შექმნილი, დაგეგმილ გასტროლებს, საერთაშორისო აღიარებას, და დაბრუნებულ ჩვენს მამულიშვილებს, რომლებსაც უსახსრობის გამო ევროპაში მოუწიათ მოღვაწეობის გაგრძელება."**

როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ზაზა აზმაიფარაშვილმა გვამცნო, ორ თვეში ორკესტრს ახალი, "იამაჰას" ფირმის ინსტრუმენტები ექნება, რაც დიდწილად გააუმჯობესებს ჟღერადობას და, როგორც ჩანს, საორკესტრო ორმოდან მსმენელი "უსუფთაო" მუსიკალურ ბგერებს ველარ გაიგონებს. **"საერთოდ მუსიკა არასდროს მეორდება, მეც ჩემებური ინტერპრეტაცია მექნება, რასაც ერთი ან ორი მუსიკალური ფრაზით მსმენელიც იგრძნობს"**, - აღნიშნავს დირიჟორი, რომლისგან ისიც შევიტყვეთ, რომ "აიდას" წარმოდგენების პარალელურად ოპერის მოყვარული საზოგადოება მასკანის "სოფლის პატიოსნებასაც" ხშირად იხილავს, რომელშიც წამყვან პარტიებს ევროპიდან დროებით დაბრუნებული ქართველი გასტროლიორები შეასრულებენ. ამ ერთმოქმედებიან ოპერას მეორე განყოფილება, კონცერტი დაემატება, რომელშიც თეატრის სოლისტები და, ასევე, გასტროლიორები მიიღებენ მონაწილეობას.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ის რომ, ახალგაზრდა ქორეოგრაფის ირაკლი შენგელიას ქორეოგრაფია და პოლინა რუდჩიკის (საზღვარგარეთ შეძენილი აღმოსავლური ფარჩითა და სხვა მასალებით შექმნილი) კოსტიუმები და დეკორაცია იქნება სპექტაკლის ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რამაც ზაზა აზმაიფარაშვილისა და დავით საყვარელიძის მუსიკალურ-რეჟისორული ჩანაფიქრი და ახალი, თბილისური "აიდა" უნდა სრულქმნას და მორთოს.

კიდევ ერთი პატარა დეტალი და კიდევ ერთი სიახლე, რომელიც თეატრის ხელმძღვანელობამ მოგვიმზადა, სპექტაკლის ტექსტუალური თარგმანია, რომლის სცენის ზემოთ დაკიდულ დაფაზე წაკითხვასაც მაყურებელი წარმოდგენების პარალელურად შეძლებს და სუბტიტრებით ოპერის სიუჟეტს თავისუფლად გაეცნობა.

**"ქართველების გემოვნებას "აიდა" ძალიან უხდება, იგი პატარა ქალაქების საყვარელი ოპერა და პირადად ჩემი მუსიკალური სიყვარულია... მიხარია, რომ ოდნავ მაინც შევეხე ვერდის უკვდავ ქმნილებას."** - მითხრა საუბრის ბოლოს რეჟისორმა. ვფიქრობ, "აიდა" არა მარტო საყვარელიძის მუსიკალური სიყვარულია და ამ სპექტაკლის ჩვენი თეატრის სცენაზე გაცოცხლებაც არაერთს გაახარებს.

"აღმოსავლური ეგზოტიკა, თეატრალური ბრწყინვალება და სანახაობრივი პომპეზურობა, ღრმა მუსიკალურ ფსიქოლოგიზმთან და დრამატიზმთან შერწყმული" - ისაა, რითიც იტალიური საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი მშვენიერი ქმნილება ხასიათდება და ის, რისი მოსმენა და ხილვა მაყურებელს 28 იანვრიდან ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე საკმაოდ ხშირად შეეძლება.

---

*პაულო კოელიოს სვეტი*

## კარაკასი, 7 ოქტომბერი, 2003 წ.



ძვირფასო პაულო კოელიო,

მე თქვენი ყველა წიგნი მაქვს წაკითხული, მაგრამ ბოლომ ყველაზე მეტად გამაოცა. კითხვისას ხშირად მეუფლებოდა შეჩერებისა და ტირილის სურვილი და ამის მიზეზი ის უბრალო ფაქტი იყო, რომ მე ქალი ვარ. თქვენ ისეთ განცდებსა და დეტალებს აღწერთ, რომელთა განცდისთვის არ არის აუცილებელი, მეძავი იყო.

თუმცა, გთხოვთ, ნება დამრთოთ, მოგახსენოთ, რომ არის რაღაცები ქალის ბუნების შესახებ, რაც თქვენთვისაც კი დაფარულია. მარია (თქვენი წიგნის პერსონაჟი) მცირე დოზით თითოეულ ჩვენგანშია. იმისთვის, რომ არც სხვას ვატკინოთ გული და არც თვითონ ჩავვარდეთ სასოწარკვეთაში, ხშირად ვდებთ ფიცს, რომ არასდროს აღარავინ შეგვიყვარდება. თუმცა, მოდის დრო, ფიცს ვარღვევთ და მერე სულ ვნანობთ, რომ ასე მოხდა.

ჩვენ არც სწორხაზოვნად კარგები ვართ და არც სწორხაზოვნად ცუდები.

სექსისგან სიამოვნების მიღება ჩვენი ცხოვრების მთავარი მიზანი და საქმიანობა არ არის. ალბათ, ამიტომაც მოვახერხეთ და უამრავი თაობის მანძილზე ეშმაკურად მივჩქმალეთ ის, რომ ძალიან იშვიათად ვაღწევთ ისეთ ყოვლისმომცველ ორგაზმს, როგორიც ხანდახან კაცებს ჰგონიათ, რომ გვაქვს. იცით, რა გვსიამოვნებს სექსზე მეტად? საკვები. როცა ჩვენ გვიყვარს კაცი, პირველ რიგში, ერთადერთ ცნობისწადილს ვიკმაყოფილებთ: ისადილა თუ არა მან უკვე, და თუ ისადილა, მოეწონა თუ არა კერძი, რომელიც დიდი სიყვარულით მოვუმზადეთ. ამას რომ ვამბობ, შესაძლოა, ფემინისტებმა წყევლა-კრულვით ამავსონ, მაგრამ ო, რა კარგი სანახავია, როცა საყვარელი კაცი ზის და ჭამს! თქვენ კი ამ დეტალის შესახებ წიგნში არაფერს ამბობთ.

სამხრეთელი ქალების მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჩვენ ბოლოს ჩვენი საყვარლების დედები ვხდებით. უძლიერესი დედობრივი სიყვარულის მსგავსია ჩვენი სიყვარულიც. ჩვენც ჩვენს კაცებს უამრავ სისუსტეს ვპატიობთ, რადგან ვიცით, რომ ისინი სინამდვილეში სუსტები არიან (ვიცით, მაგრამ მაინც თითქმის ყოველდღე ვუმეორებთ, რომ ასეთ ძლიერ ადამიანს არასდროს შევხვედრივართ).

ამ სიყვარულის გამო თავს ვირწმუნებთ, რომ ჩვენი კაცი ყოველთვის დაბრუნდება შინ; რომ მოვა დრო და აუცილებლად მიხვდება - მის ცხოვრებაში საუკეთესო რამ იმ ადამიანთან ყოფნაა, რომელიც მასზე ზრუნავს და მას ანებივრებს.

მაგრამ მერე სხვა რამ ხდება. რაც უფრო ბავშვივით ვუვლით და გვიყვარს ის, მით უფრო ველურად იქცევა: თავს უფლებას აძლევს, ფეთქებადი იყოს, იმპულსებს აჰყვეს, ეფემერული ვნებები დაიკმაყოფილოს. შეიძლება ფიზიკურად არ დაგვტოვოს, მაგრამ სულიერად ამას ბევრჯერ აკეთებს.

ქალი კი... ქალს დღეები იმედით გაჰყავს; წარსულში დაბრუნების, თითოეული ბედნიერი წამის გაცოცხლების იმედით. მერე კი, როცა ხვდება, რომ წარსული სინამდვილეში წარსულსვე ჩაბარდა, სულიერი მოუსვენრობა იპყრობს. მაგრამ შინაგანი განგაში ვერაფრით შველის არსებულ რეალობას - დრო შეიცვალა, ცხოვრება დამოკლდა, დღეები ძალიან სწრაფად გარბიან. ვგულისხმობ არა მხოლოდ ბიოლოგიურ საათს, არამედ იმასაც, რომ უკვე აღარ ვგრძნობთ თავს სასურველად; ქუჩაში ისე შეუმჩნევლად დავდივართ, რომ ერთ ცნობისმოყვარე მზერასაც არავინ გვადევნებს თან. და მერე მოდის შიში, რომ დარჩენილი დღეების მანძილზე სხეულზე აღარ ვიგრძნობთ ისეთ შეხებას, როგორც ახალგაზრდობისას იყო; რომ აღარასდროს ამოვიკითხავთ კაცის თვალებში ეროტიკულ - ან, უფრო გავთამამდები, - პორნოგრაფიულ აზრს.

ქალი რომანტიკოსია, მაგრამ ის ყოველთვის აძლევს კაცს უფლებას, მისი გრძნობები ჩაკლას. სწორედ ამიტომაა, რომ ქალი ძალიან იოლად გადაიქცევა ხოლმე სასტიკ დამანგრეველ ძალად - მას დასაკარგი არაფერი აქვს.

რამდენიმე ხნის წინ მეგობარ ქალებს ვესაუბრებოდი. ყველამ ერთხმად აღვნიშნეთ, თუ როგორ იოლად შეგვიძლია, დამანგრეველი ან პერვერტული ძალა გამოვავლინოთ. მერე ერთ-ერთმა ჩვენგანმა თქვა:

"საქმე ცოტა სხვანაირად არის. უარესადაც! როცა კაცს გულს ატკენენ, ის კბილებამდე შეიარაღდება და შურის საძიებლად, მეტოქის მოსაკლავად მიდის. ჩვენ კი, როცა საყვარელი ადამიანი გულს გვატკენს, სულ სხვანაირად ვიქცევით - ვიყენებთ მთელ ჩვენს მომხიბვლელობას და ეშმაკობას, რათა ის ტირანი, მუხლებზე დაჩოქილი, უკან დავაბრუნოთ და პატიება ვათხოვნინოთ. ეს არის შურისძიების ჩვენებური გაგება: მისთვის თავის ისე მონატრება, რომ ბოლოს დაბრუნდეს".

ვიცი, რომ თქვენს ახალ წიგნში ქალებს "ახმოვანებთ". ვფიქრობ, რიგ შემთხვევებში ეს ძალიან კარგად გამოგდით. მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ რასაც აღწერთ, ქალის უფრო იდეალიზებული სექსია, ვიდრე რეალური. თქვენი პერსონაჟი უფრო ისეთია, როგორიც ჩვენ გვინდა, რომ ვიყოთ, ვიდრე ისეთი, როგორიც ვართ.

და მაინც, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კაცი ცდილობს ქალური ბუნების ახსნას. შეიძლება არ გამოუვიდეს, მაგრამ ეს უკვე მეორეხარისხოვანია. მთავარია თვითონ ინიციატივა, მოგზაურობა, მერე ხომ შეიძლება იგივე რამ - ქალის გაგება - სხვა კაცებმაც მოისურვონ.

მარისტელა ორდონესი

თქვენი ერთგული მკითხველი. 14 წლის ბიჭის დედა და ქალი, რომელსაც ხშირად ადანაშაულებენ იმაში, რომ კაცივით აზროვნებს.

ქალაქი პირენეებში. 2003 წლის 24 ოქტომბერი:

ძვირფასო მარისტელა,

რა მოხდებოდა, ანალიზის დროს კრიტიკოსებიც ამგვარ მგრძნობელობას და სიღრმეს ავლენდნენ.

საუკეთესო სურვილებით,

პაულო კოელიო

***ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***

ინფოთეკა

## დევიდ ბექჰემი ესპანურად ალაპარაკდა

ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა ესპანელთა დიდი ოვაცია მას შემდეგ დაიმსახურა, რაც მადრიდის "რეალის" პრესკონფერენციაზე ის ესპანურ ენაზე საუბარს შეეცადა. კითხვებზე პასუხის გაცემისას ბექჰემი წითლდებოდა, თუმცა, ესპანური მედიის სიმპათია დაიმსახურა იმით, რომ ცდილობდა, იმ ქვეყნის ენაზე ესაუბრა, სადაც თამაშობს.

მადრიდულ დერბიზე საუბრისას ბექჰემმა ესპანურ-ინგლისურ ენებზე თქვა: "მადრიდის "ატლეტიკოსთან" შეხვედრა ჩვენი გუნდისთვის ბევრად კარგი იყო".

ბექჰემის თქმით, ვანდერლეი ლუქსემბურგოს გუნდში მოსვლის შემდეგ "რეალმა" დაიბრუნა ის თავდაჯერებულობა, რომელიც გასული წლის მიწურულს დაკარგა. ახალმა ბრაზილიელმა მწვრთნელმა მოახერხა და მოსვლის შემდეგ ორივე მატჩი მოიგო. ის დაეხმარა გუნდს, ლიდერ "ბარსელონას" ცოტათი წამოსწეოდა. "ჩემპიონატში გამარჯვების შანსი ჯერ კიდევ გვაქვს. ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ სულ უფრო უკეთესად ვთამაშობთ. უბრალოდ, მთელი ძალით შრომა გვმართებს", - განაცხადა ბექჰემმა.

ამასთან, ბექჰემმა ახსნა ის მიზეზები, რომლის გამოც შარშანდელ სეზონში ცუდ ფორმაში იყო. "კრიტიკოსები ყოველთვის გამოჩნდებიან. თუ თამაში არ წაგივიდა, ესე იგი, შენი კარიერა დამთავრდა ან ძალიან დაბერდი. არადა, მხოლოდ 29 წლის ხარ. მე ჩემი ფეხბურთი მიყვარს და შემიძლია, კიდევ ხუთიექვსი წელი ვითამაშო. თუმცა, ის, რომ ევროპის ჩემპიონატზე ორი პენალტი ვერ გავიტანე, ჩემ დიდებად არ მიმაჩნია", - განაცხადა მან.

ფეხბურთელმა, რომელიც ადრე "მანჩესტერ იუნაიტედის" ღირსებას იცავდა, განაცხადა, რომ მის გეგმებში არ შედის უახლოეს მომავალში ინგლისში დაბრუნება და მოხარული იქნება, თუ მადრიდის "რეალთან" კონტრაქტს გააგრძელებს. შეგახსენებთ, რომ ბექჰემის მოქმედი კონტრაქტი სამეფო კლუბთან 2007 წელს იწურება. ბექჰემმა ისიც დაამატა, რომ ახარებს ინგლისის ნაკრებში კონკურენციის ზრდა. მას "მანჩესტერ სიტის" ახალგაზრდა ნახევარმცველი შონ რაიტ-ფილიპსი ეცილება ადგილს.

## მორიენტესი 9 მილიონ ევროდ

ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ფორვარდი ფერნანდო მორიენტესი ინგლისის "ლივერპულში" გადადის. "როიტერის" ცნობით, ინგლისურმა კლუბმა "რეალის" ფორვარდში 9 მილიონი ევრო გადაიხადა. "ფეხბურთელი ლივერპულში დღის მეორე ნახევარში ჩამოვა და სამედიცინო შემოწმებას გაივლის", - ნათქვამია მერსისაიდული კლუბის განცხადებაში.

## დანიის ნაკრების მეკარე - "ბოხუმში"

გერმანული ბუნდესლიგის კლუბმა "ბოხუმმა" კონტრაქტი გააფორმა მეკარე პეტერ სკოვ-იენსენთან, რომელიც მანამდე დანიური "მიდტიულანდის" ღირსებას იცავდა. 33 წლის მეკარემ, რომელიც დანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ახლდა, ახალ კლუბთან მომავალი წლის ბოლომდე გააფორმა შეთანხმება.

## "ატლეტიკო" 787 დოლარს გადაიხდის

მადრიდის "ატლეტიკო" დააჯარიმეს "რეალთან" მატჩში (0:3) რობერტო კარლოსის მიმართ რასისტული გამოხდომებისთვის. "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა გუნდი 787 დოლარით დააჯარიმა. მატჩის არბიტრმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ "ატლეტიკოს" ფანები რობერტო კარლოსს რასისტული გამონათქვამებით შეურაცხყოფას აყენებდნენ.

## მოია ნაკრებში თამაშზე უარს აცხადებს

ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში დევისის თასის ბოლო გამარჯვებული კარლოს მოია დევისის თასზე ნაკრებში თამაშზე უარს აცხადებს. ამით მოიამ გადაწყვიტა, აქცენტი "დიდი სლემისა" და მასტერსის ტურნირებზე გადაიტანოს. "მე უკვე 28 წლის ვარ და მინდა, აქცენტი ცალკეულ ტურნირებსა და მათი ჩატარების ვადებზე გადავიტანო", - განაცხადა ჩოგბურთელმა, რომელიც მსოფლიო რეიტინგში მეხუთე ადგილზეა.

# ვერისბაღელები



## მესხიზმმა დაამარცხა მარქსიზმი

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

**"კაცობრიობა ორ ნაწილად იყოფა - ფეხბურთის მოყვარულებად და დანარჩენ ადამიანებად; რაც უფრო მალე შემოგვიერთდება ეს მეორე ნაწილი, მით უკეთესი მისთვის", -** ეს სიტყვები ერთ ცნობილ ვერისბაღელს - ფეხბურთის, და არა მარტო ფეხბურთის, გულშემატკივარს ეკუთვნის. და მართლაც, ალბათ, ქართული ფეხბურთის ისტორია მთლიანობას დაკარგავდა, მასთან ერთად წლების მანძილზე რომ არ ეარსება გულშემატკივართა დიდ არმიას და, თავისებურად, უნიკალურ ფენომენს - ვერის ბაღის გულშემატკივართა არაოფიციალურ კლუბს.

ამ ბაღში საღამოს ათი საათიდან იწყებოდა და თითქმის დილამდე გასტანდა ხოლმე სრულიად სხვადასხვა მენტალიტეტის, ასაკის, განათლების და მისწრაფებების ადამიანთა დინება, რომლებიც მსჯელობასა და კამათში ათენებდნენ ღამეებს. აქ ყველა თემას ეხებოდნენ - ხელოვნებას, ფილოსოფიას, ეკონომიკას, პოლიტიკას; წაიდისიდენტებდნენ კიდეც, მაგრამ მათი გამაერთიანებელი მაინც ფეხბურთის სიყვარული იყო და საბჭოურ წლებში დისიდენტური ოცნებების გამოვლენის, ალბათ, საუკეთესო საშუალებაც. ბაღში თავს იყრიდა უამრავი ცნობილი ადამიანი - მხატვრები, მწერლები, მომღერლები, ჟურნალისტები, მეცნიერები; თავად ფეხბურთი კი თითოეულს ხელოვნების რანგში აჰყავდა.

"ნოდარ დუმბაძე ყოველ საღამოს მოდიოდა ბაღში, - გვიამბობს გოგი დემეტრაძე, - წამოწვებოდა სკამზე და თვლემდა. მერე უცებ წამოხტებოდა და შინ გარბოდა - აქაურ დიალოგებს იწერდა. შეიძლება გახსოვთ "მზიან ღამეში" მისი დიალოგი ჩემთან და ქართლოსთან: ქართლოსი ამტკიცებს, - ფეხბურთი ხელოვნებააო. ჩვენც ვეთანხმებით. ნოდარი კამათობს, - ბასა თუ ხელოვანია, აბა, ბეთჰოვენი ვინლააო. ამაზე მე ვპასუხობ, - თავის საქმეში ბასა ბეთჰოვენიცაა და სტრავინსკიც-მეთქი. ნოდარი კითხვას მიბრუნებს, - რომელ საქმეშიო. სპორტში-მეთქი, - ვპასუხობ. ესე იგი, ფეხბურთი მაინც სპორტი ყოფილაო, - უხარია ნოდარს, რაზეც ქართლოსი მაშინვე პასუხობს,- სპორტი, შენ რომ ლექსებს წერ, ისააო. მსმენელები ტაშს უკრავენ და კამათიც აქ მთავრდება".

ეს რომანტიკოსი გულშემატკივრები ლამაზ ფეხბურთს ეთაყვანებოდნენ; პრაგმატიკოს მწვრთნელებს ეკამათებოდნენ, ფეხბურთელებთან მეგობრობდნენ და, წარმოიდგინეთ, ხშირად თავიანთი გემოვნებისკენაც გადაიბირებდნენ მათ (ფეხბურთის კარგი ცოდნით და, რაც მთავარია, დიდი სიყვარულით ამას ახერხებდნენ), რის გამოც მწვრთნელები არაერთხელ განაწყენებულან. ერთხელ მთავრობაშიც კი უჩივლეს, - დაშალეთ ეგ თავყრილობა, მუშაობას არ გვაცლიანო. მართლაც, ცნობილია, როგორ მივიდა ვერის ბაღში უშიშროების გენერალი გივი კვანტალიანი საგანგებო მისიით - აღეკვეთა ეს უზნეობა; ოღონდ ბაღელებთან გასაუბრების შემდეგ მათი დაშლა აღარც უფიქრია და მწვრთნელებს შეუთვალა: რას ერჩით, მშვენიერი ხალხი ყოფილა; კი ნუ ებუტებით, მოუსმინეთო...

გოგი დემეტრაძის, ღუტა ანდღულაძისა და ვერნი ალფაიძის რადაქციაში სტუმრობა დიდი მიხეილ მესხის დაბადების დღეს დაემთხვა და, ბუნებრივია, ეს პირველი საუბარიც მას მიეძღვნა.

**პირველი, რაც მახსენდება, -** ამბობს გოგი დემეტრაძე, **- 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი ფრანკფურტში. ვზივარ ტრიბუნაზე. მარჯვნივ მიშის გაიოზ ჯეჯელავა - გუშინ მისი დაბადების დღე იყო; მარცხნივ მიშა მესხი - დღეს მისი დაბადების დღეა; წინ, სტადიონზე, პელე ხსნის მსოფლიო ჩემპიონატის საზეიმო ცერემონიალს. ვუყურებ და მეც მეტი რა მინდა...**

ვერნი ალფაიძე: **არ დამავიწყდება, მიშას გაშვებას რომ აპირებდნენ და გამოსათხოვარი მატჩი უნდა ეთამაშა, ქართლოს სვანიძემ მე და რეზო მელაშვილს გვითხრა, - თურმე მიშა გამოსათხოვარი მატჩისთვის სულ მარტო ვარჯიშობს; მივიდეთ, გავამხნევოთო. მართლაც წავედით. მიშამ რომ დაგვინახა, ძალიან გაიხარა, თითქოს ძალა შეემატა. იქვე ახალგაზრდული ნაკრები ვარჯიშობდა - რვანი იყვნენ. ჩვენ ოთხნი ვიყავით და გადავწყვიტეთ, მათთან გვეთამაშა. რა თქმა უნდა, ჩვენ შორის მიშა საოცრებასავით გამოირჩეოდა, მაგრამ ძალიან მოვინდომეთ და ჩვენი ოთხკაციანი გუნდით რვა კაცს მოვუგეთ. მიშა საუკეთესო გუნებაზე დადგა და გამოსათხოვარი მატჩი ისე ითამაშა, ურუგვაის ნაკრების წევრები კითხულობდნენ, - ეს რა წესი გქონიათ, ფეხბურთელები ყოველთვის ხელში აგყავთო? უპასუხეს: არა, ამას დღეს ფეხბურთიდან ვუშვებთ და იმიტომო. ურუგვაელები კიდევ უფრო გაოცდნენ: ამას თუ უშვებთ, ვიღას ტოვებთო.**

**"საერთოდ, სადაც უნდა ეთამაშა მიშას, მეტოქის გულშემატკივრებიც კი ყოველთვის მხურვალე ოვაციით აცილებდნენ, -** ჩაერთო ღუტა ანდღულაძე. **მახსოვს, არგენტინის ნაკრებთან მატჩის წინ ერთმა ენამწარე მიმომხილველმა იწინასწარმეტყველა: ხვალ სიმეონე მესხთან კატათაგვობანას თამაშს აპირებს და შავ დღეს დააყრისო. მატჩის შემდეგ კი ის ჟურნალისტი წერდა:** "игра в кошки-мышки правда состоялась, только мишка оказался кошкой, а кошка - мишкой".

ვერნი ალფაიძე: **ძალიან მომენატრა თამაშის ის მანერა, როდესაც მესხი და იამანიძე ერთ ფლანგზე ისე კომბინირებულად თამაშობდნენ, მეტოქის ოთხ ფეხბურთელს აბითურებდნენ; მერე მიშა ზაურ კალოევს თავზე დაასვამდა ბურთს და გოლიც გადიოდა. საერთოდ, გამორჩეულად ინდივიდუალური, ნამდვილი ქართული თამაშის მანერა ჰქონდა მესხს.**

**ჰოდა, კონფლიქტებიც ხშირად მოსდიოდა ბესკოვთან, -** ჩაერთო გოგი დემეტრაძე. **ერთხელ მიამბობდა, - ბესკოვი ცეკადან მოვიდა და მაშინვე მივხვდი, ჩემს ნაცვლად ჰუსაინოვის დაყენება ჰქონდა ნაბრძანებიო. მიშას ბესკოვთან კონფლიქტები მოსდიოდა და ამის გამო ნაკრებიდანაც წამოვიდა. სწორედ ამიტომ არ ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისში.**

ღუტა ანდღულაძე: **არა, მძიმე ხასიათი კი ჰქონდა - ძალიან ამაყი იყო, მაგრამ ვარსკვლავი იყო და ეპატიებოდა. ერთი რამე ზუსტად ვიცი - 1964 წელს, ტაშკენტში, ლიტველი მსაჯი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ჩემპიონობა არ გვეღირსებოდა. იმ კაცს იმის მერე ათი წელი აღარ უმსაჯია.**

**თან ერთი თვით ადრე ხრუშჩოვი დაიჭირეს, -** გააგრძელა გოგი დემეტრაძემ, **- ოქტომბერი იყო. მაშინვე ვთქვი, - ნოემბერში ჩემპიონები გავხდებით-მეთქი და ასეც მოხდა. მოკლედ, მესხიზმმა დაამარცხა მარქსიზმი. კომუნისტებმა როგორც დაგვაზარალეს, ცნობილია. ბერიამ დამიხვრიტა დედის ძმა და მამის ორი ძმა - ტყუპები; ოღონდ სტადიონი ააშენა და ფეხბურთი უყვარდა, უვლიდა. ახლა კი, ფეხბურთის დღევანდელი მესვეურების ხელში, ლამის ბერია მომენატროს** (იცინის).



ინფოთეკა

## კანადას მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ფული არ ჰყოფნის

მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში, რომელიც 2005 წლის 17-31 ივლისს კანადის ქალაქ მონრეალში უნდა გამართულიყო, ჩაშლის პირას მივიდა. სწორედ ასეთია მდგომარეობა საწყლოსნო სპორტის საერთაშორისო ფედერაციისა და ტურნირის ორგკომიტეტის წარმომადგენელთა შეხვედრამდე.

ძირითადი პრობლემა, რომელიც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, ფინანსური ხასიათისაა. კერძოდ, ხუთი სახეობის გამართვისთვის (ცურვა, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა, წყალბურთი და ღია წყალში ცურვა) დაგეგმილი იყო 12 მილიონი დოლარის ოდენობის სპონსორული თანხა. აქედან დღეს ორგანიზატორთა განკარგულებაში მხოლოდ 4 მილიონია.

ამას გარდა, გაყიდულია 500 ათასი დოლარის ღირებულების ბილეთები, არადა, ბილეთების რეალიზაციიდან ორგანიზატორები 6 მილიონ დოლარს ელოდებიან. კვებეკის პროვინციის ფედერალური ხელისუფლება და თავად ქალაქ მონრეალის მთავრობა, რომლებმაც ტურნირის ორგანიზებაში 30 მილიონი დოლარი ჩადეს, უკან დახევას არ აპირებენ და უნდათ, მსოფლიო ჩემპიონატი დაგეგმილ ვადებში ჩაატარონ.

## ბელგიელი ველოსიპედისტი დოპინგზე დააკავეს

ბელგიელი ველომრბოლი ბენ ბერდენი აკრძალული პრეპარატ ერითროპოეტინის მოხმარებაში ამხილეს. ბელგიური პრესა იუწყება, რომ დოპინგტესტი, რომელმაც სპორტსმენის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი აღმოაჩინა, დეკემბრის შუა რიცხვებში იყო აღებული.

## იულიანო "მალიორკაში" გადავიდა

იტალიური პრესის ცნობით, ტურინის "იუვენტუსის" მცველი მარკ იულიანო ესპანეთის "მალიორკაში" გადავიდა. შეთანხმების დეტალები ჯერჯერობით უცნობია. იტალიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა 2005 წელს "იუვენტუსის" შემადგენლობაში მხოლოდ იტალიის თასზე ითამაშა.

## ჯერემი არ იყიდება

ლონდონის "ჩელსის" ხელმძღვანელობა არ აპირებს ჯერემის გაყიდვას. ჟოზე მოურინიოს თანაშემწე სტივ კლარკმა განაცხადა: "ვაპირებთ, გუნდის ყველა ფეხბურთელი შევინარჩუნოთ, რადგან წინ და განსაკუთრებით სეზონის ბოლოს გუნდს ბევრი რთული მატჩი ელოდება. სწორედ ამიტომ არ გვინდა ვინმეს შეველიოთ". დერემი კი ადრე აცხადებდა, რომ "მიდლსბროში" გადასვლა სურს.

TV-სპორტი

## ხუთშაბათი. 13 იანვარი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. "სოშო" - "ლიონი"
14:00 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "მილანი" - "სელტიკი"
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:10 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:10 რუსეთის ჩემპიონატი - 2004. საკუთარი ვერსია
17:40 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. გერმანიის ჩემპიონატი. "ვოლფსბურგი" - "კაიზერსლაუტერნი"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 საუიკენდო მატჩების ანონსი
19:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:50 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
21:20 "FUTBOL MUNDIAL"
21:50 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "ვერდერი" - "ვალენსია". შესვენებისას (22:40) - თავისუფალი დარტყმა
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 16:15, 19:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:40 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
11:10 "ჰოკეი-პლუს"
11:30 სათხილამურო რბოლა. რუსეთის ჩემპიონატი. დღე მეორე
12:15 "სპორტისიმო"
13:40 ფიგურული სრიალი. რუსეთის ჩემპიონატი. ვაჟები
16:30 ჰოკეი. "სტენლის თასის რეტროსპექტივა". 1998 წელი. ფინალი. "DETROIT RED WINGS" - "WASHINGTON CAPITALS". მეორე მატჩი
19:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
19:45 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა
20:15 "მოტოვებული კვირა"
21:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "ჰოკეი-პლუს"
22:15 ფიგურული სრიალი. რუსეთის ჩემპიონატი. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:00 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
01:30 ATP საჩოგბურთო მიმოხილვა

**EUROSPORT**
10:30 რალი. რალი-რეიდი, დაკარი
11:15 თავგადასავლების რეიდი
11:45 ციგები. მსოფლიო თასი გერმანიაში
12:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში
13:45 რალი. რალი-რეიდი, დაკარი
14:30 რალი. რალი-რეიდი, დაკარი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:45 საჩოგბურთო ისტორიები
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრალიაში
16:15 ბოულინგი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ავსტრალიაში. მეოთხედფინალები
18:45 საჩოგბურთო ისტორიები
19:00 რალი. რალი-რეიდი, დაკარი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 ფეხბურთი. "Efes Pilsen" თასი. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
00:30 რალი. რალი-რეიდი, დაკარი
01:15 ახალი ამბები
01:30 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
02:45 რალი. რალი-რეიდი, დაკარი

ძიუდო

# A კატეგორია მსოფლიო თასია

გიგა გურასაშვილი

*კარგი ამბავია, რომ ძიუდოში თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი რანგით ამაღლდა. თუ აქამდე საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საზრუნავი ის იყო, რომ მსოფლიო ძიუდოს მამამთავრებისგან დღემდე არსებული A კატეგორიის ტურნირისთვის სუპერ A კატეგორიის სახელი გამოეტყუებინათ, მოხდა ისე, რომ...*



ვახო ბესელიას ფოტო

*ოლიმპიურ ჩემპიონებს ხაბარელსა და ჩოჩიშვილს საზრუნავად ტრადიციული ტურნირი აქვთ.*

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება, თბილისის საერთაშორისო ტურნირს, რომელიც წლეულს 32-ედ გაიმართება, როგორც ერთ-ერთი უძლიერესი შემადგენლობის ტურნირს, მიენიჭოს მსოფლიო თასის წოდება! ასე რომ, დღეიდან ის, ვინც თბილისის ტატამზე გაიმარჯვებს, ავტომატურად ხდება მსოფლიო თასის მფლობელი და, შესაბამისად, გახდება რანგით უფრო მაღალი ტიტულის მატარებელი. ესაა ის ამბავი, რომელიც გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში თავშეყრილმა ქართული ძიუდოს სკოლის მესვეურებმა და დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა გვითხრეს. თავდაპირველად ტურნირის რანგით ამაღლება გვახარეს, მერე კი ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა კარს მომდგარი, აწ უკვე მსოფლიო თასად გარდაქმნილი ტურნირის საორგანიზაციო საკითხები გაგვაცნო: "ქვეყნის ხელისუფლება, პრეზიდენტით დაწყებული და სპორტის დეპარტამენტის რიგითი მუშაკით დამთავრებული, ძიუდოს მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. თუ წინა წლებში ტურნირს ორგანიზებულად ვერ ვატარებდით, პრობლემები გვქონდა მატერიალურ რესურსებთან, რის გამოც სათუო ხდებოდა შეჯიბრების მასპინძლობა, დღეის შემდეგ ეს პრობლემები ფაქტობრივად მოგვეხსნა. ახლა ყველანაირი ხელშეწყობა გვაქვს საიმისოდ, რომ ჩავატაროთ ისეთი რანგის ტურნირი, რომელიც ქართული ძიუდოს სკოლას ეკადრება".

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული ოქრო-ვერცხლის შემდეგ ძიუდოსადმი განსაკუთრებული მიდგომა იგრძნობა. შეიძლება ითქვას, რომ ძიუდო სახელმწიფო დონეზეა აყვანილი, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, 70 ტატამი შემოიტანეს. გარდა ამისა, დედოფლისწყაროში იქმნება ძიუდოს სპეციალიზებული სკოლა-ინტერნატი, რომელიც, ხაბულიანისვე თქმით, ერთადერთია (თუ, რა თქმა უნდა, იაპონიას არ ჩავთვლით) მსოფლიოში. ერთი სიტყვით, იქმნება ძიუდოს სამჭედლო, სადაც 300-მდე მოზარდი დაეუფლება სპორტის ამ სახეობას. სკოლა-ინტერნატში მიღება დაიწყება მეექვსე კლასიდან. დაფინანსებას კი სახელმწიფო იღებს თავის თავზე.

რაც შეეხება ევროპის საკლუბო ჩემპიონატს, რომელშიც კლუბი "საგარეჯო" იასპარეზებს, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელის თქმით, ქართული კლუბის მეტოქეთა ვინაობა 5 თებერვალს პარიზში გაირკვევა. საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში შეტანილი წინასწარი განცხადებებით ვარკვევთ, რომ თბილისის ტრადიციულ ტურნირზე (ჩატარდება 27-31 იანვარს) ასპარეზობის სურვილი გამოუთქვამთ საფრანგეთის, აშშ-ის, რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის, თურქეთის, ესტონეთის, ლიტვის, ლატვიის, ესპანეთის, საბერძნეთის, ჩეხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსის, ირანისა და იაპონიის ნაკრებებს. იაპონია და ირანი უძლიერესი შემადგენლობებით გვეწვევიან, ხოლო რუსეთი - პირველი და მეორე ნაკრებებით. თბილისის ტურნირს პატივს დასდებენ ევროპის ძიუდოს ფედერაციის სამი ვიცე-პრეზიდენტი და მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე.

ფეხბურთი

# ნაცისტების სალუტი პაოლო დი კანიოს შესრულებით

ნინო ტიკარაძე

*გასულ კვირას "ლაციოსა" და "რომას" შეხვედრის შემდეგ, "ლაციოს" კაპიტანმა პაოლო დი კანიომ თავისი გუნდის გამარჯვების აღსანიშნავად "ლაციოს" გულშემატკივრების ტრიბუნასთან მიირბინა და ხელი 45 გრადუსით მაღლა აწია ("ლაციომ" მეტოქეს 3:1 სძლია). ბუნებრივია, ეს ჟესტი უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ ფოტო-რეპორტიორებს. და აი მეორე დღეს, "ლაციოს" ეს ბრწყინვალე გამარჯვება არავის ახსოვდა, რადგან ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები ფაშისტივით ხელაწეული დი კანიოს სურათებით აჭრელდა.*



*დი კანიოს ამ ჟესტისთვის უსიამოვნება შეემთხვა.*

იტალიური გუნდის "ლაციოს" კაპიტანი პაოლო დი კანიო ამ გუნდში მოსვლამდე თამაშობდა როგორც იტალიურ, "იუვენტუსსა" და "მილანში", ასევე ინგლისურ გუნდებში: "უეტ ჰემში", "შეფილდ უენსდეისა" და "ჩარლტონში".

2001 წელს მან სამართლიანი თამაშისთვის საპატიო ჯილდო მიიღო. საქმე ის გახლავთ, რომ ინგლისის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დროს დი კანიომ, რომელსაც "ევერტონის" კარში ბურთის გატანა შეეძლო, დაინახა, რა რომ მოწინააღმდეგე გუნდის მეკარე ტრავმირებული იყო, მსაჯი მოიხმო და მას თამაშის შეჩერება სთხოვა.

ამჟამად კი ეს სამართლიანი ფეხბურთელი სერიოზული პრობლემის წინაშე დგას. მისი სალამი ჟურნალისტებმა "ფაშისტების სალუტად" მონათლეს და განაცხადეს, რომ ეს ისეთი ცნობილი ჟესტია, რომელიც შეუძლებელი რაიმეში შეგეშალოს.

მოკლედ, დი კანიოს ერთი შეხედვით "უწყინარმა" მისალმებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია. ბუნებრივია შეშფოთებულია იტალიის ფეხბურთის ასოციაცია.

აწ გარდაცვილი დიქტატორის შვილიშვილი, ულტრა-მემარჯვენე პოლიტიკოსმა ალესანდრა მოსოლინიმ დი კანიოს საქციელი მოიწონა. "ფეხბურთელის სალუტმა ძალიან გამახარა. აუცილებლად მადლობის წერილს მივწერ მას," - განაცხადა მან.

ამ განცხადების შემდეგ დი კანიომ საჯაროდ უარყო, რომ მისი მისალმება პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელი იყო. "მე პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ და ჩემს ნებისმიერ საქციელს არაფერი აქვს საერთო პოლიტიკასთან. ამ შემთხვევაში პირდაპირ შევეხები და უარვყოფ უმრავლესობის მიერ გაკიცხულმა, უმცირესობის მიერ კი შექებულმა ფეხბურთელმა. (განცხადებაში მან მუსოლინის შვილიშვილი ქორწინების გვარით მოიხსენია).

ამის შემდეგ, "ლაციოს" კაპიტანმა კიდევ ერთი, ამჯერად კი მოკლე წერილობითი განცხადება გააკეთა, რომელიც მისმა აგენტმა მატეო როგიმ "ბიბისისთან" ინტერვიუს მიცემის დროს წაიკითხა:"გულშემატკივრეთან მისასალმებლად მივედი. ბუნებრივია, რომ სტადიონზე იყო უამრავი ფოტო რეპორტიორი, რომლებსაც წამში ასი სურათის გადაღება შეუძლიათ. გასაკვირი არ არის, რომ ერთ-ერთ კადრში ხელაწეული ვარ დაფიქსირებული".

თუმცა ფეხბურთელის მიერ უდანაშაულობის მტკიცება საკმარისი არ აღმოჩნდა აღშფოთებულთა დასაშოშმინებლად. იტალიის მინისტრმა ევროკავშირის საკითხებში კონსერვატორმა როკო ბუტილიონემ განაცხადა: "ზოგიერთ იტალიელს რომაელებთა სალუტი მტკივნეულ და მწარე მოგონებებს აღუძრავს. სპორტმა ხალხი უნდა გააერთიანოს, მაგრამ ამ საშინელი ომის სიმბოლოები მათ ერთმანეთს აშორებს. დი კანიოს ამაზე რომ ეფიქრა, ასეთ წინდაუხედავ ნაბიჯსაც არ გადადგამდა".

ამ აზრს იზიარებს მემარჯვენე-ცენტრისტი პოლიტიკოსი ენცო ფოში: "შეუძლებელია ეს საქციელი კომენტარის გარეშე დატოვო. ის ფაშიზმის, სისხლისმსმელი და ტირანული იდეოლოგიის, დაკანონებას უწყობს ხელს. მე ქედს ვიხრი დი კანიოს, როგორც ფეხბურთელის წინაშე, მაგრამ დი კანიოს, როგორც ფაშისტს ვერ ვიტან".

და როგორც აღმოჩნდა, ფეხბურთელი, რომელიც ასეთი ბრალდების გამო თავს შეურაცხყოფილად თვლის, ახალგაზრდობაში "ლაციოს" ულტრა-მემარჯვენე გულშემატკივართა ჯგუფის წევრი იყოს. ავტობიოგრაფიულ წიგნში დი კანიო მუსოლინის პიროვნებით აღფრთოვანებას ვერ მალავს და აცხადებს, რომ ამ ადამიანის არავის ესმოდა. ხალხს მასზე მცდარი წარმოდგენა ჰქონდა შექმნილი.სინამდვილეში კი მუსოლინი "პრინციპული და ჰუმანური ადამიანი იყო".

აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის წევრები "ლაციოს" ცუდი რეპუტაციის მოპოვებაში "დაეხმარნენ" და ეს დამოკიდებულება დღემდე გრძელდება. სტუმართა გუნდის შავკანიან ფეხბურთელებს ისინი მოედანსა თუ მის ფარგლებს გარეთ დიდ შეურაცხყოფას აყენებენ..

ამ იტალიური კლუბის ფაშიზმთან ასოცირებას საფუძველი მას შემდეგ ჩაეყარა, რაც ბენიტო მუსოლინიმ მის თამაშებზე დასწრება რეგულარულად დაიწყო. მოკლედ, "ლაციო" იტალიელი დიქტატორის ფავორიტი გუნდი გახდა. დღესდღეობით "ლაციოს" ნეო-ფაშისტური გუნდის სახელით მოიხსენიებენ. მის გულშმემატკივრებს კი ზოგიერთები ხულიგნებსაც უწოდებენ.

იტალიის პოლიციამ გამოძიება უკვე დაიწყო. ბუნებრივია, ბრალის წაყენება გარკვეულ სამხილთა გულდასმით შესწავლის გარეშე შეუძლებელია. მატჩისა და მისი შემდგომი ვიდეოჩანაწერის გარდა, პოლიცია იკვლევს ასევე ტატუს "დუჩე", რომელიც ფეხბურთელს ერთ-ერთ მკლავზე აქვს ამოტვიფრული. (შეგახსენებთ, რომ "დუჩე" ბენიტო მუსოლინის ზედმეტ სახელი იყო).

"ლაციოს" გულშემატკივრები უარყოფენ დი კანიოს მისალმების პოლიტიკურ მნიშვნელობას და ფეხბურთელის დასჯის შემთხვევაში საპროტესტო აქციით იმუქრებიან.

ყველაფერი კი გამოძიების დასრულების შემდეგ გაირკვევა. იტალიის კანონის თანახმად, ფაშიზმის გამოვლინებას და მის მხარდაჭერას დანაშაულის კვალიფიკაცია ეძლევა. ასე რომ, თუ დანაშაული დამტკიცდა, დამნაშავე სასჯელს ვერ გადაურჩება.

სათხილამურო სპორტი

# ავსტრიელი დოლომიტების ერთგული დარჩა

გიგა გურასაშვილი

*იტალია, კორტინა დ`ამპეცო, ზამთრის VII ოლიმპიური თამაშების მასპინძელი და დოლომიტების გული, როგორც მას ადგილობრივები უწოდებენ. ერთი სიტყვით, გუშინ დოლომიტების ფერდობებზე სუპერგიგანტის ქალმა დიდოსტატებმა მსოფლიო თასის მე-4 ეტაპი გაითამაშეს. ქალები კი ისეთები იყვნენ, თქვენი მოწონებული - ოლიმპიური ჩემპიონები, მსოფლიო ჩემპიონები, თასის მფლობელები...*




სუპერგიგანტი, რომელიც ტექნიკურ სახეობადაა მიჩნეული, ისევე როგორც სლალომი, იმითაა გამორჩეული, რომ მოთხილამურეს ჭიშკრებს შორის მანევრირების ოსტატობა მოეთხოვება, რა თქმა უნდა, უსწრაფეს დროში. მაგრამ ჯერჯერობით არც ერთ ეტაპს არ ჩაუვლია ისე, რომ რომელიმე მოთხილამურემ შეცდომა არ დაუშვას და ჭიშკარს ასცდეს, ან დაეჯახოს და ასპარეზობა ვერ დაასრულოს. ასევე ჩვეულებრივი ამბავია ისიც, რომ შეჯიბრების მონაწილეთა ნახევარმა ტრასა ვერ ჩაამთვაროს (როგორც პირველი, ისე მეორე მცდელობისას). გამარჯვებული კი ისაა, ვინც ორი ცდის ჯამში ტრასას ყველაზე ნაკლებ დროში ჩაისრიალებს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გუშინდელი, მეოთხე ეტაპის სამეული მეზობლებმა - ავსტრიელებმა, შვეიცარიელებმა და გერმანელებმა დაიკავეს. მართალია, იმავე ტრასას სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ხორვატი იანიცა კოსტელიჩიც ტკეპნიდა, მაგრამ საუკეთესო შედეგების მქონე ავსტრიელ რენატა გოეჩლს, შვეიცარიელ ანია პერსონსა და გერმანელ მარტინა ერტლს ვერაფერი მოუხერხა. თუმცა, მარტო მათ კი არა, მასა და მესამე ადგილზე გასულ გერმანელს შორის კიდევ პირველობის ცხრა მოცილემ დაიკავა ადგილი. თუმცა, ტიტულოვან კოსტელიჩს ეპატიება, რადგან მუხლის ტრავმასთან ერთად (რის გამოც მთელი შარშანდელი სეზონი გაუცდა), ახლომხედველობაც სტანჯავს. ხორვატიული გაზეთები წერდნენ კიდეც, ტექნიკურ დისციპლინებში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ბოლოდროინდელი წარუმატებლობის მიზეზი ახლომხედველობაში უნდა ვეძებოთო. ალბათ ამიტომაცაა, რომ მიმდინარე სეზონში ერთადერთი ეტაპის მოგება მოახერხა ყველაზე ტექნიკურ დისციპლინაში - სლალომში. არადა, მანამდე იმავე სლალომში კოსტელიჩმა ორჯერ (2001 და 2003 წლებში) გაიმარჯვა მსოფლიო თასზე. შარშანდელი წარუმატებლობების მიზეზად დაშავებული მუხლი კი დავასახელეთ, მაგრამ ხორვატიული პრესა გვახსენებს, ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ შარშან გლანდების ოპერაციაც გაიკეთაო. თუმცა, წარუმატებლობების მიზეზი მაინც ახლომხედველობაა, რის გამოც ოპერაცია აქვს გასაკეთებელიო. ეს მაშინ, როცა მსოფლიო ჩემპიონატამდე (ბორმიო და სანტა კატერინა, იტალია. 29 იანვარი - 12 თებერვალი) დღეები რჩება.

ის, რომ მსოფლიო ჩემპიონატი კარსაა მომდგარი, ამის გამო მსოფლიო თასის ლიდერმა, ფინელმა ტანია პოუტიაინენმა, მსოფლიო თასის ეტაპებში ასპარეზობაზე უარი განაცხადა, მოტივით - მსოფლიო ჩემპიონატისთვის უნდა მოვემზადოო. ისე, ფინელსაც რომ ეასპარეზა, სამეული ალბათ სხვაგვარად განაწილდებოდა, რადგან პოუტიაინენი ტექნიკური დისციპლინის დიდოსტატადაა მიჩნეული. შესაძლოა, ვინმემ ფინელის დამსახურებად ჩათვალოს ავსტრიელის, ამასთან, სეზონის პირველი გამარჯვება, მაგრამ სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრიელი მისთვის საყვარელ ტრასაზე გამოდიოდა. ამის დასტურია გოეჩლის წარმატებათა ნუსხა დოლომიტების ფერდობებზე. ავსტრიელისთვის ეს იყო მეოთხე სუპერგიგანტური (მთლიანობაში კი მეექვსე, რადგან ორჯერ დაშვებებშიც უმარჯვნია.-რედ.) გამარჯვება დოლომიტებში.

ალბათ ამიტომაც იყო, რომ დიდად არ აღტაცებულა ამ გამარჯვებით. ეტყობა, რაღაც განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ამ ფერდობთან, მიუხედავად იმისა, რომ სეზონის პირველი გამარჯვება მოვიპოვეო.

# რევოლუციის შემდეგ

## სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიის კონსოლიდაციის პრობლემები საქართველოში

*დასასრული. დასაწყისი იხ. №4 (864), №5 (865)*

*შეძლებს თუ არა საქართველოს ახალი ხელისუფლება "ნეოპატრიმონიალური" სახელმწიფოს რეფორმირებასა და დემოკრატიული პროგრესისკენ სვლას? რის საფუძველზე უწოდებენ საკუთარ თავს "ჭეშმარიტად დემოკრატიულს" აბსოლუტური უმრავლესობით არჩეული პრეზიდენტი სააკაშვილი და ასევე უდიდესი უპირატესობით გამარჯვებული "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" კოალიცია?*

დოქტორი
ლოურენს ბროერი
ლონდონის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

### პოსტრევოლუციური საქართველო: დემოკრატები დემოკრატიის გარეშე

ძალაუფლებისკენ მიმავალ გზაზე პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაცია ფართო არეალის სოციალური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელებას ენთუზიაზმით შეუდგა. ისინი მნიშვნელოვანწილად მიმართულია ისეთი წამყვანი სახელმწიფო ინსტიტუტების გასაახლებლად, როგორებიცაა საგზაო პოლიცია, უშიშროება, უმაღლესი განათლება, ასევე ნებისმიერი კერძო ინტერესებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ყოველი ეს რეფორმა ფართო საზოგადოებრივი თანხმობის ფონზე მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალ ადმინისტრაციას თავდაპირველად ლეგიტიმურობის მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა, მისი ხელისუფლებაში ყოფნის ერთი წლის მანძილზე ნათელი გახდა, რომ თავისი პოლიტიკური კაპიტალის დიდი ნაწილი დაკარგა, ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის შიგნით. **ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, რევოლუციის მიუხედავად, მთავრობის მოღვაწეობაში უკეთესობისკენ ცვლილება არ შეიმჩნევა. უფრო მეტიც, ზოგიერთ სფეროში მდგომარეობის გაუარესება შეინიშნება.** გარდა ამისა, ქართული პოლიტიკის არეალის გაზრდამ სამოქალაქო საზოგადოების სამივე შტოს - პოლიტიკური პარტიების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების - დასუსტება გამოიწვია იმით, რომ ისინი ახალი ადმინისტრაციის კეთილგანწყობის მოპოვებას ყველანაირად ცდილობენ.

ჯერ კიდევ ნაადრევია ამ მოვლენისთვის ტენდენციის დარქმევა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ის სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც საქართველოს პოლიტიკურმა სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და ყოფილი ჩინოვნიკების "გარდამავალი სამართლის" სახელით პასუხისგებაში მიცემა მოხდა. სწორედ ამ უკანასკნელმა ჩამოაყალიბა ახალი რეჟიმის პოლიტიკა.

"ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი პირველი "მსხვერპლი" აღმოჩნდა წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული პოლიტიკური პლურალიზმი. მართალია, ხმის მიცემის პროცედურასა და საარჩევნო კოდექსში შეტანილი უამრავი ცვლილება მომდევნო არჩევნებზე ადვილად შესამჩნევი იყო, ამავდროულად, ამ ცვლილებებმა პლურალიზმის ნაკლებობა და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვნად შემცირებული აქტივობა მოიტანა. თუმცა, 2004 წლის 4 იანვრის არჩევნების ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, ძალიან პასიურმა წინასაარჩევნო კამპანიებმა მას დაღი დაასვა. მართალია, ზოგიერთი პრობლემა ახალმა სარეგისტრაციო პროცედურამ და ამომრჩეველთა სრული რაოდენობის დადგენამაც წარმოშვა, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ სააკაშვილის მიერ მიღებული 96.3 პროცენტი რეალურად გამოხატავდა მოსახლეობის ნდობის მანდატს. ამას გარდა, პოლიტიკის "გაერთგვაროვნება" 28 მარტს ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმაც კიდევ ერთხელ დააფიქსირა (სადაც საკანონმდებლო ორგანოს წევრებს მხოლოდ პარტიული სიებით ირჩევდნენ).

ოპოზიციური პარტიების ნაწილმა ბოიკოტი გამოაცხადა ან პასიური კამპანიით შემოიფარგლა, იმ იმედით, რომ მცირე ეჭვის შეტანას მაინც მოახერხებდა ერთიანი ნაციონალური კოალიციის ჰეგემონობაში, რომელმაც ხმების 67.3 პროცენტი მიიღო. მხოლოდ ერთმა ოპოზიციურმა გაერთიანებამ, "მრეწველები-ახლები", გადალახა 7-პროცენტიანი ბარიერი. გარდა ამისა, იურიდიულად ყოვლად გაუმართლებელი იყო 2 ნოემბერს მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შენარჩუნება, მაშინ, როცა იგივე 2 ნოემბრის არჩევნების დროს ამომრჩეველთა არაზუსტი მონაცემებისა და ხმების გაყალბების ბრალდებით გამოდიხარ.

ასლან აბაშიძის განდევნის შემდეგ, ივნისში, აჭარაში გამართულ არჩევნებში კვლავ სააკაშვილის ადგილობრივმა პარტიამ, "ნაციონალური მოძრაობა-გამარჯვებული აჭარა", მოიპოვა ხმათა უმრავლესობა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში 30 ადგილიდან 28 დაიკავა.

ასევე "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" გამარჯვებით დაგვირგვინდა ოქტომბერში ოთხ მაჟორიტარულ ოლქში ჩატარებული არჩევნები, სადაც ამომრჩეველთა უაღრესად დაბალი (35 პროცენტი) აქტივობა აღინიშნა.

ამავდროულად, ის ოპოზიციური ძალები, რომლებმაც ნოემბერში ამომრჩეველთა საკმარისი მხარდაჭერა, როგორც ოფიციალური მონაცემებით, ასევე ეგზიტპოლების მეშვეობით მოიპოვეს, მაგრამ მხარი არ დაუჭირეს არჩევნების შემდგომ პროტესტს, მხოლოდ პარლამენტსგარეთა ოპოზიციის როლს უნდა დასჯერებოდნენ.

ახალი ხელისუფლების მიერ შემდგომში მიმართული აგრესიული მართვის სტილის გამო რევოლუციასა და დემოკრატიას შორის კავშირი მნიშვნელოვნად შეირყა. რევოლუციის წლისთავისთვის ქართულ პრესაში გამოჩნდა სტატიები, რომლებშიც შეშფოთება გამოითქვა საქართველოს ახალი ლიდერების მიერ განსხვავებულ აზრთან დაკავშირებით გაღიზიანებული ტონისა და შეუწყნარებლობის გამო.

2004 წლის ოქტომბერში პრეზიდენტ სააკაშვილს სამოქალაქო სექტორის ცნობილმა წარმომადგენლებმა ღია წერილით მიმართეს, რომელშიც გამსახურდიას პერიოდის მწვავე რიტორიკასთან იყო პარალელები გავლებული: **"მმართველი პარტიის ლიდერთა და მათ სამსახურში მყოფ ჩინოვნიკთა ლექსიკაში სულ უფრო მზარდ ადგილს იკავებს გასული საუკუნის 80-იან წლებში, ქართული დემოკრატიის გარიჟრაჟზე დამკვიდრებული და თითქმის უკვე მივიწყებული იარლიყები: "სახელმწიფოს მტერი," "მოღალატე," "მეხუთე კოლონა" და ა.შ."** დემოკრატიული იდეების ლეგიტიმიზაციის ხარჯზე გამარჯვებული საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა დღეს ძალიან შორსაა იმისგან, რომ ისეთი პოლიტიკური კულტურა დაამკვიდროს, სადაც განსხვავებული აზრი ღალატად არ არის შერაცხული.

ქართული პოლიტიკური არენის ნიველირებამ არასამთავრობო სექტორის შესაძლებლობებზეც იქონია გავლენა. რევოლუციის ერთ-ერთი შედეგი სამოქალაქო საზოგადოების "უთავოდ" დატოვება იყო, რომელიც მისი ყველაზე გამოცდილი ნაწილის მნიშვნელოვანი რაოდენობის სახელმწიფო სამსახურში გადანაცვლებით განხორციელდა. ზოგიერთი ცნობილი აქტივისტი ახალ ხელისუფლებაში წამყვან თანამდებობებზე იმყოფება (მათ შორის, სამ სამინისტროში - განათლებისა და მეცნიერების, კულტურის და სპორტის, იუსტიციის), ზოგი - დედაქალაქის მერიაში, ხოლო ზოგი კიდევ - პარლამენტში. ამ ფაქტორმა სამოქალაქო ჯგუფების შესაძლებლობების შეზღუდვა გამოიწვია, და მას ძალიან გაუჭირდა უმნიშვნელოვანეს პოსტრევოლუციურ პერიოდში პირუთვნელი დამცველის როლის შესრულება, სულ მცირე, სამი მიზეზის გამო:

პირველი, არასამთავრობოები ლიდერების ნაკლებობას მწვავედ განიცდიან (შესაძლოა, მათი ყოფილი ხელმძღვანელების მიერ უზარმაზარი გამოცდილების დაგროვების გამო, რომელიც ახლებისთვის მიუწვდომელია).

მეორე, ის ორგანიზაციები, რომელთა ლიდერებიც ახლა ხელისუფლებაში არიან, საკმაოდ გაუცნობიერებელ დიდ უხერხულობას გრძნობენ, რაც ხელს უშლით მათი ყოფილი კოლეგების კრიტიკაში.

მესამე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეული ზღვარი გაივლო იმ არასამთავრობოებს შორის, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციაში, და დანარჩენებს შორის. სამოქალაქო სექტორის ის წარმომადგენლები, რომლებიც ღიად არ უჭერდნენ მხარს "ვარდების რევოლუციას", ხშირად აცხადებენ, რომ სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებთან ურთიერთობებისას გარკვეული პრობლემები ექმნებათ.

შეშფოთების კიდევ ერთი მიზეზი ქართული მედიასივრცის "დეპოლიტიზებაში" მდგომარეობს. რასაც, ამავდროულად, უკავშირდება, რევოლუციის შემდეგ ორი ტელეარხის დახურვა ("იბერია" და "მეცხრე არხი"), ქვეყნის ყველაზე პოპულარული პოლიტიკური ტოკ-შოუს ("ღამის მზერა" და "ღამის კურიერი") ეთერიდან მოხსნა, აქამდე დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებების ნაწილის მხრიდან ახალი ხელისუფლების მიმართ დაფიქსირებული დამთმობი პოზიციის გაბატონება და თვითცენზურის ახალი მოდელის დამკვიდრება. პარალელურად, ძველი რეჟიმის პერიოდში გავრცელებული ტენდენციის შენარჩუნებაც მოხდა, გართულებული სიტუაციის პირობებში, კრიტიკულად მიჩნეული მედიასაშუალება ფინანსური საქმიანობის გამოძიების "მსხვერპლი" გამხდარიყო, რაც, თავის მხრივ, აშკარად პოლიტიკური გაფრთხილების ნიშანს ჰგავდა. ამ კონტექსტში, მედია-კომპანიების მფლობელები (რომლებიც, ჩვეულებრივ, სხვა ბიზნესსფეროებშიც მოღვაწეობენ), ვერანაირად იქნებიან მოწოდებულნი, ნეგატიური მოვლენები დაუფარავად კრიტიკულად გააშუქონ.

გარდა ამისა, ის საინფორმაციო საშუალებები, რომლებიც "ვარდების რევოლუციას" ღიად უჭერდნენ მხარს, ახლა განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობენ სამთავრობო წრეების წარმომადგენლებისგან მნიშვნელოვან მოვლენებზე ექსკლუზიური ინტერვიუებისა თუ კომენტარების აღებისას.

მიანიშნებს თუ არა ეს ფაქტორები საქართველოში გრძელვადიან პერსპექტივაში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე, ჯერჯერობით ნათელი არ არის. აი, ის კი უდავოა, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებელი მედია ღიად ჩაერთო პოლიტიკურ პროცესებში, მას ხელახლა უხდება როგორც ხელისუფლებისგან ავტონომიურობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა, ასევე საზოგადოების თვალში ნდობის დამსახურება.

ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველმყოფი ინსტიტუტების დასუსტების მიზეზების გასაგებად აუცილებელია, განვიხილოთ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ სათავეში მოსვლისთანავე გატარებული რეფორმები. პირველ რიგში, კონსტიტუციური ცვლილებები - ერთგვარი აღმასრულებელი ორხელისუფლებიანობა, პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის აღდგენითა და პრეზიდენტისთვის პარლამენტსა და მთავრობას შორის უთანხმოებისას მედიატორის როლის მინიჭებით (პარლამენტის დაშლის უფლების ჩათვლით). მაშინ, როცა კეთდებოდა განცხადებები, რომ ეს ნაბიჯი საპრეზიდენტო მმართველობის სისტემიდან ნახევრად საპრეზიდენტო მოდელზე გადასვლის მცდელობა იყო, ახალმა მოდელმა პრეზიდენტს საშუალება მისცა, დანიშნოს მთავრობა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პარლამენტი არ ეთანხმება ამას, და შეინარჩუნოს ასეთი მთავრობა პარლამენტის მხრიდან უნდობლობის გამოცხადების დროსაც.

საქართველოს კონსტიტუციური მოწყობის ეს მნიშვნელოვანი ცვლილება თითქმის ერთ დღეში, რაიმეგვარი საჯარო განხილვის გარეშე განხორციელდა, თანაც, 2 ნოემბრის არჩევნების პარტიული შედეგების გაუქმების შემდეგ (ფაქტობრივად, ვადაგასული) 1999-2003 წლის პარლამენტის მიერ. წინააღმდეგობა აშკარაა: მაშინ, როცა "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" მიერ სხვა წინასაარჩევნოდ დაპირებული რეფორმების განხორციელება (მაგალითად, არჩეული ადგილობრივი მმართველები), რატომღაც, გვიანდება, ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები კონსტიტუციაში უსწრაფესად, მასზე დებატების თითქმის არარსებობის პირობებში ხორციელდება. ყოველივე ეს ახალი ხელისუფლების წრფელ განზრახვებში გარკვეულ ეჭვებს აჩენს.

დაბოლოს, "ვარდების რევოლუციის" დროს ლეიტმოტივად გამოყენებული "გარდამავალი სამართლიანობის" დამკვიდრება, იმ პირთა დასჯისა და ქონების ჩამორთმევის გზით, ვისაც ქვეყნის "გაღარიბებაში" ედებოდა ბრალი, ახალი ხელისუფლების მმართველობის პირველი წლის ცენტრალური ასპექტი იყო. "ვარდების რევოლუციის" შემდგომ თვეებში საქართველოს ტელევიზიების ეთერში ყოფილი ჩინოვნიკების დაკავების ამსახველ კადრებს პირველი ადგილი ეკავა; სამოქალაქო საზოგადოების გასახარად, ევანგელიკურ ჯგუფებზე თავდასხმებში ბრალდებული განკვეთილი მღდელი ბასილ მკალავიშვილიც დაიჭირეს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ საზოგადოება კმაყოფილებით შეხვდა ზოგადად ასეთ კამპანიას, თუმცა, მალევე გახდა აშკარა, რომ მას არც სამართლებრივი ხასიათი და, სავარაუდოდ, არც აღმასრულებელი ხელისუფლების სრული კონტროლი ახასიათებდა. მეთოდები კი, სამოქალაქო საზოგადოებისა და უფლებათადამცველთა მხრიდან, მძაფრი კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოექცა. კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის შემთხვევამ - სისასტიკისა და დარღვევების გამო სამართალდამცავ ორგანოთა მხრიდან. "ვარდების რევოლუციის" წლისთავის წინა თვეებში უფლებათადამცავმა ორგანიზაციებმა წინასწარი დაკავების საკნებში ფიზიკური ზეწოლის ასობით შემთხვევა დააფიქსირეს.

არასამთავრობოები ასევე აქტიურად საუბრობდნენ ეჭვმიტანილებისთვის იარაღისა და ნარკოტიკების "ჩაგდების" გავრცელებულ ტენდენციაზე, ასევე ეჭვებს აღძრავდა დაკავებულთა მხრიდან თავისუფლების სანაცვლოდ გადახდილი თანხების პროცესის გასაიდუმლოება.

გარდა ამისა, კრიტიკას საყოველთაო დაჭერების კამპანიის ერთგვარი მიკერძოებული ხასიათიც იწვევდა - როგორც პიროვნებების თვალსაზრისით, ასევე დანაშაულთა მიმართ. არც ერთი ყოფილი მოხელე არ მიუციათ პასუხისგებაში წინა ხელისუფლების დროს ადამიანის უფლებათა დარღვევისთვის. ამავდროულად, ამ კამპანიის არა საყოველთაო, არამედ მიკერძოებულ ხასიათზე მიანიშნებს წინა ხელისუფლების ზოგიერთი "ხელშეუხებელი" მაღალი თანამდებობის პირის არსებობა.

პოსტრევოლუციურ საქართველოში მმართველობაში მყოფთა დემოკრატიისადმი დამოკიდებულებაშიც შეინიშნება ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის დროს ეს დამოკიდებულება მხოლოდ ინსტრუმენტულ ხასიათს ატარებდა (დემოკრატია მხოლოდ ფასადი იყო, ხოლო ამ ფასადის მიღმა არანაირი დემოკრატიული მმართველები არ არსებობდნენ), ძველი რეჟიმისთვის დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი ფრთხილი მიდგომები იყო დამახასიათებელი. სააკაშვილის მმართველობის დროს სრულიად საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე - ხელისუფლებაში ისეთი კადრები არიან, ვინც 1990-იან წლებში კარიერა სწორედ დემოკრატიული ლოზუნგების ძახილით გაიკეთეს, და ვისაც სამოქალაქო აქტივობის უზარმაზარი გამოცდილება აქვთ. ეს მომენტი მათ "დემოკრატიულობას" უსვამს ხაზს. თუმცა, პოსტრევოლუციური საქართველოს პარადოქსი ის არის, რომ ქვეყანა, შესაძლოა დროებით, მაგრამ შესამჩნევად, გადაიქცა ისეთად, როგორსაც შეიძლება "დემოკრატები დემოკრატიის გარეშე" ვუწოდოთ, და დღემდე რეჟიმის დამოკიდებულებას დემოკრატიის ისეთი ძირითადი ფუნდამენტებისადმი, როგორიც პლურალიზმი და კანონის უზენაესობაა, ერთგვარი არასერიოზული ხასიათი მიეცა.

ასე რომ, აშკარაა შეუსაბამობა - "რევოლუციას" ხომ იმით ამართლებდნენ, რომ რადიკალური დემოკრატიული ცვლილებებისთვის იგი აუცილებელი ინსტრუმენტი იყო; ამგვარად გატარებული პოლიტიკა კი, რასაკვირველია, ვერ იქნება მისაღები.

### დასკვნები

"ვარდების რევოლუციამ" საქართველოს დემოკრატიზაცის პროცესის, როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები გამოაჩინა. ერთი მხრივ, მან ნათლად დაგვანახა, რომ საქართველოში მეტად ძლიერია საზოგადოების მოთხოვნა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაზე და ხაზი გაუსვა ქართული საზოგადოების მძლავრ დემოკრატიულ მისწრაფებებს; ამავდროულად, მან უჩვენა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში "კლიენტელისტური" დამოკიდებულების შენარჩუნების გამო ამ მოთხოვნებს, ჯერჯერობით, ახდენა არ უწერია.

გარდამავალი საქართველოს მთავარი დილემა ის გახლავთ, რომ ვერ ხდება სახელმწიფო პოლიტიკისთვის მასობრივი ლეგიტიმურობის ხარისხის მინიჭება ისე, რომ საზოგადოების მიერ პოლიტიკაში ჩართვის სურვილსა და სახელმწიფოს მხრიდან ამ სურვილის დემოკრატიული გზით ორგანიზებისა და მიმართულების მიცემას შორის ბალანსი დამყარდეს. და როდესაც ეს პროცესი სახელმწიფოს მიერ ავტონომიურობის შეზღუდვის ჭრილშია დანახული, ჩვენ დავიწყებთ საქართველოს მშფოთვარე ისტორიაში წვდომას და მივხვდებით, თუ რატომ არის ქართული დემოკრატია ჯერ კიდევ ტრანსფორმირების პროცესში. კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რათა იგი მნიშვნელოვან ძალად გადაიქცეს, რომელსაც ავტორიტეტული ინსტიტუტების შექმნა და შენარჩუნება ან ლეგიტიმიზმის ამაღლება შეეძლება.

დემოკრატიის პროცესის მთავარი პრობლემა ამ ეტაპზე "რევოლუციური" საბურველის ჩამოშორება და "ნორმალური ცხოვრების" ვითარების აღდგენაში მდგომარეობს. იმედია, დემოკრატიული ინსტიტუტების დასუსტება, რომელთაც სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა შეუძლია, მხოლოდ დროებითია და ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის რყევის დასრულებისა და ერთიანობისკენ რევოლუციური სულისკვეთების ჩაცხრომისთანავე დამთავრდება.

"ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებამ პოლიტიკური პლურალიზმისა და ოპოზიციისთვის ადგილი უნდა დატოვოს. ეს ის ადგილია, რომლის დაცვის გარანტადაც იგი სათავეში მოსვლამდე გამოდიოდა, და ამასთანავე უნდა აღიაროს სხვა პოლიტიკური ძალების არსებობის უფლება სახელმწიფოს მართვაში, რაც ამჟამინდელი მონოპოლიის პირობებში გამორიცხულია.

სამოქალაქო საზოგადოებისთვის პირველი რიგის ამოცანა სახელმწიფოს დამაბალანსებელი ძალის როლის დაბრუნებაა. არასამთავრობო სექტორმა ამისთვის მმართველი რეჟიმისგან დისტანცირება უნდა მოახდინოს - მას შემდეგ, რაც მისმა ცნობილმა სახეებმა მთავრობაში მნიშვნელოვანი პოზიციები დაიკავეს.

თანაბრად მნიშვნელოვანია ეფექტიანი პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაცია. კონსოლიდირებული დემოკრატიისთვის ენერგიული არასამთავრობო სექტორი, შესაძლოა, პირველხარისხოვანი იყოს, მაგრამ იგი არასაკმარისი ფაქტორია სოციალურად დაპირისპირებული პოლიტიკური პლატფორმების არსებობის პირობებში. ეს დეფიციტი დაჩრდილულია საქართველოში ეკონომიკური ზრდისა და, შესაბამისად, ისეთი დიფერენციაციის არარსებობით, რომელიც გამოხატულ სოციალურ დაყოფამდე, როგორც პოლიტიკური დაპირისპირების ბაზამდე, მიგვიყვანდა.

დაბოლოს, **"ვარდების რევოლუციის" სასწრაფო ლეგიტიმიზაცია საარჩევნო პროცესის საშუალებით, ვერ დაჩრდილავს იმ ფაქტს, რომ საქართველოს ჯერჯერობით არ გაუვლია ძალაუფლების არჩევნების გზით გადაცემის უმნიშვნელოვანესი ტესტი.** უკეთეს შემთხვევაში, იანვრისა და მარტის არჩევნები არაკონსტიტუციური გზით მოსულთა ქმედებების ლეგიტიმიზაცია იყო.

**უფრო სამწუხარო ისაა, რომ საქართველოს ახალი ლიდერების მიერ რევოლუციური სიმბოლოებისა და რიტორიკის უწესრიგო გამოყენებამ, თავად რევოლუციას ბანალური ელფერი შესძინა.** მართალია, წინა რეჟიმის გადაგდებას არაძალადობრივი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ რევოლუციის შედეგად ძალაუფლებაში თუნდაც დემოკრატიული ძალის მოსვლა ძირს უთხრის დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ცნებებს, რომელთა სახელითაც ვარდების რევოლუცია განხორციელდა. მართალია, რევოლუცია გამოჩნდა, როგორც სტაბილურობის საბურველის ალტერ ეგო, მისი განმეორება საქართველოს პოსტსაბჭოურ ტრაექტორიაში ამსხვრევს კონსტიტუციურობის ისედაც სუსტ საფუძველს - "თამაშის წესებისათვის" საქართველოსთვის ამ გარდამავალ პერიოდში.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

2004 წლის 23 ნოემბერი, ერთი წელი რევოლუციის შემდეგ.

# მოსაზრებები ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაწყვეტის თაობაზე

B1 გვერდიდან

აფხაზეთი ზოგჯერ საქართველოს იდენტური ცნება იყო, შუა საუკუნეების ქართული დამწერლობა და ლიტერატურა კი ისევე იყო ჩვენი, როგორც მათი. ამის დავიწყება დავითის და თამარის დავიწყებას ნიშნავს და ეს ქართველს არ შეუძლია. სხვათა შორის, ეს ორი სახელი ვერც თანამედროვე აფხაზისათვის იქნება ემოციურ მუხტს მოკლებული - აფხაზთა გადმოცემებში ოქროს ხანასთან ასოცირებული ეს ორი მეფე მათი მეფეების, "აპსხების" პროტოტიპებადაა გამოყვანილი.

შედეგად, ისტორიული აფხაზი თანამედროვე, კოლექტიური ქართველის წინაპარიც ხდება; ისტორიული აფხაზეთი კი - მისი სამშობლოც. აქაა ჩვენი, ქართველებისა და აფხაზების იდენტობისა და ისტორიული სივრცის საზიაროობის გასაღები. მაგრამ ჩვენი თანამედროვე იდენტობის ამ ფესვებს, ხატებს არ უნდა მივყავდეთ დასკვნამდე, რომ თანამედროვე აფხაზები სცდებიან, როდესაც დამოუკიდებლობას ითხოვენ. ეს მათი ნებაა. დასკვნა ერთია მხოლოდ, ჩვენთვის აფხაზეთი და აფხაზებიც მეტია, ვიდრე გაგრის სანაპიროს მომხიბლავობა.

ვფიქრობ, ჩვენ თუ გავიგებთ აფხაზური ნაციონალური იდეის გულწრფელობას, იგივე შედეგს უნდა ველოდეთ ჩვენი იდეის მიმართ. რა თქმა უნდა, სასწაული უცებ არ მოხდება. ქართველთა თვითიდენტიფიკაციის თავისებურების გაგება მათ არ აღებინებს ხელს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვისაგან. მაგრამ თუ აფხაზებში ქართველთაგან მომდინარე საფრთხის განცდა შესუსტდა, სავსებით რეალური მგონია ქართულ-აფხაზური დიალოგის დაწყება ახალი ერთობის თაობაზე.

### ომი იყო შეცდომა

იმისათვის, რათა აფხაზის ცნობიერებაში ქართველი მტრის ხატი დავამსხვრიოთ, ჩვენ ცალსახად უნდა დავგმოთ 1992 წლის აგვისტოში აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ დაწყებული სამხედრო ოპერაცია. ეს იყო დანაშაულზე მეტი - ეს იყო შეცდომა. არანაირი კრიმინოგენული ვითარებით თუ პროვოკაციებით არ შეიძლება გამართლდეს ქართული ტანკების შესვლა სოხუმში. ჩვენ რომ მაშინვე დავფიქრებულიყავით ამ კონფლიქტის ეთნიკურ და ისტორიულ საფუძვლებზე, ეგებ არ ავყოლოდით ამბიციებს, ორად გაყოფილი ქართული საზოგადოების აფხაზური მტრის ხატით გამთლიანების ილუზიას თუ რუსი გენერლების პროვოკაციას. მაშინ არც აფხაზეთის ქართველობა გახდებოდა იძულებული - ან იარაღი აეღო და ან "ქართული საქმის" მოღალატის იარლიყი დაემსახურებინა. ვერავინ იტყვის, რომ აფხაზური მხრიდან არ იყო იგივე შეუვალობის, მოვლენებისადმი ცალმხრივი დამოკიდებულების მაგალითები. მაგრამ ჩვენ ახლა ჩვენს შეცდომებზე გვჭირდება პასუხის გაცემა, რათა მოახლოვდეს ურთიერთმიტევებისა და დაახლოების დრო.

მას შემდეგ, რაც ძალადობის ესკალაცია მოხდა და ათასობით ადამიანი ე.წ. ომის ეკოლოგიის გარემოში აღმოჩნდა, მხარეები ბუნებრივად ფოკუსირდნენ საკუთარ სიმართლეზე და ურთიერთდემონიზაციაზე. გარკვეული დროით მაინც, დიალოგი ერთობლივ წარსულსა და მომავალზე წარმოუდგენელი გახდა. მხარეებს შორის უერთიერთმიმართების ერთი განცდა ტრიალებდა - შურისძიება. ასეთ ფონზე კი თუ ვინმე რაიმე სარგებელს ნახულობდა, ეს კრიმინალური სამყარო და რუსეთის რევანშისტული წრეები იყო.

შეიძლება დავა იმაზე, თუ რა მოხდებოდა, რომ არა 1992 წლის აგვისტო. მოვახერხებდით თუ არა ქართველები და აფხაზები საერთო ენის გამონახვას, თუ ომის ქარცეცხლი თავად სოხუმში დაინთებოდა, ადგილობრივი უზენაესი საბჭოს აფხაზურ და ქართულ ფრაქციათა მიერ. მაგრამ არც ამგვარი წიაღსვლებია არსებითი მომავლისათვის, თუ ამ მომავალში მთავარი კონფლიქტის დარეგულირებაა. ერთი კია, ჩვენი პასუხისმგებლობები აფხაზურ პარლამენტსა თუ სოხუმის უნივერსიტეტში განვითარებულ წინასაომარ მოვლენებშიც უნდა გამოვავლინოთ. იმ დროს ქართული მხარის ლეგიტიმურ მოთხოვნებში შერეული იყო ეგოიზმიც, მოსმენის უუნარობაც და, ეგებ, მერკანტილური ინტერესიც.

მაგრამ ეს სხვა თემაა. ნდობის მშენებლობისათვის უპირველესი ისაა, რომ ითქვას: შევარდნაძის ხელისუფლება არა მხოლოდ ქართული, არამედ აფხაზური საზოგადოების წინაშეცაა პასუხისმგებელი დაღვრილი სისხლისათვის.

### ძალის გამოყენებაზე საუბარიც შეცდომაა

თუ კი გულწრფელი ვიქნებით აფხაზთა თანამოქალაქეებად აღიარებაში და გავიაზრებთ, რომ ეს ეთნოსი ერთიანია თავის რწმენასა და არჩევანში, მაშინ მათთან მუქარით საუბარი არა მხოლოდ პრაგმატულადაა კონტრპროდუქტიული, არამედ არაეთიკურიცაა. ეს არ ნიშნავს, რომ ხდება აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე თანხმობა. ეს არც იმას ნიშნავს, რომ თუ აფხაზეთში მასობრივ რეპრესიებს ექნება ადგილი, ჩვენ, დანარჩენი საქართველო კი დემოკრატიის კონსოლიდაციას მივაღწევთ, მოვლენებს პასიურად უნდა შევყურებდეთ. ნათქვამი გულისხმობს ორ რამეს: ჯერ ერთი, სამხედრო მშენებლობა საქართველოში თავად მეტყველებს თავის თავზე და სულაც არაა საჭირო ხაზგასმა, რომ ქვეყანას საკუთარი ინტერესების დაცვის საშუალებები გააჩნია. ამასთან, შერიგებაზე ზრუნვას არასოდეს არ უწყობს ხელს მუდმივად ძახილი, რომ არსებობს გაერთიანების არამშვიდობიანი, ალტერნატიული მეთოდიც. და მეორე: შეიძლება ფიქრი ექსტრემალურ პირობებში საკუთარი მოქალაქეების კანონიერ უფლებათა დაცვის ლეგიტიმურ გზებზე, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს უფლება, ძალით დავამხოთ აფხაზთა მიერ არჩეული და მხარდაჭერილი ლიდერი. შერიგების, გაერთიანების ერთადერთი გზა ამ ლიდერთან მოლაპარაკებაა. თუ ეს არ გამოდის, მაშინ თავად აფხაზთა საზოგადოებასთან დიალოგზე, მისი ლიდერის ამ გზით გადარწმუნებაზე ან ახალ ლიდერთა ძიებაზე უნდა ვიზრუნოთ.

> **ჩვენ აღმოვჩნდით მხოლოდ ჩვენი სიმართლის ტყვეობაში, არ დავფიქრდით აფხაზურ სიმართლეზე. შედეგად, გამოირიცხა დიალოგის შანსი. მხარეებმა ძალაზე აიღეს აქცენტი და ესაა მთავარი მიზეზი იმისა, რაც მოხდა.**

თუ გვწამს, რომ რუსეთს აფხაზეთში არა მშვიდობისმყოფელობა, არამედ საკუთარი გეოპოლიტიკური ხილვებისა და ამბიციების დაკმაყოფილება სურს, მაშინ უნდა გვესმოდეს, რომ აფხაზებთან მუქარით საუბარი სწორედ ჩრდილოელი მეზობლის წისქვილზე ასხამს წყალს.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განაცხადოს, რომ ქვეყნის სამხედრო თუ პოლიციური ძალები აფხაზეთთან მიმართებაში მხოლოდ ერთი მისიით შეიძლება იყვნენ აღჭურვილნი: ისინი შეეცდებიან აღკვეთონ მასობრივი რეპრესიები, თუ ასეთს, როდესმე ექნება ადგილი. რაც შეეხება ათეულ ათასობით იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისა და სტატუსის საკითხს, ეს საკითხი მხოლოდ მოლაპარაკების გზით უნდა გადაწყდეს.

ჩვენ გვიყვარს თქმა, რომ თუ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, ძალის გამოყენება გარდაუვალი იქნება. მაგრამ რას ნიშნავს მოლაპარაკებათა ჩიხში შესვლა? თუ ამაში იგულისხმება აფხაზური მხარის უპირობო უარი ნებისმიერ მოლაპარაკებებზე, სრული იგნორირება ქართველი თუ არაქართველი დევნილების ძირეული მოთხოვნილებებისა, მაშინ კიდევ გასაგებია ლაპარაკი ჰუმანიტარული ჩარევის აუცილებლობაზე. მაგრამ რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, აფხაზური მხარე მოლაპარაკებების მომხრეა. იგი აცნობიერებს, რომ დევნილთა ინტერესები ასევეა გასათვალისწინებელი. მას მხოლოდ მიზანი, ისევე როგორც დევნილი მოსახლეობის ინტერესთა გათვალისწინების ფორმები აქვს ჩვენგან განსხვავებული. სანამ ეს ასეა, ვისაუბროთ მხოლოდ კონფლიქტის გადაწყვეტის მშვიდობიან ფორმებზე და მათ უალტერნატივობაზე. მჯერა, რომ სხვა, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებთან კომპლექსში, ომით დაზარალებულთა ჰუმანიტარული, ქონებრივი თუ მორალური რეაბილიტაციის საკითხის გადაწყვეტაც შესაძლებელია.

> **თუ გვინდა, მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდეს და უარესი ტრაგედიების წინაშე არ აღმოვჩნდეთ, გამოსავალი ქართულ-აფხაზური ფედერალიზმია. აფხაზებმა ამის უფლება მთელი თავისი ეთნიკური ისტორიით დაამტკიცეს და თუ სხვა რამ მათთვის მიუღებელია, უნდა დავყაბულდეთ. ეს სულაც არ ნიშნავს ამ მოდელის განვრცობას მთელ საქართველოზე. ეს უნიკალური, ქართულ-აფხაზური კონფლიქტიდან ოპტიმალური გამოსავალია მხოლოდ. აფხაზს არ გააჩნია სხვა სამშობლო. მისი და ჩვენი სამშობლო ერთია.**

თუ არა და ჩვენ გავაგრძელებთ ერთმანეთის ცქერას თოფის სამიზნედან. ასეთ შემთხვევაში კი, ნდობის მშენებლობა, რაც კონფლიქტის გადაწყვეტის საწინდარია, არ მოხდება.

### კონკრეტული პოლიტიკური და სტრუქტურული ნაბიჯები გარდამავალი პერიოდისათვის

ზემოთ აღწერილი შეფასებითი, კონცეფტუალური თუ მორალური ნაბიჯების თანამდევი უნდა იყოს კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტამდე თანაცხოვრებისა და ურთიერთობების მოწესრიგებისათვის გამიზნული წინადადებები. თუ ისინი განხორციელდა, რასაც, თავისთავად, ნდობის მშენებლობის ზემოთ აღწერილი ნაბიჯების გადადგმა სჭირდება, მაშინ შესაძლებელი გახდება სრულმასშტაბიანი დარეგულირების მოდელისა თუ მოდელების განხილვაც. ანუ ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმ გარდამავალ სტრუქტურებსა და წესებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე.

ამ, გარდამავალ სტრუქტურათა და წესთა კიდევ ერთი მიზანი უნდა იყოს კონფლიქტის მონაწილეებზე, მათ ნებელობაზე უცხო ქვეყნის სუბიექტური, თვითმიზნური გავლენის შესუსტება. თუ ჩვენ შევთანხმდებით დღეს, კონფლიქტის არსებობის პირობებში, თანამშრომლობის ორმხრივ ფორმატზე, ძნელი იქნება არაკეთილმოსურნეთათვის თანამშრომლობის გაღრმავების ხელის შეშლა.

1. ჩვენ უნდა შევთავაზოთ აფხაზებს რუსული პასპორტების ალტერნატივა. პასპორტი მათთვის არა მხოლოდ რუსეთში მუშაობის საშუალებაა, არამედ დანარჩენ სამყაროსთან კავშირის გარდაუვალი პირობაც. ქართული პასპორტის აღება დღეს რიგითი აფხაზისათვის ღალატის ტოლფასია. გამოსავალი სპეციალური საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც დროებით შეცვლის ეროვნულ პასპორტს და საშუალებას მისცემს აფხაზებს, უკეთ გაეცნონ მსოფლიოს, დააფასონ საერთაშორისო ცივილიზაციის მიღწევები, პირველწყაროდან გაიგონ ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივების შესახებ და დაინახონ რუსეთის, როგორც "მფარველის" ალტერნატივა. თავისთავად, ესაა ერთერთი გზა იმის გაგებისაკენ, რომ ქართულ-აფხაზური ინტეგრაცია ორმხრივად სასარგებლო შეიძლება იყოს, რადგან იგი ევროპასთან დაახლოების ხიდია. ევროპასთან დაახლოება კი საუკეთესო გარანტიაა იმისა, რომ ქართველები არ გამოვიყენებთ მომავალში ჩვენს შედარებით სიმრავლეს აფხაზური იდენტობის აღმოსაფხვრელად.

ამგვარი, საერთაშორისო სამგზავრო დოკუმენტების შექმნა და დარიგება მოითხოვს თანხმობას შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. მაგრამ თუ კონფლიქტური მხარეების თანხმობა იქნა მიღწეული, დანარჩენი ტექნიკური საკითხია.

2. ჩვენ უნდა შევთავაზოთ აფხაზებს სრულფასოვანი ეკონომიკური თანამშრომლობა. ეს გულისხმობს ვაჭრობას, კომუნიკაციების აღდგენას, საბანკო ურთიერთობებს და ა.შ. ამაზე საუბარი უკვე მიმდინარეობს ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან. მაგრამ აქ მთავარი ის კი არაა, თუ რა კონკრეტულ მატერიალურ სარგებელს შესთავაზებს საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის მოსახლეობას ამა თუ იმ ეკონომიკური პროექტიდან. არსებითი ამ პროექტების ლეგალური სტატუსის და მენეჯმენტის საკითხებია. სხვაგვარად, ეკონომიკური პრივილეგიების შეთავაზება აფხაზთა მხრიდან აღიქმება, როგორც საკუთარი პოზიციის გაყიდვის წინადადება და შედეგს არ გამოიღებს.

გასაგები მიზეზების გამო ჩვენ არ შეგვიძლია აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება და შესაბამისად, ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობები ვერ დაემსგავსება სახელმწიფოთაშორის კავშირს. სანამ სტატუსის შესახებ მოლაპარაკება მკვდარი წერტილიდან დაიძრებოდეს, ჩვენ უნდა ვიფიქროთ გარდამავალ, შერეულ ქართულ-აფხაზურ მენეჯერულ და გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებზე. ეს შეიძლება იყოს სპეციალიზებული ქართულ-აფხაზური საბჭო, რომელსაც ექნება გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების დისკრეციული უფლება იმ საკითხებზე, რომლებიც თანაბრად ეხება ქართველთა და აფხაზთა ეკონომიკურ კეთილდღეობას.

3. ყველაზე ხელშესახები და მტკივნეული საკითხი დევნილი მოსახლეობის უფლებებს შეეხება. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ამ საკითხის მაქსიმალური დეპოლიტიზაცია. კერძოდ, დევნილთა ქონებრივი და უფლებრივი რეაბილიტაცია არ უნდა იქნას აღქმული პოლიტიკური მოტივით აფხაზეთში დემოგრაფიული ბალანსის შეცვლის საშუალებად. ჩვენ არ უნდა განვაცხადოთ, რომ ეკონომიკური თანამშრომლობა არც ერთი მიმართულებით არ განხორციელდება, სანამ დევნილები არ დაბრუნდებიან ომამდელ საცხოვრებელ ადგილებზე. ასეთი განცხადებები მრავლად ყოფილა და შედეგი არ ჰქონია. ვფიქრობ, რომ თუ ნდობის ყინულმა გალღობა დაიწყო, რასაც, სხვათა შორის, ეკონომიკური თანამშრომლობის ლეგალიზაციაც შეუწყობდა ხელს, დევნილთა უფლებრივი რეაბილიტაცია გაცილებით მეტ რეალურ კონტურს შეიძენდა. მაგრამ, ამავე დროს, თავიდანვე უნდა მოვთხოვოთ მეორე მხარეს საერთაშორისო სამართლის ნორმების პატივისცემა და, შესაბამისად, იმის აღიარება, რომ აფხაზური დე-ფაქტო ხელისუფლება პატივს სცემს დევნილთა სასიცოცხლო ინტერესებსა და იღებს თავის წილ პასუხისმგებლობას მათ განხორციელებაზე.

დევნილთა საკითხი სამართლებრივი და ჰუმანიტარული საკითხების წყებას უნდა მიეკუთვნოს და მის გადასაწყვეტად აგრეთვე შეიქმნას პარიტეტული ორგანო. აქ საუბარი არაა მხოლოდ კომისიაზე, რომელსაც გადაწყვეტილებათა განხორციელების მექანიზმები არ ექნება. ერთი მხრივ, საჭიროა კომისიური ტიპის მუშაობა, რომელიც დევნილთა საკითხის გადაწყვეტის სამართლებრივ პარამეტრებს დაადგენს. მეორე მხრივ კი, უნდა არსებობდეს გადაწყვეტილებათა იმპლემენტაციის მექანიზმი, სპეციალური ორგანო. ამ ორგანოს, შესაძლოა, შერეული, ქართულ-აფხაზური სააგენტოს სტატუსი ჰქონდეს, შესაბამისი დაფინანსებითა და აღსრულების ბერკეტებით. გამორიცხული არაა, რომ მას ძალოვანი ქვედანაყოფიც გააჩნდეს.

ერთი არსებითი პრობლემა, როდესაც დევნილთა ინტერესების დაცვაზეა საუბარი, მათი სამომავლო სტატუსია და, ამასთან, მათი უსაფრთხოების საკითხი. უსაფრთხოების პრობლემა სწრაფად და სრულად ვერ გადაწყდება. თუმცა, თუ ზემოთ ნახსენებ ერთობლივ სააგენტოზე შევთანხმდებით, უსაფრთხოების საკითხში პროგრესიც უფრო სწრაფი შეიძლება გამოდგეს. რაც შეეხება სტატუსს, როგორც ცნობილია, აფხაზური მხარე დაბრუნებულთა მხრიდან სოხუმის ხელისუფლებისადმი ლოიალურობის აღიარებას და აფხაზეთის მოქალაქეობაზე თანხმობას მოითხოვს. დღემდე ეს პირობა მიუღებელი იყო ქართული ხელისუფლებისათვისაც და დევნილთა უმეტესობისთვისაც. აქაც საჭიროა კომპრომისი: სანამ მხარეები კონფლიქტის საბოლოო დარეგულირებამდე მისულან, შესაძლებელია ვიფიქროთ შემდეგ მოთხოვნებზე: ა) იმ დევნილთათვის, ვინც აფხაზურ მოქალაქეობაზე უარს არ ამბობს, გარანტირებული უნდა იყოს საკუთარი იდენტობის განხორციელების უფლება. ეს, საწყის ეტაპზე, უნდა გულისხმობდეს სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების გარანტირებას, კერძოდ აფხაზეთში ქართულად განათლების მიღების და ეროვნული სათვისტომოს შექმნის შესაძლებლობას, ამასთან, საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების უფლებას. თანდათანობით, აფხაზურმა მხარემ უნდა უზრუნველყოს სამართალაღსრულება ქართულ ენაზეც და სწორედ ეს უნდა იყოს ქართული მხარის პრინციპული მოთხოვნა. ბ) მათთვის, ვისაც არ სურს აფხაზეთის მოქალაქეობის მიღება და პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტას ელოდება, ასევე უნდა იყოს შესაძლებელი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება. ბუნებრივია, რომ ასეთი ადამიანი მოვალე იქნება, დაემორჩილოს აფხაზეთში ფაქტობრივად მოქმედ კანონებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს აფხაზური კონსტიტუციისადმი ერთგულების ფიცს ან რაიმე მაგდაგვარს. ასეთი ადამიანის ლეგალური სტატუსი მოქალაქეობის არმქონე მოსახლის სტატუსს უნდა უკავშირდებოდეს. იგი ასევე უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა ძირითადი სამოქალაქო უფლებით. განსხვავება მხოლოდ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის მიღების შეუძლებლობაა.

მაგრამ ეს ყოველივე, ალბათ, გაიჭიმება და ამ თუ სხვა ფორმით, ნდობის მშენებლობაში გარკვეული პროგრესის მიღწევის შემდეგ თუ განხორციელდება. დღეისათვის უფრო მნიშვნელოვანია გალის რაიონში მცხოვრები ადამიანების სტატუსსა და უსაფრთხოებაზე თანამშრომლობის წინადადებების შემუშავება. ჩვენ უნდა ვისაუბროთ შერეული ადმინისტრაციისა და შერეული სამართალდაცვის მოდელებზე. კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტამდე გალში როგორც ქართულ, ისე სოხუმის აბსოლუტურ სუვერენიტეტზე არ უნდა იყოს საუბარი. აქ უნდა არსებობდეს გარდამავალი ორმხრივი ან საერთაშორისო განზომილების მქონე ადმინისტრაცია და განიარაღებული ზონა. შესაძლოა, დროებით ზომად წარმოვიდგინოთ შემდეგი: გალში არის სოხუმიდან დანიშნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. პარალელურად, ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეთანხმებით და არა აფხაზური კონსტიტუციით, ფუნქციონირებს ადგილობრივი წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც რეალურ თვითმმართველობას განახორციელებს.

4. კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი, ომისდროინდელი დანაშაულების გამოძიება და დამნაშავეთა პასუხისმგებლობაა. ამ საკითხს მუდმივად აყენებდნენ აფხაზები. ამასთან, ქართულ მხარესაც უამრავი მაგალითი აქვს აფხაზური მხრიდან სამხედრო დანაშაულების ჩადენისა. საჭიროა სპეციალური, საერთაშორისო კომისიის შექმნა, რომელიც ყოველ ცალკეულ საკითხს შეისწავლის. იგი გაითვალისწინებს როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, ისე ეთნიკური, არსებითად სამოქალაქო ომის საშინელ ეკოლოგიას, რომელიც ბევრ ადამიანს აკარგვინებდა ადამიანურ სახეს. ყველა დამნაშავის პატიებას ვერავინ მოითხოვს, განსაკუთრებით მსხვერპლთა ახლობლებისაგან. მაგრამ ეს კომისია უფრო სიმართლის დამდგენი და გამახმაურებელი უნდა იყოს, ვიდრე დამსჯელი ორგანო. მხარეები უნდა შეთანხმდნენ, რომ მკაცრი სასჯელი დადგინდეს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ შეგნებულად, საღი გონებით ჩადენილი დანაშაულისათვის, როდესაც გამოირიცხება აფექტის მდგომარეობა ან საომარი მოქმედებით გამოწვეული შემთხვევითი მსხვერპლი.

საერთოდ, კონფლიქტის დარეგულირება არ ნიშნავს სამართლიანობის ასპროცენტიან აღდგენას. ომის შემდეგ, ეს არსებითად შეუძლებელია. ჩვენ უნდა მივაღწიოთ შინაგან განწმენდას - ყოველივე ჩადენილის გულწრფელ აღიარებას და დაგმობას. ყოველი ცალკეული დამნაშავის დევნა კი, როდესაც დანაშაულის უკან მასობრივი პატრიოტული ლოზუნგებია, არარეალურია. შემთხვევითი არაა, რომ ბევრ ქვეყნებში შერიგებისა და ეთნიკური, რელიგიური თუ რასობრივი კონფლიქტების დარეგულირების მიზნით, სისხლის სამართლის დამნაშავეთა ამნისტირება ხდება ხოლმე, თუ დანაშაულის უკან პოლიტიკური მოტივია. არსებითად, ამის გარკვეული მაგალითი ჩვენი სამოქალაქო ომის მონაწილეთა შერიგების პროცესიცაა.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი იყო ტრაგედია, როგორც აფხაზი, მცირერიცხოვანი ერისათვის, ისე მთელი საქართველოსათვის. ტრაგედია ჩვენ, ძირითადად, ტერიტორიის დაკარგვად გვესმის. არა და ტრაგიზმი ის არის, რომ ტოტალიტარიზმიდან ღირსეული, დემოკრატიული ყოფისაკენ მიმავალმა ჩვენმა ერმა ვერ გამონახა შინაგანი ძალა ამ კონფლიქტის მშვიდობიან ფარგლებში მოქცევისა და, შემდეგ, გადაწყვეტისათვის. ჩვენ დიახაც რომ დავისაჯეთ. მაგრამ არა მარტო და არა იმდენად რუსეთის იმპერიისაგან დამოუკიდებლობის გულწრფელი სურვილისათვის, არამედ ჩვენივე ამპარტავნობისათვის. თუ გვინდა, რომ მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდეს და როგორც ეროვნულად, ისე პიროვნულად უარესი ტრაგედიების წინაშე არ აღმოვჩნდეთ, გამოსავალი ქართულ-აფხაზური ფედერალიზმია. აფხაზებმა ამის უფლება მთელი თავისი ეთნიკური ისტორიით დაამტკიცეს და თუ სხვა რამ მათთვის მიუღებელია, უნდა დავყაბულდეთ. ეს სულაც არ ნიშნავს ამ მოდელის განვრცობას მთელ საქართველოზე. ეს უნიკალური, ქართულ-აფხაზური კონფლიქტიდან ოპტიმალური გამოსავალია მხოლოდ. აფხაზს არ გააჩნია სხვა სამშობლო. მისი და ჩვენი სამშობლო ერთია. მაგრამ, რადგან მას სურს სუვერენიტეტის საკუთარი, ლეგიტიმური წვლილი, რაც მისი ისტორიული მემკვიდრეობიდან ისევე გამომდინარეობს, როგორც ქართველის სურვილებია ჩვენივე ისტორიიდან მომდინარე, უნდა დავთანხმდეთ ამაზე. დღეს, სინამდვილეში აფხაზებს არც ფედერალიზმი არ სურთ. მაგრამ მეტი ქართულ მხარეს არ შეუძლია. თუ ნდობა აღდგა, ვგონებ, რომ ამ კომპრომისს ორივე მხარე მიიღებს.

## TV პროგრამა

12 იანვარი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ვინ არის კლეიტის სტოუნი" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ტრასა 60" (12) (ჯეიმს მარედენი) **02.20** პატრული

### პირველი არხი

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ტერი ჯონსის შუა საუკუნეები" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმები "კლიფორდი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - მაკარტნი, კიდმანი. **16.30** დოკ. ფილმი "გარეული ცხოველები გერმანიის ტერიტორიაზე" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" - ელექტრობა **18.00** "მთავარი" - რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "კლეოპატრა" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "კოლუმბიის უკანასკნელი აფრენა" **23.00** მედიატორი **23.30** მხ. ფილმი "ითამაშე ბეკჰემივით" **01.30** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ფარული კამერა **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** "ახალი გმირები მზეზე" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** "პატრიოტთა თამაშები" - ვასილ მჟავანაძე. პატრიარქის შემოდგომა" **14.15** საბავშვო სერიალი "დიუნის შვილები" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "მუსიკა მზეზე" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** "პატრიოტთა თამაშები" - უბილეთო მგზავრი. გია დანელია. **22.45** კუბური მუსიკის ყველა ვარსკვლავი **23.45** "ფანტომასი, ფანტომასი" **00.15** მხ. ფილმი "მდიდარი რომ ვიყო" (გ) (ვალერია ბრენი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** კონცერტი **20.55** სპექტაკლი "ძველი ვოდევილები" **22.40** კონცერტი

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია" **12.15, 17.10, 04.35** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 04.05** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "შურისმაძიებელი სული" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.55** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" **17.25** "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** "შეშლილი, შეშლილი, შეშლილი ტელევიზორი" **20.55** "მთვარიანი ველის სერენადა" **23.45** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **00.20** "იმედის ქვეყნის მელოდიები" **01.20** მხ. ფილმი "აუტანელი სისასტიკე" **03.00** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** სათავ. ფილმი "განძეულობა" **11.20** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 18.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.40** "ზღვარი" **12.10** კომედია "დიდი არდადეგები" **13.35** მუსიკა **14.45** ფანტასტიკა "ჩამოსვლა" **16.35** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** კომედია "ბლეფი" **21.00** მხ. ფილმი "ქარწაღებულნი" 1 ს. **22.45** "ექსკლუზივი" **00.00** საახალწლო პროგრამა

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "ვულკანური დარტყმა" (გ) **14.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "არცთუ ისე სასაცილო" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Жан Маре в сериале **"ГРАФ МОНТЕ-КРИСТО". 2**-я с. **10.30** Сериал **"КЛОН". 11.30** "Кумиры". Людмила Семеняка. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20** Дисней-клуб: "Утиные истории". **13.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Валерий Николаев в многосерийном фильме **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 17.00** "Пять вечеров". Четверг. **18.20** Звезды эфира. "Голубой огонек". **19.00** Сериал **"КЛОН". 19.50** Старый Новый год на Первом. "Кривое зеркало". **21.00** Время. **21.30** Старый Новый год на Первом. "Кривое зеркало". **23.10** Старый Новый год на Первом. Лучшее. **01.00** Шарон Стоун, Изабель Аджани в фильме **"ДЬЯВОЛИЦЫ"**. История двух доведенных до отчаяния женщин и одного убийства, задуманного как возмездие и избавление. Но безукоризненный план в финале дал осечку. Разве могли предположить "несчастные убийцы", что жертва, убитая и затем утопленная ими, самым таинственным образом исчезнет из бассейна? Похоже, кто-то затевает с ними еще более жестокую игру... **02.50** Худ. фильм **"ПОСЛЕДНИЙ ДОН". 2**-я с. **04.30** Док. фильм "Вера Мухина. Испытание".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.20** Анатомия преступлений. **10.55** Кулинарный поединок. **12.00** Сериал **"УСАДЬБА". 13.35** Детективный сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 14.30** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Комедийный сериал **"ОТРАЖЕНИЯ". 18.00** Игры разума. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Детективный сериал **"УСАДЬБА". 20.45** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** "Сегодня 22.00". **22.40** Сериал **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ". 23.45** Чрезвычайное происшествие. **00.20** Аль Пачино в фильме **"НУЖНЫЕ ЛЮДИ" 02.20** Сериал **"БРЭМ И ЭЛИС". 03.00** Коллекция Национального географического общества. "Совершенная змея. Смертельные тиски". **04.15** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"ОПЕРАТИВНИК". 05.35** Чрезвычайное происшествие.

## ბუბა კიკაბიძე საკონცერტოდ ემზადება



20 იანვარს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში ცნობილი ქართველი მსახიობი ბუბა კიკაბიძე საქველმოქმედო კონცერტს გამართავს.

"ქართველი მაყურებელი საინტერესო კონცერტს იხილავს. შევასრულებ როგორც კარგად ნაცნობ ძველ, ისე ახალ სიმღერებს", - აღნიშნა მომღერალმა.

კონცერტიდან შემოსული თანხა გადაეცემა საქველმოქმედო ფონდ "იავნანას", რომელსაც ცნობილი ბანი პაატა ბურჭულაძე ხელმძღვანელობს. ბუბა კიკაბიძის კონცერტზე დასასწრებად ბურჭულაძე 18 იანვარს ეწვევა თბილისს.

უახლოეს მომავალში დაგეგმილია ბუბა კიკაბიძის სოლო კონცერტი თბილისში. ის, სავარაუდოდ, გაზაფხულზე, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. ***ინტერ-პრესი***

## "ქართული ლეგენდის" წარმოდგენას აპრილში გვპირდებიან




ანსამბლი "ერისიონი" პროექტს "ქართული ლეგენდა" თბილისში, სავარაუდოდ, აპრილში წარმოადგენს. ამის შესახებ ანსამბლის ხელმძღვანელმა ჯემალ ჭკუასელმა გვაცნობა.

პროექტი, რომელიც პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში 2000 წელს ნახა მაყურებელმა, 2001 წლიდან, გარკვეული ცვლილებების შემდეგ, დიდი წარმატებით სარგებლობდა ევროპის ქვეყნებში. თუმცა, "ქართული ლეგენდის" ცოცხლად ნახვის შესაძლებლობა ქართველ მაყურებელს აქამდე არ ჰქონია.

ანსამბლის ხელმძღვანელის თქმით, კონცერტის ჩასატარებლად საჭირო აპარატურის ნაწილი თბილისშია, ნაწილს კი თურქეთიდან და საფრანგეთიდან ელოდებიან.

## გაფიცვა

მთელი მუსიკალურ-აკადემიური საზოგადოების ყურადღება მიპყრობილია სენტ-ლუისის სიმფონიური ორკესტრის წევრებსა და მათ ხელმძღვანელობას შორის დაწყებული კონფლიქტისადმი.

კონფლიქტის მიზეზი ხელფასების შემცირებაა. ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, ორკესტრის წევრების ხელფასები წელიწადში 73,900 დოლარიდან 61 ათასამდე შეემცირებინა. სწორედ ამ პირობით გაფორმდებოდა კონტრაქტი მუსიკოსებთან; წინა კონტრაქტს კი 2 იანვარს გაუვიდა ვადა. თუმცა, მუსიკოსებმა შვიდსაათიანი დებატების შემდეგ, 85 ხმით სამის წინააღმდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, არ დათანხმებოდნენ ასეთ პირობებს და გაფიცულიყვნენ.

ორკესტრის ოფიციალურ საიტზე წინასწარ გამოქვეყნდა ინფორმაცია 7 და 8 იანვარს დაგეგმილი კონცერტების ჩაშლის შესახებ.

სენტ-ლუისის სიმფონიური ორკესტრი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა, 1880 წელს შეიქმნა და უძველესია შეერთებული შტატების მასშტაბით. ორკესტრის ჩანაწერები არაერთხელ დაჯილდოებულა "გრემით". უკანასკნელად ორკესტრის წევრები 1979 წელს 42 დღით გაიფიცნენ.

### განცხადება

სს "საქართველოს სახალხო ბანკი"-ს აქციონერთა საყურადღებოდ:

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 31 იანვარს 12.00 სთ-ზე გაიმართება სს "საქართველოს სახალხო ბანკი"-ს აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N74, Mმე-2 სართული, ბანკის სათავო ოფისი.

**დღის წესრიგი:**

1. საერთაშორისო აუდიტორის არჩევა;
2. ბანკის კაპიტალიზაციის შესახებ;
3. სხვადასხვა.

კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ აქციონერებს, რომლებიც ასეთად რეგისტრირებული არიან 2004 წ. 17 დეკემბრის მდგომარეობით.

აქციონერებს კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ 2005 წლის 20 იანვრიდან 30 იანვრის ჩათვლით ბანკის აქციონერთა რეესტრის მწარმოებელ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან - შპს "კომპანია ცენტრი", რომლის იურიდიული მისამართია: ი. მოსაშვილის ქ. N24.

*სს "საქართველოს სახალხო ბანკის"*
*დირექტორატი*

## კარგად დავიწყებული ძველი მშვენიერება

ლია თოფურია

ამჟამად ქსოვილის ერთ-ერთი ყველაზე მოდური სახეობა, და არა მარტო საქართველოში, - ეს თექაა. იგი, ალბათ, უხსოვარი დროიდან არსებობდა საქართველოს მთაში. და საერთოდ, ყველა ქვეყანაში, სადაც არსებობდა ცხვარი ანუ ნედლეული. წყარო ყველას ერთი ჰქონდა, პროდუქციის მიღების მეთოდი კი - თითოეულს თავისებური. ეს ქსოვილი საქართველოში დიდი ხნით მივიწყებული იყო და შემდეგ, სხვა ქვეყნებთან (სადაც ტექსტილის წარმოებაა განვითარებული) ურთიერთობისას აღმოჩნდა, რომ ტექსტილის წარმოებაში თექას ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით, ევროპის ქვეყნებში. ამის შემდეგ მოხდა თექისკენ შემობრუნება. აკადემიაში სულ რამდენიმე წელია, ასწავლიან, როგორც საგანს. ქართული ტექსტილის ჯგუფი 1997 წლიდან გაერთიანებულია ETN-ში (ევროპის ტექსტილის ჯგუფი) და ამ დროიდან მოყოლებული, მოხდა აღორძინება კარგად დავიწყებული ძველისა.



*ეკა სირაძის შიბორი (მხატვრული ღებვა).*

ეკა სირაძე თექას აკადემიაშიც აკეთებდა, ოღონდ უქსოვადი ბოჭკოსგან, შემდეგ გავრცელდა უკვე თანამედროვე მეთოდები. ეკასაც საკუთარი ტექნოლოგიური მიგნებები აქვს - იგი ქსოვილს სხვადასხვა ფაქტურებისაგან, მაგალითად, აბრეშუმისა და თექისან ამზადებს. "ეს ტექნოლოგიურად ძალიან შრომატევადი სამუშაოა, - ამბობს იგი, - გარდა ამისა, დიდხანს ვფიქრობ ნახატზე, ფერებზე..." შედეგი - ულამაზესი ნამუშევრები და ერთ-ერთი პირველი ადგილი ჩინეთში (იქ ეკა სირაძემ ბრინჯაოს მედალი მიიღო, ამის შესახებ ჩვენი გაზეთი უკვე წერდა). გარდა თექისა, "ცენტრ-პოინტ გალერეაში" გამოფენილია ეკას მიერ პასტელის ფერებში შესრულებული, აბრეშუმის ჰაეროვანი ნამუშევრები. "ჩემს მასწავლებლად ვის მივიჩნევ? რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ბატონ გივი ყანდარელს, რომელმაც დიდი როლი შეასრულა, ზოგადად, ტექსტილის განვითარებაში და კერძოდ, ქსოვილის ფაკულტეტის ჩამოყალიბებაში. ჩინეთში მონაწილეობაც მისი დამსახურებაა. თბილისშიც ჩატარდა 1997 წელს პირველი სიმპოზიუმი, და იყო შარშან - 2003 წელს, საერთოდ, 2 წელიწადში ერთხელ ჩატარდება. მქონდა პერსონალური გამოფენაც. ამჟამად ვასწავლი აკადემიაში, ქსოვილის ფაკულტეტზე ბატიკის ხელოვნებას, ქალბატონ მედეა ჩიხლაძესთან ერთად."

როგორც ეკა ამბობს, ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოში ერთ დროს ასე განვითარებული მეაბრეშუმეობა ახლა თითქმის მკვდარია, ღრმაღელეში არსებული, აბრეშუმის საწარმო - გაჩერებულია. არადა, ჩვენში ხომ უმაღლესი ხარისხის აბრეშუმი მზადდებოდა, მარტო თუთის ჯიში არსებობდა 100-ზე მეტი! აბრეშუმის მუზეუმიც გვაქვს.

19-ე საუკუნეში თუთის ჯიშების და მეაბრეშუმეობის გასაცნობად სპეციალურად იმოგზაურა ნიკოლოზ შავროვმა. საკუთარი აღმოჩენებით აღფრთოვანებულმა, 1887 წელს, მუშტაიდის ბაღთან სწორედ მან დააარსა მუზეუმი, როგორც კავკასიის სააბრეშუმო სადგურის ნაწილი. აქ არის ყველაფერი, რაც აბრეშუმს შეეხება. მუზეუმში დაცული კავკასიური და მსოფლიოს 61 ქვეყნის კოლექციები აბრეშუმის განვითარების ყველა ეტაპს ასახავს, თუთის თესლიდან - აბრეშუმის ნაწარმამდე. გაგიკვირდებათ და, შესანიშნავად არის დაცული უნიკალური ბიბლიოთეკა, აქ ავეჯიც კი განსაკუთრებულია. და ეს ყველაფერი მისმა დირექტორმა - ქალბატონმა ირინა ჭოტოლიშვილმა კბილებით დაიცვა სპორტული ფედერაციის შემოტევებისაგან. მუზეუმში დაცულია შავროვის ხელით შეგროვებული, ძველი აბრეშუმის ქსოვილები, საბჭოთა პერიოდის საუკეთესო ნიმუშები, მოგვიანებით - უცხოური და ა.შ. თბილისის სიმპოზიუმებს სწორედ ეს მუზეუმი მასპინძლობს, თუმცა ამჟამად იგი სავალალო მდგომარეობაშია, მის დოტაციაზე უარი თქვა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ...

ეკა თავის ორიგინალურ ნამუშევარს მაჩვენებს - დაუმუშავებელი, მთლიანი ჭუპრები იღებება სხვადასხვა ფერით, იპრესება და მიიღება ე.წ. აბრეშუმის ქაღალდი. ლამაზი კია... თურმე, ჩინელებიც ოდითგანვე მთლიან ჭუპრს ამუშავებდნენ, ვინაიდან უმაღლესი ხარისხის, მშვენიერი აბრეშუმის მიღებას მთლიანი ძაფი სჭირდებოდა. აბრეშუმის ჭიას ჭუპრში ორთქლით მანამ კლავდნენ, სანამ თავის დანიშნულებას აასრულებდა - ჭუპრიდან ფრთაფარფატა პეპლად ამოფრინდებოდა...

### ივანე ბედიანაშვილის ხსოვნას

**უკვე ორი წელი გავიდა, რაც ტრაგიკულად შეწყდა შენი სიცოცხლე. თუმცა შენს საქმეს შენი მეგობრები ვაგრძელებთ - ვიბრძვით სიმართლისათვის. ყოველთვის გვემახსოვრები, როგორც ერთგული მეგობარი, შესანიშნავი მამა და მეუღლე, საკუთარ საქმეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი.**

**მეგობრები, კოლეგა-ჟურნალისტები**

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.